მამალაძის ძებნას ინტერპოლი, სავარაუდოდ, დღეს დაიწყებს A2

„ლეიბორისტების„ პოლიტთამაშები A3

რა სარგებლობა მოაქვს ენის კანონს A8



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 20 იანვარი, 2004 წელი. №15 (564)

ფასი 50 თეთრი

## ერთადერთი არჩევანი - ახალი რეალობის გათვალისწინება

**როგორ განვითარდება მოვლენები აჭარაში?**

ლელა მჭედლიძე

*ახალი დროშის "აბაშიძის ოაზისში" ჩატანა, ძირითადად, სახალხო მოძრაობა "ჩვენი აჭარის" დამსახურებაა. ხულოში, ქედაში, შუახევში ამ ორგანიზაციას მხარი ავტონომიის მცხოვრებლებმაც აუბეს. "ჩვენი აჭარის" ინფორმაციით, ახალი საქართველოს დროშა გუშინ 130 დასახლებულ პუნქტში, ადგილობრივი თვითმმართველობების შენობების თავზე აფრიალდა.*

დროშის აღმართვა საკმაოდ უმტკივნეულოდ, სამართალდამცველების წინააღმდეგობის გარეშე მიმდინარეობდა. გამონაკლისი გონიო აღმოჩნდა. აქ შეკრებილმა ხალხმა სოციალურ-პოლიტიკური მოთხოვნებიც წამოაყენა. ადგილობრივმა პოლიციელებმა შეკრებილები ხელკეტებით დაარბიეს.

აჭარაში მართლაც არაორდინარული ვითარება შეიქმნა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნის მკვლელობამ კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა მდგომარეობა. მიხეილ სააკაშვილმა საქმის საგანგებო კონტროლზე აყვანის ბრძანება უკვე გასცა. საამისოდ, მან გენერალურ პროკურატურას აჭარაში სპეციალური ჯგუფის შექმნა და საქმის ცენტრალურ აპარატში გადმოტანა დაავალა. "ჩვენი აჭარის" წევრთა განცხადებით, ამ მკვლელობას პოლიტიკურის სუნი ასდის.

**"ავტონომიის ხელმძღვანელობისათვის საგანგებო მდგომარეობა პოლიტიკური ანგარიშსწორების საფუძვლად იქცა. როდესაც მოსახლეობას არწმუნებენ, რომ რეგიონში მშვიდობის შესანარჩუნებელ წინაპირობას მხოლოდ საგანგებო ვითარება წარმოადგენს და ამ დროს ქალაქის ცენტრში ცეცხლსასროლი იარაღით შსს მინისტრის მოადგილეს კლავენ, ეს საპირისპიროზე მეტყველებს. თემურ ინაიშვილი რუსლან ინაიშვილის - "ჩვენი აჭარის" სათათბიროს წევრის ძმაა, ხოლო გარდაცვლილის ბიძაშვილი ჯემალ ინაიშვილი ჩვენი ორგანიზაციის გამოკვეთილი სახეა",** –

გაგრძელება A3 გვერდზე

## ისტორიული ცნობები ქართული ხუთჯვრიანი დროშის შესახებ B1




ხუთჯვრიანი დროშები აღმართული თბილისსა და სოხუმის თავზე (ანჯელინო დულჩერის 1339 წ. რუკა)

## მსოფლიო კინოს დიდი ბავშვი




ფედერიკო ფელინი თავის სტიქიაში.

## აჭარული კვანძის გახსნის მოლოდინი

გიორგი ასანიშვილი

აჭარის ხელისუფლება დილემის წინაშე დგას: მან ან ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს მხარი უნდა აუბას და დემოკრატიული ფასეულობების შეზღუდვის პოლიტიკაზე უარი თქვას, ან საქართველოში მომხდარ რევოლუციურ ცვლილებებზე თვალი დახუჭოს და აჭარის მართვა ჩვეული მეთოდებით განაგრძოს.

თუმცა, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, ასლან აბაშიძეს ძალიან გაუჭირდება ძალაუფლების შენარჩუნება, რადგან, თუ სასწაული მოხდება და აჭარის ავტონომიის ლიდერი ფართოდ გაუღებს კარს დემოკრატიას, მაშინ ის პოლიტიკურ კონკურენციაში უნდა ჩაებას და ასეთ შემთხვევაში გამარჯვების ნაკლები შანსი აქვს. როგორც ჩანს, ასლან აბაშიძეს მეორე გზა აქვს არჩეული. ცენტრისადმი მისი მიმართვა, დაახლოებით, ასე ჟღერს: "ჩემს "საშინაო" საქმეებში ნუ ჩაერევით, სხვა დანარჩენზე კი მოვილაპარაკოთ".

აჭარის ხელმძღვანელის მიერ ათი წლის განმავლობაში შექმნილი სისტემა დღეს ანაქრონიზმად გამოიყურება და ახალი ცენტრალური ხელისუფლებისთვის მთლიანად მიუღებელია, მაგრამ ეს უკანასკნელი სიტუაციის დაძაბვას ერიდება და მკვეთრი ქმედებების განხორციელებისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ცნობილი ქუთაისელი ბიზნესმენების დავას სამართალდამცველები იკვლევენ

ბექა სისაური
*ქუთაისი*

*"ხავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ იმერეთის რეგიონში ხელისუფლების სათავეებში ახალი გუნდის მოსვლამ და, შესაბამისად, მათ მიერ მოტანილმა ახალმა "პოლიტიკურმა ამინდმა" ქუთაისში ახალი დაპირისპირებები წარმოაჩინა. სკანდალური იმიჯით ცნობილი ბიზნესმენი და ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი ბონდო შალიკიანი ადრე იმერეთის ექსგუბერნატორ თემურ შაშიაშვილთან მუდმივი დაპირისპირებით გამოირჩეოდა, ახლა კი იგი ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარეს დათო ბენიძეს "შეერკინა" და მას მისი ფიზიკური განადგურების სურვილში ადანაშაულებს.*

**"ჭორების დაჯერება არ მიყვარს, მაგრამ ითქვა, რომ ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე დათო ბენიძე ნარკოლოგიურში მის მიყვანასა და შემოწმებას მე მაბრალებს... თუკი ბენიძე მართლა იჯერებს, რომ ბონდო შალიკიანმა ნარკოტიკებთან დაკავშირებით გასინჯვა მოუწყო, მაშინ ასეთი პატარა კაცისგან ყველაფერია მოსალოდნელი...",** - აცხადებს ბონდო შალიკიანი.

საქმე ისაა, რომ პრეზიდენტის რწმუნებულმა იმერეთში დათო მუმლაძემ 31 დეკემბერს მხარის სამართალდამცველი უწყების თავკაცები, ქუთაისის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე თათბირზე დაიბარა, თუმცა, თათბირის ნაცვლად, მათ ნარკოლოგიურ დისპანსერში ამოაყოფინა თავი. ქუთაისში იმავე დღესვე გავრცელდა ხმები, რომ აღნიშნული ღონისძიება ნარკოტიკების მოხმარებაში შემჩნეული ბენიძის წინააღმდეგ იყო დაგეგმილი, თუმცა შემოწმებისას ბენიძის ორგანიზმში ნარკოტიკის კვალი არ აღმოჩნდა. შალიკიანის განცხადებით, ბენიძემ, თურმე, ეს ღონისძიება მის მიერ დაგებულ მახედ აღიქვა და ტყიბულის მაჟორიტარს დაემუქრა.

გაგრძელება A7 გვერდზე

### პოლიტიკა

#### 200-ლარიანი სამხედრო მოსაკრებელი გაუქმდება

მარტის ბოლოსთვის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოს შეიარაღებულ ძალებში წვევამდელთა გაწვევის ახალ წესებზე დაიწყებენ მუშაობას. უკვე არსებობს არაოფიციალური ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დღეისთვის არსებული მოსაკრებელი, გადავადებისთვის დაწესებული თანხა – 200 ლარი გაუქმდება.

A2

### ეკონომიკა

#### რატომ ჩაიშალა "საოკეანო სანაოსნო კომპანიის" გასხვისების მცდელობა?

გასულ კვირას "24 საათში" გამოქვეყნებულ მასალას "საოკეანო სანაოსნო კომპანიის" კერძო ფირმისთვის გადაცემის სურვილისა და ამ გარიგების ჩაშლის თაობაზე, სასწრაფო რეაგირება მოჰყვა "საოკეანო სანაოსნო კომპანიის" ხელმძღვანელობისგან.

A4

### უცხოეთი

#### პოლიტიკური ორთაბრძოლა: კასპაროვი პუტინის წინააღმდეგ

დღეს რუსეთში ახალი ორგანიზაციის - "კომიტეტი-2008" დეკლარაციის გამოქვეყნებას ელიან. უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში ორგანიზაციის მიზანია რუსეთის პრეზიდენტად ისეთი პიროვნების გაყვანა, რომელიც პუტინის მემკვიდრე არ იქნება.

A5

### საზოგადოება

#### ერთი დღე "ოსეთის" "დედაქალაქში"

ცხინვალის შესასვლელში, ერგნეთთან ახლოს მოწყობილ საკონტროლო გამშვებ პუნქტთან იმ დღეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეუმოწმებიათ. რეგიონში დისლოცირებული რუსეთის სამშვიდობო ძალების ოფიცერმა "ოსეთის" დედაქალაქში მიმავალნი ფორმალურად შეგვათვალიერა და ბედნიერი მგზავრობა გვისურვა...

A6

### სამართალი

#### რეაბილიტირებული პატიმარი ბოდვაში დაადანაშაულეს

შემთხვევა, რომელზეც მოგითხრობთ, კარგა ხნის განმავლობაში უკანონო პატიმრობაში მყოფ, მოგვიანებით კი სასამართლოს მიერ რეაბილიტირებულ ჯემალ ჩხაიძეს ეხება.

A7

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 11 |
| ქუთაისი | 13 |
| ბათუმი | 15 |
| სოხუმი | 12 |
| ფოთი | 14 |
| თელავი | 9 |
| ზუგდიდი | 13 |
| გორი | 8 |
| ახმეტა | 9 |
| ჭიათურა | 10 |
| გაგრა | 9 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1350 |
| ევრო | 2.6715 |
| გირვანქა სტერლ. | 3.8729 |
| რუბლი | 0.0739 |


A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 სხვადასხვა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## 200-ლარიანი სამხედრო მოსაკრებელი გაუქმდება

*გაზაფხულიდან ჯარისკაცებს ახალი წესებით გაიწვევენ*



*ქართული ჯარი გაზაფხულიდან ახალი წესებით შეივსება.*

ვერიკო თევზაძე

*მარტის ბოლოსთვის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოს შეიარაღებულ ძალებში წვევამდელთა გაწვევის ახალ წესებზე დაიწყებენ მუშაობას. უკვე არსებობს არაოფიციალური ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დღეისთვის არსებული მოსაკრებელი, გადავადებისთვის დაწესებული თანხა – 200 ლარი გაუქმდება. რასაკვირველია, გაუქმდება თავად გადავადების მექანიზმიც.*

საქართველოს პრეზიდენტის რეგიონული პოლიტიკის და მართვის სამსახურის ჯარში გაწვევის განყოფილების უფროსმა კობა ულრელიძემ "24 საათთან" საუბრისას დაადასტურა, რომ ბეგარის გაუქმება ნამდვილად არის დაგეგმილი, ოღონდ - მომდევნო (საგაზაფხულო) გაწვევისთვის. **"200 ლარი ისეთი თანხაა, რომლის გადახდასაც ყველა ახერხებს. ასეთი მცირე თანხით ჯარისკაცს ვერ დაიქირავებ და საერთოდ, ვერაფერს გააკეთებ. უბრალო ჯარისკაცის შენახვა (მარტოოდენ ჩაცმა-დახურვა მაქვს მხედველობაში) წელიწადში, დაახლოებით, 1500 ლარი ჯდება. ასეთ ვითარებაში ორი ვარიანტი არსებობს - თანხა უნდა გაიზარდოს, ან გაუქმდეს. გაზაფხულისთვის გადასავადებელი მოსაკრებელი აუცილებლად უნდა გავაუქმოთ."**

კიდევ რა საკანონმდებლო ცვლილებებს უნდა ველოდოთ გაწვევასთან დაკავშირებით? - ბატონ ულრელიძეს, ჯერჯერობით, ამ თემაზე საუბარი უჭირს. კობა ულრელიძე ზოგადად შენიშნავს "კანონის გამკაცრების" შესახებ. **"ბევრი გასატარებელი ცვლილება დამოკიდებულია ბიუჯეტზე, დაფინანსებაზე. გააჩნია, რა თანხების გამოყოფას შეძლებს სახელმწიფო",** - აცხადებს იგი.

ამ ეტაპზე გაწვევის პრობლემებზე აქტიურად მუშაობს ასოციაცია "სამართალი და თავისუფლება." ხსენებულ არასამთავრობო ორგანიზაციას შემუშავებული აქვს გარკვეული მოდელი იმ წესებისა და პრინციპებისა, რომელთა საფუძველზეც ჯარში გაწვევა უნდა ხდებოდეს. ასოციაციის დირექტორის ირაკლი სესიაშვილის განმარტებით, მათთვის მთავარი ამოცანაა წვევამდელთა მაქსიმალური რაოდენობის მომზადება. "სამართალი და თავისუფლების" პროექტის მიხედვით, სამხედრო სამსახურის ვადა ექვს თვემდე უნდა შემცირდეს: **"ეს საკმარისი დროა იმისთვის, რათა ჯარისკაცმა ნორმალური მომზადება გაიაროს. სხვათა შორის, ამ პერიოდის შემდეგ ჯარში უსაქმურობას იწყებენ, ჯარისკაცები გარკვეული თანხის საფასურად სახლში მიდიან. ჯარისკაცი ჯარში მოცდენილი არ უნდა იყოს."**

გაწვევასა და სამხედრო საკითხებზე მომუშავე ასოციაცია შემდეგი ინიციატივით გამოდის: ჯარისკაცს უნდა ჰქონდეს საშუალება, 18-დან 21 წლამდე პერიოდში თავად განსაზღვროს, როდის მოიხდის სამხედრო სავალდებულო სამსახურს. ამის შემდეგ იგი აფორმებს კონტრაქტს. წვევამდელები დაიყოფიან სამ კატეგორიად. თითოეულ კატეგორიას განსაზღვრავს გასაწვევი მოქალაქის სოციალური და ოჯახური მდგომარეობა. 30-დან 35 წლამდე რეზერვის ტიპის სამხედრო მომზადებაც შეიძლება დაწესდეს.

როგორც ირაკლი სესიაშვილმა ჩვენთან საუბრისას ბრძანა, მას ბევრ ჩინოვნიკთან ჰქონდა საუბარი გაწვევის პრობლემებთან დაკავშირებით. **"ერთადერთი საკითხი, რასაც სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები კატეგორიულად უარყოფენ, სამხედრო სამსახურის ვადის შემცირებაა. ტენდენცია გასაგებია",** - ამბობს სესიაშვილი და მიიჩნევს, რომ გაწელილი ვადა – ორი წელი - ჩინოვნიკებისთვის კორუფციის შესანიშნავი წყაროა. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ირაკლი სესიაშვილი მაინც აპირებს სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობას (თუმცა, მან წინასწარ იცის, რომ ზოგიერთ ჩინოვნიკთან საქმიანი ურთიერთობის დაწყებას აზრი არ აქვს...).

გაზაფხულზე, რეგიონული მართვის სამსახური (ან ახალი სახელწოდების მქონე აღმასრულებელი სტრუქტურა), პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტი და უშიშროების საბჭო ერთობლივად შეიმუშავებენ გაწვევის ახალ წესებს. იმედია, ეს პროცესი საზოგადოებისთვის გამჭვირვალე იქნება და მასში აქტიურად ჩაებმებიან სპეციალისტთა და ექსპერტთა ჯგუფები. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგივე შედეგს მივიღებთ, რაც დღემდე ხდებოდა: ცვლილებები ჯარისკაცთა გაწვევის შესახებ ქვეყანაში ხელისუფლების ცვლასთან არის დაკავშირებული. ასეთ ვითარებაში გამოდის, რომ ჯარისკაცის გაწვევაც და თავად ჯარის არსებობაც ქვეყნისთვის თვითმიზანს წარმოადგენს.

## აფხაზები სააკაშვილის განცხადებას პოპულიზმად მიიჩნევენ

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების ე.წ. თავდაცვის მინისტრი ვიაჩესლავ ეშბა პოლიტიკურ პოპულიზმად მიიჩნევს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, რომ მისი მმართველობის პერიოდში საქართველო დაიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს.

მისი თქმით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნება საქართველოს მხოლოდ სამხედრო გზით შეუძლია, მაგრამ იგი ვერ შეძლებს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას.

„ყველამ კარგად იცის, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში არასდროს შედიოდა. ის, რომ საქართველო აფხაზეთს ძალისმიერი მეთოდებით დაიბრუნებს, ძალზე საეჭვოა. საქართველომ აფხაზეთის ომში პირველ ეტაპზე უპირატესობას მიაღწია, მაგრამ ომის დასრულებამდე მისი შენარჩუნება ვერ შეძლო. ეს ბუნებრივიცაა, რადგან თავდამსხმელი წარმატებას მხოლოდ პირველ პერიოდში აღწევს. აფხაზები უფრო ბრძოლისუნარიანები არიან, ვიდრე ეს ქართველებს ჰგონიათ," — აცხადებს ეშბა. **მედია-ნიუსი**

## ელენე თევდორაძე გატაცებაში ბრალდებულებს შეხვდება

"გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, თამაზ მაღლაკელიძის გატაცებაში ბრალდებულთა ადვოკატების მიერ სამართალდამცველთათვის წაყენებული ბრალდებების გადამოწმებას აპირებს პარლამენტარი ელენე თევდორაძე. დღეს ამ მიზნით იგი მეხუთე საგამოძიებო იზოლატორში შესვლასა და თავად პატიმრების - გიორგი ვაშაკიძის, ელდარ გოგბერაშვილისა და ბენიამინ სანებლიძის მონახულებას გეგმავს.

თუმცა, პატიმრებთან შეხვედრამდე მან გარკვეული პრობლემები უკვე მოაგვარა. ელენე თევდორაძის თქმით, **"ბრალდებულების მიმართ დარღვეული იყო პროცესუალური ნორმები. კერძოდ, სასამართლო პროცესის შემდეგ, რომელზეც მათ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს, გიორგი ვაშაკიძე, ელდარ გოგბერაშვილი და ბენიამინ სანებლიძე წინასწარი პატიმრობის საკანში დააბრუნეს. არადა, კანონი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის შეფარდების შემდეგ, პატიმრები, იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებულ საგამოძიებო იზოლატორში უნდა გადაიყვანონ და არა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების საკანში".**

თევდორაძის თქმით, ეს პრობლემა მხოლოდ მას შემდეგ გადაწყდა, რაც იგი პირადად დაუკავშირდა თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსს ლევან მაისურაძეს და პატიმრების საგამოძიებო იზოლატორში გადაყვანა სთხოვა. ახლახან კი ელენე თევდორაძემ თხოვნით მიმართა იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობას, რომ ბენიამინ სანებლიძესთან ექიმები დაუშვან.

**"მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, ადვოკატები კი ამბობენ, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფის სამედიცინო შემოწმების უფლების მიღებას ვერ ახერხებენ. იუსტიციის მინისტრის მოადგილე ამ საკითხის მოგვარებას შემპირდა,"** - ამბობს ელენე თევდორაძე და დღეს თავად აპირებს დარწმუნდეს, რამდენად მართალია ბრალდებულთა ადვოკატების მტკიცება იმის თაობაზე, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფთ სხეულის ისეთი დაზიანებები აქვთ მიღებული, რომელთა მიღებაც დაკავების დროს შეუძლებელი იქნებოდა.

## პოლკოვნიკის მკვლელს მალე განაჩენს გამოუტანენ

უზენაეს სასამართლოში დასასრულს უახლოვდება საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსის ლევან ტაბაღუას მკვლელობის საქმის განხილვა. სასამართლო პროცესი, რომელზეც უკვე დასრულდა მოწმეებისა და ექსპერტების დაკითხვა, დღეს განახლდება. სავარაუდოდ, დღეს საბოლოო საბრალდებო სიტყვას იტყვის პროკურორი. როგორც ცნობილია, საბრალდებო დასკვნის თანახმად, განსასჯელს, ეროვნული გვარდიის საგანგებო სპეცფონდების სამსახურის ყოფილ უფროსს, ვიცე-პოლკოვნიკ მიხეილ კერესელიძეს ანგარებით ჩადენილი განზრახ მკვლელობა ედება ბრალად. კერძოდ, საუბარია, რომ კერესელიძეს ტაბაღუას ვალი ჰქონდა და ფულის დაბრუნება არ უნდოდა. თავად კერესელიძე, რომელიც გამოძიებას არწმუნებდა, რომ ლევან ტაბაღუა თავად იყო მისი მევალე, არ უარყოფს, რომ ტაბაღუა სწორედ მან მოკლა, თუმცა, ამბობს, რომ მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში, მას შემდეგ ჩაიდინა, რაც თავად ლევან ტაბაღუამ გაიმეტა იგი სასიკვდილოდ. განსასჯელს სასამართლოსთვის ჯერ ჩვენება არ მიუცია. მოსალოდნელია, რომ იგი ამას მას შემდეგ გააკეთებს, რაც სასამართლო პროცესზე სიტყვით მისი ადვოკატი გამოვა.

## პატიმრის თვითმკვლელობის გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს

შინაგან საქმეთა სამინისტრო გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული შიდა მოკვლევის შედეგებს ახმაურებს და ულირსი თანამშრომლების სამსახურიდან გათავისუფლებას იუწყება. საქმე ეხება ცოტა ხნის წინათ სამინისტროს წინასწარი დაკავების საკანში პატიმრის მიერ თავის ჩამოხრჩობას. როგორც ცნობილია, ზუსტად ერთი თვის წინ, 20 დეკემბერს, ნარკოტიკების მოხმარებისათვის განსჯილი 40 წლის გიორგი ინასარიძე საკანში გამთენიისას, საბნის ნაგლეჯით ჩამომხრჩვალი იპოვეს. დაღუპულს ათდღიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი.

მომხდარის გამო მოკვლევა მაშინვე დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ. მოკვლევის შედეგად გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე კი, სამსახურებრივი გადაცდომის მოტივით, შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ სისტემიდან დაითხოვა წინასწარი დაკავების იზოლატორის მორიგე ინსპექტორი, პოლიციის პოლკოვნიკი რობინზონ ბულაძე და მისი ორი თანამშრომელი, პოლიციის უმცროსი ლეიტენანტები — ფრიდონ პატარიძე და შენგელი მამულაშვილი.

## უშედეგო მოლაპარაკებები, რომელსაც ტრადიციულად კონსტრუქციულს უწოდებენ

აფხაზურ მხარესთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ქართულმა დელეგაციამ გალის რაიონი დატოვა და გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელთან საქართველოში ჰაიდი ტალიავინთან ერთად თბილისისკენ აიღო გეზი. ქართული მხრიდან, გაფართოებულ შეხვედრაში განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი მალხაზ კაკაბაძეც მონაწილეობდა, ხოლო აფხაზური მხრიდან - სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა და უშიშროების მინისტრი გივი აგრბა.

ქართული დელეგაციის წევრები გაერო-ს გალის ოფისში გამართულ შეხვედრას კონსტრუქციულად აფასებენ.

ჟურნალისტებთან საუბრისას ქართული დელეგაციის წევრმა, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ავთანდილ იოსელიანმა განაცხადა, რომ გუშინ გალში გამართული გაფართოებული შეხვედრა ჯერ კიდევ შემოდგომაზე დაიგეგმა და დეკემბერში უნდა გამართულიყო, თუმცა საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო იანვრამდე გადაიდო.

მისივე თქმით, გუშინდელ, საკმაოდ კონსტრუქციულ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ სამი ძირითადი საკითხი დააყენა: გალის რაიონში არსებული კრიმინოგენული ვითარების, ადრე მიღწეული შეთანხმებების შესრულებისა და ბაბუშერის სამხედრო აეროდრომიდან ქართველი მეომრების ცხედრების გადმოსვენების განახლების შესახებ. ქართველ მეომართა ცხედრების გადმოსვენების განახლებას ხელს უშლიდა აფხაზური მხარის მოთხოვნა, ქართულ მხარეს რამდენიმე აფხაზი მეომრის ცხედარი მოეძია. ავთანდილ იოსელიანის განცხადებით, ქართულმა მხარემ მოიძია აფხაზური მხარისთვის მეტად მნიშვნელოვანი პირების საფლავები და ბაბუშერიდან ქართველი მეომრების ცხედრების გადმოსვენების პროცესი აუცილებლად განახლდება. გარდა ამისა, მისი თქმით, გუშინდელ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ აფხაზ სამართალდამცველებს რუსთავის კოლონიიდან შემოდგომაზე გაქცეული რვა ქართველი პატიმრის სია გადასცა და დახმარება სთხოვა იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ისინი აფხაზეთის ტერიტორიას აფარებენ თავს. **ინტერ-პრესი**

## მამალაძის ძებნას ინტერპოლი, სავარაუდოდ, დღეს დაიწყებს



*მამალაძეს ინტერპოლი, ალბათ, მეტროში მიაგნებს.*

სავარაუდოდ, დღეს უკვე ინტერპოლის საერთაშორისო ძებნილთა სიაში შევა ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი ლევან მამალაძე. თბილისის პროკურატურამ რამდენიმე დღის წინ მოამზადა საამისოდ საჭირო საბუთები, თუმცა, მათთვის მსვლელობის მიცემას დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებმა შეუშალა ხელი.

ინტერპოლის საერთაშორისო ქსელით მამალაძის ძებნის გამოცხადება უკვე ნიშნავს, რომ იგი ძველებურად მშვიდად ველარ შეძლებს მოსკოვსა და ბათუმს შორის ფრენას, რასაც, ქართველი სამართალდამცველების მიერ ძებნილი, გარკვეულ წყაროთა ცნობით, ბოლო ხანებში ხშირად ახერხებდა.

როგორც ცნობილია, ლევან მამალაძეს არაერთი დანაშაულის ჩადენასა და დიდი თანხების მითვისებაში ედება ბრალი. ედუარდ შევარდნაძის მიერ გადადგომის შესახებ განცხადების გაკეთების შემდეგ, იგი საკუთარი უდანაშაულობის მტკიცებას მოსკოვიდან ცდილობს და იმავე უდანაშაულობის არგუმენტად რუსეთის დედაქალაქში მეტროთი გადაადგილება მოჰყავს.

ქართველ სამართალდამცველებს ინტერპოლის ძებნის ქსელში მისი ჩართვის შემდეგ, იმედი აქვთ, რომ მამალაძის ჩვენებას უკვე უშუალოდ მისგან მიიღებენ.

*24 საათი*

## საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების თაობაზე საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების განცხადება

საქართველოს ტერიტორიაზე, სათანადო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილია რუსეთის სამხედრო ბაზები. მათი არსებობა ზღუდავს ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს და აბრკოლებს ჩვენი ქვეყნის მიერ დასახული სტრატეგიული ამოცანების გადაჭრას.

1999 წლის 17 ნოემბერს, ეუთო-ს სტამბულის სამიტზე, ხელი მოეწერა განცხადებას საქართველოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ: 2001 წლის ივლისამდე რუსეთს უნდა მოეხდინა ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია, ხოლო ახალქალაქისა და ბათუმის ბაზების ლიკვიდაციის ვადებზე მოლაპარაკება უნდა დასრულებულიყო 2000 წელს. დღემდე რუსეთის მხარის მიერ გაყვანილია მხოლოდ ვაზიანის ბაზა; რუსეთის ხელისუფლება ეწინააღმდეგება გუდაუთის სამხედრო ბაზის ინსპექტირებას, ხოლო ბათუმისა და ახალქალაქის ბაზების გაყვანისათვის კონსტრუქციულ მოლაპარაკებას თავს არიდებს. ჩვენ მსგავს ქმედებებს ვაფასებთ, როგორც საქართველოს სუვერენიტეტის შელახვას და საერთაშორისო ვალდებულებების იგნორირების უხეშ მცდელობას, რომლებიც ერთ-ერთ ძირითად დაბრკოლებად გვევლინება საქართველო-რუსეთის ურთიერთობების მოგვარების გზაზე. რუსეთის მხარე ბაზების გაყვანისთვის არარეალისტურ ფინანსურ კომპენსაციას ითხოვს, თუმცა თავად წლების განმავლობაში საქართველოსთვის არ აუნაზღაურებია მისი ტერიტორიით სარგებლობისა და სხვა მომსახურების საფასური და მიყენებული ეკოლოგიური თუ სხვა სახის ზიანი.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა საქართველოდან ხელს შეუწყობს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად რეგიონის სტაბილურობას, ასევე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართულ-რუსული ურთიერთობების განვითარებას და საქართველოს ინტეგრირებას ევროატლანტურ სივრცეში.

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ვითხოვთ:

ქვეყნის ხელისუფლებამ ყველა ღონე იხმაროს საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების უპირობოდ, დაუყოვნებლივ გასაყვანად და ამის მისაღწევად გამოიყენოს როგორც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმები, ისე საერთაშორისო სამართლის მექანიზმები: ორმხრივი და მრავალმხრივი დიპლომატიური კავშირები ეუთო-ს, გაერო-ს, ევროპის საბჭოს, ევროატლანტური პარტნიორობის საბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარჩოებში.

## საქართველოს რეგიონებს ბუნებრივი აირის მიწოდება არ შეუწყდებათ

რუსული კომპანია „გაზპრომისა" და გაზის საერთაშორისო კორპორაციის ხელმძღვანელობებს შორის დღეს მიღწეული შეთანხმებით, საერთაშორისო ენერგოკომპანია „იტერას" მომხმარებლებს (საქართველოს რეგიონებს) ბუნებრივი აირის მიწოდება არ შეუწყდებათ.

ეს შეთანხმება მიღწეულ იქნა მოსკოვში „გაზპრომსა" და „იტერას" შორის მიმდინარე მოლაპარაკებებისას, რომელსაც გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი ალექსანდრე გოცირიძე დამკვირვებლის სტატუსით ესწრება. „იტერასა" და „გაზპრომს" შორის მომავალი ურთიერთობების საკითხებზე მოლაპარაკებები კვლავაც გაგრძელდება.

შეგახსენებთ, რომ „გაზპრომმა", როგორც გაზსადენების მფლობელმა, „იტერას" უარი უთხრა ბუნებრივი აირის გატარებაზე და ამის მიზეზად გაზსადენის საკუთარი ბუნებრივი აირით შევსება დაუსახელა. „გაზპრომის" ამ განცხადების გამო ბუნებრივი აირის გარეშე დარჩენა ემუქრებოდა საქართველოს რეგიონებს და ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის საწარმოებს. **მედია-ნიუსი**

## დიდგაბარიტიანი მანქანების ბირჟები დაიბეგრება

თბილისის საკრებულოს საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ფრაქცია „ლეიბორისტის" წევრი პაატა ჯიბლაძე მალე საკრებულოს წარუდგენს ახალ პროექტს თბილისის გარეუბნების ე.წ. ბირჟებზე მოქმედი დიდგაბარიტიანი ავტომანქანების დაბეგვრის შესახებ.

საქალაქო მეურნეობის კომისია ამ საკითხზე კარგა ხანია მუშაობს. აღმოჩნდა, რომ თბილისში ფუნქციონირებს 3000-მდე ასეთი ბირჟა, საიდანაც დედაქალაქის ბიუჯეტში არც ერთი თეთრი არ შედის.

პაატა ჯიბლაძის თქმით, ამ სფეროს `შავი სამყარო" და პოლიცია აკონტროლებს, რის შედეგადაც დიდგაბარიტიანი ავტომანქანების მფლობელების მიერ გადახდილი თანხები, დედაქალაქის ბიუჯეტის ნაცვლად, მათ ჯიბეებში ხვდება.

საქალაქო მეურნეობის კომისიის პროექტის მიხედვით, დიდგაბარიტიანი ავტომანქანების მფლობელები, რომლებიც ამ ბირჟებზე საქმიანობენ, ვალდებულნი არიან, ბიუჯეტს გადაუხადონ გარკვეული თანხა. ჯიბლაძის გაანგარიშებით, ამით დედაქალაქის ბიუჯეტმა მილიონნახევარი ლარი უნდა მიიღოს. **მედია-ნიუსი**

## 2004 წლის ბიუჯეტი თებერვალში გვექნება

ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის თქმით, 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ალკოჰოლის, თამბაქოს ნაწარმის და ნავთობპროდუქტების დაბეგვრით შემოსავლები შარშანდელთან შედარებით ორჯერ გაიზრდება. ამ სამი სახეობის პროდუქციიდან მისაღები შემოსავლების გეგმა დასრულებულ სახეს რამდენიმე დღეში მიიღებს.

როგორც ფინანსთა მინისტრმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, 2004 წელს საკუთარი საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში ერთი პროცენტი იქნება.

მიმდინარე წელს ფინანსთა მინისტრი საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას ვარაუდობს გადასახადების ადმინისტრირების გაუმჯობესებისა და კანონის აღსრულების ხარჯზე. აღსანიშნავია, რომ 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი დასრულებულ სახეს თებერვალში მიიღებს. **მედია-ნიუსი**

## სააკაშვილი და ჟვანია მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მიიღებენ მონაწილეობას

საქართველოს ახლად არჩეული პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია შვეიცარიის საკურორტო ქალაქ დავოსში დაგეგმილ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე გაემგზავრნენ.

სამდღიანი ფორუმის მუშაობაში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეთაური და ბიზნესმენი მიიღებს მონაწილეობას. ცნობილია, რომ ამ ფორუმისთვის შვეიცარიის მთავრობა დიდი ხანია ემზადებოდა. ფორუმის მონაწილეთა უსაფრთხოებას 6500 შვეიცარიელი სამხედრო დაიცავს. სამხედროების მეოთხედი ფორუმის ჩატარების ადგილას იქნება დისლოცირებული, ხოლო დანარჩენები საჰაერო სივრცის და სხვა ობიექტების უსაფრთხოებას დაიცავენ. **მედია-ნიუსი**

## ახალი ვირუსი აღმოსავლეთ აზიაში

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ცნობით, გუშინ ვიეტნამში გარდაცვლილი 8 წლის გოგონა უკვე მეხუთეა, ვინც ე.წ. ფრინველის გრიპმა იმსხვერპლა.

იაპონიაში, სამხრეთ კორეასა და ტაივანში მილიონობით წიწილა დაავადდა "ფრინველის გრიპით", მაგრამ ადამიანების ინფიცირება ამ ვირუსით მხოლოდ ვიეტნამში მოხდა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტები აცხადებენ, რომ ჯერჯერობით არ არსებობს იმის დამადასტურებელი ცნობა, რომ გრიპის გავრცელება უშუალოდ ადამიანებს შორის ხდება.

"ინფექციის წყაროდ კვლავ შინაური ფრინველები რჩებიან," - განაცხადეს ექსპერტებმა.

ვიეტნამელმა ექიმებმა გასული კვირის ბოლოს "ფრინველის გრიპის" სიმპტომების (მაღალი სიცხე, ხველება, დაბალი წნევა) მქონე კიდევ ორი პაციენტი მიიღეს.

ამ დაავადების გავრცელების გამო, ვიეტნამში უკვე 2 მილიონი წიწილა გაანადგურეს. ვიეტნამის უდიდეს ქალაქ ხოშიმინ-სიტიში შინაური ფრინველის გაყიდვა საერთოდ აიკრძალა. ვიეტნამის მაგალითით შეშინებულმა ტაივანმა უკვე 35000 წიწილა გაანადგურა და დამატებით 22000 დახოცვის თაობაზე ბრძანება იქნა გაცემული. ***ბი-ბი-სი***

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსის" თავმჯდომარის გიორგი კობახიძის განცხადებით, ალიანსს 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უდიდესი სურვილი გააჩნია, თუმცა დამოუკიდებლად ამას ვერ მოახერხებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის გიგი წერეთლის განცხადებით, პარლამენტი მზადაა, განიხილოს საკონსტიტუციო ცვლილებები მინისტრთა კაბინეტისა და ორპალატიანი პარლამენტის შემოღების თაობაზე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დევნილთა სამოქალაქო კომიტეტი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსაგან - საბჭოს არჩევნების დაუყოვნებლივ დანიშნვას, საქართველოს ხელისუფლებისგან კი პარლამენტში აფხაზეთიდან არჩეული 12 დეპუტატისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას და 28 მარტს საპარლამენტო არჩევნებზე დევნილებისთვის აფხაზეთის ახალი დეპუტაციის არჩევის უფლებას მოითხოვს. ამის შესახებ დევნილთა სამოქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ აბესალომ მიქელაძემ განაცხადა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ტრადიციონალისტთა კავშირის" ლიდერი აკაკი ასათიანი 1999 წლის მოწვევის პარლამენტის მიერ საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს და აცხადებს, რომ თუ პარლამენტი სახელმწიფო კანცელარიაში მომზადებული ცვლილებების მიღებას შეეცდება, ფრაქცია „ტრადიციონალისტი" მასში მონაწილეობას არ მიიღებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „ერთობის" ლიდერის ჯუმბერ პატიაშვილის განცხადებით, მისი პარტია 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებისათვის ბლოკის შექმნის მიზნით აქტიურ კონსულტაციებს მართავს რამდენიმე პოლიტიკურ ძალასთან. მათ შორის არ არიან „ბურჯანაძე-დემოკრატები" და „ნაციონალური მოძრაობა". ამასთან, მოსალოდნელია იმ საარჩევნო სიის კორექტირება, რომლითაც „ერთობა" 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა. კონსულტაციების დასრულების შემდეგ „ერთობა" პოლიტიკური საბჭოს სხდომის გამართვას აპირებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ალექსანდრე ჭაჭია, პოლიტიკური გაერთიანება „ერთობის" თანათავმჯდომარის პოსტის ოფიციალურად დატოვების შემდეგ, არჩევნებში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს და აცხადებს, რომ ახალი პრეზიდენტისა და ხელისუფლების მიერ დეკლარირებული პრინციპების თანმიმდევრულად განხორციელების შემთხვევაში, ის პრეზიდენტ სააკაშვილის აქტიური მხარდამჭერი გახდება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი** ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მუშაკთა პროფკავშირი თავის მოთხოვნებზე სამშენებლო კონტრაქტორისგან (კომპანია „სპი-კაპაგ-პეტროფაგი") პასუხს ორ დღეში ელოდება. როგორც სააგენტო „მედია-ნიუსს" პროფკავშირის თავმჯდომარემ ნოდარ დვალმა აცნობა, კონტრაქტორის სახელზე წერილობითი მოთხოვნები პროფკავშირმა რამდენიმე დღის წინათ გამართული პირველი შეკრებისას შეადგინა და გადაუგზავნა. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ერთადერთი არჩევანი - ახალი რეალობის გათვალისწინება

პირველი გვერდიდან

აცხადებდნენ "ჩვენი აჭარის" წევრები. ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ავთანდილ გადახაბაძის თქმით, **თავად თემურ ინაიშვილი არ ერიდებოდა კობა ხაბაზისა და "ჩვენი აჭარის" დამფუძნებლების მიმართ სიმპათიების გამოხატვას".**

აჭარის სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები მკვლელობის სხვა მოტივებზე საუბრობენ. ერთ-ერთი ვერსია - გვარებს შორის დაპირისპირებაა, რომელშიც ინაიშვილის ბიზნეს-ინტერესები ფიგურირებს.

როგორ განვითარდება მოვლენები უახლოეს მომავალში? რამდენად შეძლებს ვითარების კონტროლს ან პოზიციების შენარჩუნებას ასლან აბაშიძის ხელისუფლება?

"ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე დავით ბერძენიშვილი აცხადებს, რომ **"აბაშიძის ხელისუფლება ამის შემდეგ ვერანაირ პოლიტიკურ ვითარებას ვერ მოერგება. აჭარის ხელისუფლება წაბრძანდება სახლში და რაც უფრო მალე მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას, მით უფრო დაცული იქნება აჭარის ავტონომიის ლიდერის პირადი უსაფრთხოების გარანტიები. აჭარის ლიდერსა და მიხეილ სააკაშვილს შორის კონსულტაციები შეიძლება მხოლოდ აბაშიძის ხელისუფლებიდან ჩამოშორების თაობაზე იმართებოდეს. სააკაშვილი აჭარის ლიდერთან ფლირტს არ აპირებს".** თავისი პოლიტიკური წარსულის გამო, ბერძენიშვილი თუ აბაშიძის რადიკალურ ოპოზიციად ითვლება, "დემოკრატ" ედვარდ სურმანიძეს ასლან აბაშიძესთან თანამშრომლობის გამოცდილებაც კი აქვს. **"ადგილობრივმა ხელისუფლებამ სერიოზულად უნდა გაითვალისწინოს ის, რაც საქართველოში მოხდა და შესაბამისი დასკვნები გააკეთოს. იგი სერიოზულ დათმობებზე წავიდეს, თუნდაც მასმედიის თავისუფლების და საგანგებო რეჟიმის საკითხთან დაკავშირებით. თუ აჭარის ხელმძღვანელობა ცენტრთან აქტიურად ითანამშრომლებს, მაშინ საზოგადოვება, ალბათ, ხელისუფლების საპარლამენტო გზით ცვლილებას დაელოდება,"** - ამბობს სურმანიძე.



გუშინ აჭარაში 130-მდე ადმინისტრაციულ შენობაზე აღიმართა ახალი დროშა.

თითქმის იგივე მოსაზრება აქვს ყოფილი სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთ წარმომადგენელს, ასევე "აღორძინების" ყოფილ წევრს არმაზ ახვლედიანს: **"1991 წლიდან, როცა აჭარას სათავეში ასლან აბაშიძე ჩაუდგა, დაიწყო მასთან დაპირისპირება, რომელიც სხვადასხვანაირად იჩენდა თავს. ამავე დროს, ბოლო ათი წლის განმავლობაში, აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელობისადმი ცენტრალურ ხელისუფლებას იმპულსური დამოკიდებულება ჰქონდა. ახლა საქართველოს პირველ ხელისუფალს ბათუმისადმი ჩამოყალიბებული პოზიცია აქვს. უმთავრესი ის არის, რომ იგი არც ერთ საკითხზე ბათუმთან ვაჭრობას არ აპირებს. ეს კი აჭარაში პოლიტიკური პროცესის გამოცოცხლებას განსაზღვრავს. ავტონომიის ხელისუფლებას სხვა არაფერი დარჩენია, თუ არა ახალი რეალობის გათვალისწინება. უმთავრესი მოთხოვნა კი სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვფიქრობ, ავტონომიის ხელისუფლება ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებს".**

# აჭარული კვანძის გახსნის მოლოდინი

პირველი გვერდიდან

ვიდრე ოფიციალური თბილისი დუმს, აქტიურობს მოძრაობა "კმარა", რომელმაც რეგიონის ხელისუფალთ მშვიდი ცხოვრება დაურღვია. თავის მხრივ, აჭარის ლიდერიც, ეტყობა, ხვდება, რომ თუ "კმარა" თავის ნებაზე მიუშვა, ავტონომიაზე კონტროლს მთლიანად დაკარგავს. ამიტომ, თბილისში თავისი წარმომადგენლობის მეშვეობით, აბაშიძე ცენტრისგან ითხოვს, რომ აჭარის ტერიტორიაზე "კმარას" ქმედებებს ლაგამი ამოსდოს.

ამ შეტყობინებას ჰამლეტ ჭიპაშვილი საკმაოდ დელიკატურად ახმოვანებს. აჭარის წარმომადგენლობაში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მან "კმარას" კრიტიკას და ლანძღვა-გინებას თავი აარიდა და რბილი განცხადებებით შემოიფარგლა.

**"კმარა" ახალი მოვლენაა და გასაკვირი არ არის, აჭარის ხელისუფლებას მასზე ცოტა სხვაგვარი წარმოდგენა რომ ჰქონდეს. "კმარას" მოჭარბებული აქციები და ამით გამოწვეული ადგილობრივი საზოგადოების გაღიზიანება ცოტა სხვა კუთხიდან არის შესახედი",** - აღნიშნავს ჭიპაშვილი. ასეთ შემრიგებლურ პოზიციას აჭარის წარმომადგენელი იმითაც ამართლებს, რომ **"საპარლამენტო არჩევნებს საზოგადოება ზედმეტი ფორიაქისა და დაძაბულობის გარეშე უნდა შეხვდეს".**

ჭიპაშვილი ასევე მოზომილად საუბრობს იმ ურთიერთობებზეც, რომელიც ამჟამინდელ ცენტრალურ და რეგიონულ ხელისუფლებას შორის არსებობს. იგი მიესალმება ახალი ხელისუფლების განწყობასა და სურვილს, რომ დაიწყოს წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემების მოგვარება. ჭიპაშვილის თქმით, პრეზიდენტ სააკაშვილს ასლან აბაშიძესთან უკვე ჰქონდა რამდენიმე სატელეფონო საუბარი ზოგიერთ საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხზე.

**"ცენტრსა და აჭარას შორის ძალიან სერიოზული კონსულტაციები მიმდინარეობს. აჭარასთან ურთიერთობების მოგვარებით ახალი ხელისუფლების დაინტერესება ძალიან სასიხარულოა",** - აცხადებს ჭიპაშვილი, რომელსაც აქვე არ ავიწყდება იმის თქმა, რომ **"ასეთ ვითარებაში სიტუაციის დაძაბვა დაუშვებელია".** ხოლო იმისთვის, რომ აჭარაში სიტუაციას "კმარა" ძაბავს, აჭარის წარმომადგენელს ხაზი აღარ გაუსვამს.

"კმარას" მიმართ მოკრძალებული "შენიშვნები" აქვს გუშინდელ პრესკონფერენციაში მონაწილე პოლიტოლოგ გიორგი გაჩეჩილაძესაც.



გოჩიტა ბახაიძის ფოტო

"აჭარის ხელისუფლებამ უნდა აღიაროს, რომ მისი როლი 23 ნოემბრის მოვლენებში არაადეკვატური და არაკონსტრუქციული იყო", - აცხადებს გიორგი გაჩეჩილაძე.

**"რასაც "კმარა" თბილისში აკეთებს, იგივე ფორმით ბათუმში არ უნდა გააკეთოს, რადგან ეს აჭარაში შეიძლება აღიქვან, როგორც პროტესტი აღმშენებლობითი პროცესების მიმართ",** - მიიჩნევს გაჩეჩილაძე. ამავე დროს, იგი ასლან აბაშიძეს ერთგვარი მონანიებისკენ მოუწოდებს: **"აჭარის ხელისუფლებამ უნდა აღიაროს, რომ მისი როლი 23 ნოემბრის მოვლენებში არაადეკვატური და არაკონსტრუქციული იყო",** - აცხადებს გაჩეჩილაძე.

საქმე "მონანიებამდე", ალბათ, მაინც არ მივა. აჭარის ლიდერს ამისი სურვილი რომ ჰქონდეს, მაშინ, თუნდაც ახალი პრეზიდენტის გულის მოსაგებად, მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციის პროცესს დაესწრებოდა. ასეთი რამ კი ასლან აბაშიძის გეგმებში გათვალისწინებული არ არის. ცენტრთან მისი გაუცხოება კვლავაც გრძელდება.

# „ლეიბორისტების" პოლიტთამაშები

"ლეიბორისტული პარტია" საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს უზენაეს სასამართლოში ასაჩივრებს. საკმაოდ რთული სათქმელია, კონკრეტულად, რა მიზანს ემსახურება შალვა ნათელაშვილის პარტიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, თუმცა მათი საჯარო არგუმენტები არახალია – "ლეიბორისტები" უზენაეს სასამართლოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გაუქმებას სთხოვენ "შემდეგი გარემოებათა გამო":

**"იანვრის არჩევნების შედეგები ვერ ჩაითვლება კანონიერად, რადგან ის უკანონო, ვადაგასული პარლამენტის" მიერაა დანიშნული** (თუმცა, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნას თავად საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს). **გარდა ამისა, ამომრჩეველთა წინასაარჩევნო რეგისტრაცია უკანონოდ, ანტიკონსტიტუციურად და საერთაშორისო ნორმების დარღვევით ჩატარდა".**

ცენტრალური საარჩევნო კომისიის "ლეიბორისტ" წევრს, ამ სარჩელის ავტორს, ბადრი ნიაურს ეჭვი ეპარება, რომ უზენაესი სასამართლო მის სარჩელს დააკმაყოფილებს, რადგან, როგორც ნიაური აცხადებს, იმავე უზენაესმა სასამართლომ ორი ნოემბრის არჩევნების შედეგები პოლიტიკური დაკვეთის გამო გააუქმა.

ამის მიუხედავად, "ლეიბორისტებს" სასამართლო დარბაზში დამარცხების ნამდვილად არ ეშინიათ. მეტიც – მათთვის უზენაესი სასამართლო ერთგვარ "ტრამპლინადაც" კი აღიქმება, რადგან ამ ინსტანციის (ანუ უზენაესი სასამართლოს) გავლით, "ლეიბორისტულ პარტიას" საშუალება ექნება, არჩევნების შედეგები უფრო "მაღალ ინსტანციებში" (იგულისხმეთ ჯერ საკონსტიტუციო, შემდეგ კი - სტრასბურგის სასამართლოები) გაასაჩივროს. ბუნებრივია, "ლეიბორისტებს" შესანიშნავად ესმით, რომ მათი გადაწყვეტილება შედეგს არ მოიტანს და უზენაესი სასამართლო სარჩელს არ დააკმაყოფილებს. აქედან გამომდინარე, შალვა ნათელაშვილს და მის გუნდს, ალბათ, მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებთ – კვლავ დაიკავონ ის ნიშა (ანუ მოქმედი ხელისუფლების ე.წ. რადიკალური ოპოზიციის ჯერ კიდევ ვაკანტური ადგილი), რომელსაც ნოემბრის ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ გამოემშვიდობნენ.

თუმცა, საეჭვოა, "ლეიბორისტებმა" ერთხელ უკვე დაკარგული ნიშის დაკავება ადვილად შეძლონ, რადგან მათ კონკურენტები უკვე გამოუჩნდათ – როგორც მემარჯვენეები ("ედპ" - "ტრადიციონალისტები" – "ახალი მემარჯვენეები"), ასევე მემარცხენე ორიენტაციის "სოციალისტური პარტია". *24 საათი*

ეკონომიკა

# ნოღაიდელი სტრუქტურულ ცვლილებებს ახორციელებს

*თამბაქოს, ალკოჰოლური სასმელებისა და ნავთობპროდუქტების მწარმოებლებსა და იმპორტიორებს გადასახადების გადახდა პირველი აპრილიდან ახლად შექმნილ სამსახურში – აქციზის გადამხდელთა ინსპექციაში მოუწევთ. ამ სამსახურის შექმნის ინიციატივა ფინანსთა მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს ეკუთვნის; შესაბამისად, აქციზის გადამხდელთა ინსპექცია ხსენებული სამინისტროს დაქვემდებარებაში იქნება და, როგორც ნოღაიდელმა გუშინ სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ქვეყანაში აქციზური საქონლის ბიზნესი მისი მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ მოექცევა.*

ეთერ მამულაშვილი

### იქმნება აქციზის გადამხდელთა ინსპექცია

წინასწარი ინფორმაციით, აქციზის გადამხდელთა ინსპექციაში სამასამდე გადამხდელი გაივლის რეგისტრაციას. აქედან: 29 - თამბაქოს მწარმოებელი და იმპორტიორია, 146 - ნავთობპროდუქტების და 50 - ალკოჰოლური სასმელების. ნოღაიდელის განცხადებით, ამ სამსახურის შექმნის მთავარი მიზანია აქციზური საქონლის კონტრაბანდისა და უკანონო ოპერაციების აღკვეთა.

ავტომატურად შემცირდება მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში რეგისტრირებულ მეწარმეთა რაოდენობა. აქციზის გადამხდელთა ინსპექციის შექმნის პარალელურად გაუქმდება აქციზური მარკების სამსახური და აქციზური მარკების მონიტორინგის ბიურო. ამ და სხვა სტრუქტურული რეფორმის შედეგად დაახლოებით ოთხმოცდაათამდე თანამშრომლით შემცირდება სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სამსახურების საშტატო ერთეული.

ნოღაიდელის ინფორმაციით, უახლოეს დღეებში დაიწყება მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში დარეგისტრირებული კომპანიების ხელახალი რეგისტრაცია და ამ სამსახურის გაძლიერება. ამ ღონისძიების შედეგად "მადნეული", "ჭიათურ-მანგანუმი" და სხვა რამდენიმე მსგავსი საწარმო მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მეთვალყურეობის ქვეშ მოექცევა.

ნოღაიდელის ცოტა უფრო შორეულ სამოქმედო გეგმაში შედის დედაქალაქის ერთიანი საგადასახადო ინსპექციის შექმნა, რაც, სავარაუდოდ, პირველ ივლისამდე უნდა მოესწროს. ამ მორიგი ინიციატივის შესახებ განცხადება ნოღაიდელმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე გააკეთა. მინისტრის თქმით, თბილისის ხუთი საოლქო საგადასახადო ინსპექციის ბაზაზე შეიქმნება ერთიანი საოლქო საგადასახადო ინსპექცია, რომელიც ცენტრალიზებული იქნება. **"არავის ჰქონდეს იმედი, რომ ახლად შექმნილ საგადასახადო ინსპექციას მუნიციპალური მმართველობა გააკონტროლებს. ამას პირადად მე გავუწევ კონტროლს,"** - განაცხადა ნოღაიდელმა.

ფინანსთა მინისტრი საგადასახადო დეპარტამენტის სისტემაში სხვა სტრუქტურულ ცვლილებებსაც გეგმავს; კერძოდ, ქვემო ქართლის, შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონებში საგადასახადო ინსპექციები იმ ფორმით იმუშავებს, როგორც ეს 2000 წელს, მათი რეფორმის შედეგად იყო განსაზღვრული. საოლქო საგადასახადო ინსპექციებს ზონალურ და რაიონულ ინსპექციებთან შედარებით გაცილებით მეტი უფლებები ექნებათ - გაძლიერდება და გაიზრდება მათი პასუხისმგებლობის საკითხიც. **"ისინი არა მარტო საკუთარ რაიონზე, არამედ მთლიანად რეგიონზე აგებენ პასუხს,"** - აღნიშნა ნოღაიდელმა.

### საკადრო ცვლილებები გრძელდება

გუშინ ცნობილი გახდა საკადრო ცვლილებების შესახებაც:

აქტივებით უკანონო ვაჭრობისა და ბიუჯეტის ქაღალდზე შესრულების საკითხებთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში ხუთი საქმეა აღძრული. ამ საქმეებთან დაკავშირებით, ნოღაიდელის ბრძანებით, თანამდებობები დატოვეს დედოფლისწყაროს, ახმეტის, ლაგოდეხისა და ისანი-სამგორის საგადასახადო ინსპექციების ხელმძღვანელმა პირებმა. საქმე ეხება დაახლოებით რვა მილიონი ლარის ფიქტიურად შექმნილი აქტივებით უკანონო ვაჭრობას. ნოღაიდელი ეჭვობს, რომ ხსენებული სამსახურის ხელმძღვანელები ფინანსთა სამინისტროს მაღალჩინოსნების ნებართვის გარეშე ამ ოდენობის ფიქტიურ აქტივებს ვერ შექმნიდნენ. ამჟერად მიმდინარეობს



გოჩიტა ბახაიძის ფოტო

ფინანსთა მინისტრს აქციზური საქონელი მკაცრ კონტროლზე აჰყავს.

გამოძიება ამ მაღალჩინოსნების გამოსავლენად და ბიუჯეტისთვის კუთვნილი თანხების დასაბრუნებლად. ნოღაიდელის განცხადებით, იგი ფლობს ოპერატიულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სამინისტროს აქტივებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის წამოწყების შემდეგ ბევრმა უკვე ნაყიდი აქტივების გამოყენებაზე უარი განაცხადა.

### 2003 წლის ბიუჯეტი მოსალოდნელზე ნაკლებად "გაირღვა"

რაც შეეხება გასული წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას, აქ გარღვევა მოსალოდნელზე 45 მილიონი ლარით ნაკლები იყო. რევოლუციის შემდეგ ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე მოსული ნოღაიდელი ბიუჯეტის გარღვევას 240 მილიონით ვარაუდობდა, თუმცა სხვადასხვა საერთაშორისო დახმარებებისა და ადგილობრივი შემოსავლების მაქსიმალური მობილიზების ხარჯზე, 2003 წლის ბოლოს დეფიციტმა 195 მილიონ 920 ათასი ლარი შეადგინა. მოსალოდნელზე ნაკლებმა გარღვევამ ფინანსთა სამინისტროს დეკემბრის თვის პენსიების, შემწეობებისა და ხელფასების სრული დაფინანსების საშუალება მისცა. ნოღაიდელის ინფორმაციით, დარჩენილია რვა მილიონი ლარის ოდენობის ხელფასის დავალიანება, რომლის იანვრის ბოლომდე გასტუმრების პირობა მინისტრმა გუშინ დადო. **"თვის ბოლოს დაიწყება პენსიონრებისთვის თანხების გადარიცხვა,"** – განაცხადა ნოღაიდელმა.

რაც შეეხება ლტოლვილთა შემწეობებს, ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, სრულად არის დაფინანსებული დეკემბრის თვე. მინისტრმა ნოღაიდელმა გუშინ ის პირობაც გაიხსენა, რომელიც თანამდებობებზე მოსვლიდან ერთ კვირაში დადო. თუკი მინისტრის სიტყვებს ვენდობით, თებერვლის შემდეგ ბიუჯეტის სოციალურ ნაწილში დავალიანებები აღარ დაგროვდება, უფრო მეტიც ნოღაიდელი ამბობს, რომ მისი სამინისტრო დღეს ამ დავალიანებების შემცირებაზე მუშაობს.

# რატომ ჩაიშალა "საოკეანო სანაოსნო კომპანიის" გასხვისების მცდელობა?

*გასულ კვირას "24 საათში" გამოქვეყნებულ მასალას "საოკეანო სანაოსნო კომპანიიის" კერძო ფირმისთვის გადაცემის სურვილისა და ამ გარიგების ჩაშლის თაობაზე, სასწრაფო რეაგირება მოჰყვა "საოკეანო სანაოსნო კომპანიის" ხელმძღვანელობისგან. "სანაოსნოს" გენერალურმა დირექტორმა "24 საათისთვის" გამოგზავნილი მასალებით დაადასტურა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 14 ნოემბრის ბრძანებულებით, შპს "საოკეანო სანაოსნო კომპანიაში" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის 100 პროცენტი მართლაც გადაეცა შპს "თბილისის სანაოსნო კომპანიას", ოღონდ დააზუსტა, რომ საუბარია არა საკუთრებაში, არამედ მართვის უფლებით 10 წლის ვადით გადაცემაზე.*

თამარ ხორბალაძე

თუმცა აქვე, ალბათ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ბრძანებულებაში, რომელშიც საქართველოს პრეზიდენტი ეკონომიკის მაშინდელ მინისტრს გიორგი გაჩეჩილაძეს "საოკეანო სანაოსნოს" შპს "თბილისის საოკეანო სანაოსნოსთვის" სამართავად გადაცემას ავალებდა, არ არის მითითებული არც მართვის ვადა, არც - პირობები.

ცხადია, პირობების განსაზღვრა ხელშეკრულების ძალით უნდა მომხდარიყო, რომელიც გიორგი გაჩეჩილაძემ აღარ გააფორმა. მიაქციეთ ყურადღება: პრეზიდენტის ბრძანებულების თარიღია 14 ნოემბერი - გაგანია რევოლუციის დღეები.

ეკონომიკის მინისტრს ნამდვილად ჰქონდა მოტივაცია, რომ ასეთ გაურკვეველ სიტუაციაში საკმაოდ საეჭვო ხელშეკრულების დადებისგან თავი შეეკავებინა:

შპს "თბილისის სანაოსნო კომპანიას", რომელსაც, პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, "საოკეანო სანაოსნო კომპანიის" 100 პროცენტი უნდა გადასცემოდა სამართავად, ამ უფლების მოსაპოვებლად კონკურსი არ გაუვლია - ყველაფერი სახელმწიფო მინისტრის, მისი მოადგილეებისა და თავად "საოკეანო სანაოსნო კომპანიის" ხელმძღვანელობის მიმოწერით გადაწყდა. ამას წარმოდგენილი საბუთებიც ადასტურებს. ამდენად, არც ერთ სხვა კომპანიას არ ჰქონია შანსი, სახელმწიფოსთვის უკეთესი პირობები შეეთავაზებინა "საოკეანო სანაოსნოს" მართვის სანაცვლოდ.

აქვე საკმაოდ საინტერესოა თავად შპს-ს დამფუძნებელთა გვარები. ისინი თავად "საოკეანო სანაოსნო კომპანიის" ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ საბუთებშია აღნიშნული:

კერძო შპს, რომელსაც სამართავად უნდა აეღო სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი "საოკეანო სანაოსნო კომპანია" და, შესაბამისად, მისი მოგების ოფიციალურ წილში ჩამჯდარიყო (სახელმწიფო საწარმოს დაქირავებული ხელმძღვანელებისგან განსხვავებით, რომლებსაც საწარმოს მართვა მხოლოდ ხელფასის სანაცვლოდ ევალებოდათ), დაფუძნებული გახლავთ სწორედ ამ "დაქირავებული" ხელმძღვანელების, ანუ 100 პროცენტით სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი "საოკეანო სანაოსნო კომპანიის" დირექტორატის მიერ:

2003 წლის სექტემბერში 2000 ლარის საწესდებო კაპიტალით დაფუძნებული "თბილისის საოკეანო სანაოსნო"-ს დამფუძნებელი 34-პროცენტიანი წილით თავად სახელმწიფო "საოკეანო სანაოსნო კომპანიის" დღევანდელი და მაშინდელი გენერალური დირექტორი გურამ დოლბაია გახლავთ, 25-პროცენტიანი წილით - მისი მოადგილე ვლადიმერ შელია, 15-პროცენტიანი წილით მეორე მოადგილე - გიორგი კუხალეიშვილი და დანარჩენი კოლექტივი - 22 ადამიანი - 2 და 1-პროცენტიანი წილებით.

შესაძლოა, ვიღაცას ამისთვის სახელმწიფო ქონების კერძო პირებისთვის "გადაბარება" დაერქმია, რაც საქართველოში არაერთხელ მომხდარა, მათ შორის - იმავე "თბილავიამშენის" შემთხვევაშიც, რომელსაც "საოკეანო სანაოსნო კომპანიის" ხელმძღვანელი "24 საათისთვის" მოწერილ წერილში იხსენიებს.

ფაქტია ისიც, რომ მართვის უფლებით გადაცემის პრაქტიკა აპრობირებულია მთელ მსოფლიოში და მომავალშიც, ალბათ, საქართველო "ამ მიმართულებით სიარულს" ისევ გააგრძელებს; თუმცა, იმედია, რომ ეს პროცესი გამჭვირვალედ, ღიად, კონკურსის წესით მოხდება და, რაც მთავარია - სტრატეგიული ობიექტების მართვის უფლების მომპოვებელი არ იქნება სახელდახელოდ დაფუძნებული შპს-ები.

რაც შეეხება თავად ზემოთ მოხსენიებული გარიგების ჩაშლის მიზეზებს:

"საოკეანო სანაოსნო კომპანიის" გენერალური დირექტორი ირწმუნება, რომ გარიგების ჩაშლა თავად მისი სურვილით მოხდა:

**"ნოემბრის მოვლენების შემდეგ, სახელმწიფო წილით დაფუძნებული საწარმოების მართვის სტრუქტურების შესაძლო ცვლილებებთან დაკავშირებით, ბუნებრივია, შპს "საოკეანო სანაოსნო კომპანია"-მ მიზანშეუწონლად ჩათვალა წილის მართვის უფლების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან, რის შესახებაც სამინისტროს წერილობით ეცნობა 2003 წლის 10 დეკემბერს. შპს "საოკეანო სანაოსნო კომპანიამ" მიიჩნია, რომ დარგის მნიშვნელობის გათვალისწინებით უმჯობესი იქნებოდა, აღნიშნული საკითხი თავიდან განეხილა და გადაწყვეტილება მიეღო ახალ ხელისუფლებას,"** - წერს იგი "24 საათისთვის" გამოგზავნილ წერილში.

# საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის (სესბ-ის) სატრანსფერტო ანგარიშზე 2003 წლის 11 თვის განმავლობაში წარმოებული ფინანსური ოპერაციების მონაცემები

| | დასახელება | საწყისი ნაშთი | გადახდა 2003 წლის დარიცხვის მიხედვით | | | | სულ გადახდილი გასული წლების გათვალისწინებით | | | | დავალიანება პერიოდის ბოლოს | | წინასწარ გადახდილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | დარიცხვა | ფული | სხვა გადახდა | ფულის % დარიცხვაში | ფული | სხვა გადახდა | სულ გადახდილი | დარიცხვის კორექტირება | დავალიანება | ვალის ცვლილების % | |
| 211 | ენგურჰესი | 119,131,986 | 47,554,692 | 10,299,041 | - | 22% | 10,299,041 | - | 10,299,041 | - | 156,387,637 | 31% | - |
| 212 | ვარდნილჰესი | 11,989,927 | 4,005,462 | 970,800 | - | 24% | 970,800 | - | 970,800 | - | 15,024,589 | 25% | - |
| 201 | ვარციხჰესი | 24,788,552 | 6,084,962 | 1,038,841 | - | 17% | 1,038,841 | - | 1,038,841 | (745,329) | 29,089,343 | 17% | - |
| 225 | ძევრულჰესი | 2,833,525 | 1,623,984 | 799,611 | 599,898 | 49% | 799,611 | 969,500 | 1,769,111 | - | 2,688,399 | -5% | - |
| 204 | რიონჰესი | 10,646,277 | 3,634,193 | 791,311 | - | 22% | 791,311 | - | 791,311 | 6,315 | 13,495,473 | 27% | - |
| 207 | შაორჰესი | 3,337,318 | 1,985,242 | 929,344 | - | 47% | 929,344 | - | 929,344 | 181 | 4,393,397 | 32% | - |
| 200 | გუმათჰესი | 5,736,764 | 1,949,115 | 633,208 | - | 32% | 633,208 | - | 633,208 | 28,446 | 7,081,117 | 23% | - |
| 203 | ლაჯანურჰესი | 6,877,526 | 2,593,896 | 1,347,082 | - | 52% | 1,406,082 | - | 1,406,082 | - | 8,065,340 | 17% | - |
| 221 | ხრამჰესი | 325,637 | 424,447 | 108,593 | - | 26% | 108,593 | - | 108,593 | - | 641,491 | 97% | - |
| 213 | ჟინვალჰესი | 2,028,525 | 370,444 | 137,308 | - | 37% | 137,308 | - | 137,308 | 1,129,290 | 3,390,952 | 67% | - |
| 409 | მუნდლეკ ჯეორჯია | 960,756 | 422,695 | 221,823 | - | 52% | 221,823 | - | 221,823 | - | 1,161,628 | 21% | - |
| 205 | რიცეულაჰესი | 574,965 | 228,605 | 108,757 | - | 48% | 108,757 | - | 108,757 | 12,499 | 707,311 | 23% | - |
| 235 | ტირიფონჰესი | 12,444 | 57,523 | 60,000 | - | 104% | 24,490 | - | 24,490 | - | 45,477 | 265% | - |
| 231 | დაშბაშჰესი | 100,984 | 88,265 | 56,169 | - | 64% | 56,169 | - | 56,169 | 100,983 | 234,063 | 132% | - |
| 243 | მაშავერაჰესი | 7,413 | 35,764 | 1,000 | 32,568 | 3% | 1,000 | 32,568 | 33,568 | - | 9,609 | 30% | - |
| 412 | ჩალაჰესი (ქინძმარაული) | 103,255 | 144,100 | 62,966 | - | 44% | 62,966 | - | 62,966 | - | 184,389 | 79% | - |
| 229 | აბჰესი | 90,828 | - | - | - | | 16,500 | - | 16,500 | - | 74,328 | -18% | - |
| 198 | აწჰესი | 234,043 | - | - | - | | 15,000 | 5,348 | 20,348 | - | 213,695 | -9% | - |
| 199 | ბჟუჟაჰესი | 179,055 | - | - | - | | 6,993 | - | 6,993 | - | 172,062 | -4% | - |
| 222 | ჩითახევჰესი | - | - | - | - | | - | - | - | - | - | | - |
| 208 | ჩხორჰესი | 221,216 | 4,700 | 4,700 | - | 100% | 37,469 | - | 37,469 | - | 188,447 | -15% | - |
| 242 | ინწობაჰესი | (7,790) | 73,140 | 16,080 | 57,060 | 22% | 500 | 72,640 | 73,140 | - | - | | (7,790) |
| 209 | კაბალჰესი | - | - | - | - | | - | - | - | - | - | | - |
| 202 | კახარეთჰესი | - | - | - | - | | - | - | - | - | - | | - |
| 218 | მარტყოფჰესი | 33,217 | - | - | - | | - | - | - | 33,217 | 66,433 | 100% | - |
| 236 | მექვენაჰესი | 8,946 | - | - | - | | - | - | - | - | 8,946 | 0% | - |
| 220 | საცხენჰესი | 679,775 | 71,733 | 71,733 | - | 100% | 104,379 | - | 104,379 | 3,993 | 651,123 | -4% | - |
| 234 | სქურჰესი | 74,485 | 6,249 | 6,249 | - | 100% | 47,171 | - | 47,171 | - | 33,563 | -55% | - |
| 421 | ენერი (მისაქციელჰესი) | - | 315 | - | - | 0% | - | - | - | - | 315 | | - |
| 422 | (ალაზანი,მარტყოფი) | - | 90,328 | - | - | 0% | - | - | - | - | 90,328 | | - |
| 427 | ზაჰესი | - | 2,174 | - | - | 0% | - | - | - | - | 2,174 | | - |
| 245 | ეი-ი-ეს მტკვარი | 46,187,206 | 18,873,514 | 13,678,360 | 4,349,092 | 72% | 13,678,360 | 44,582,381 | 58,260,742 | 14,976,578 | 21,776,556 | -53% | - |
| 214 | თბილსრესი | 7,142,106 | 5,643,789 | 926,780 | 28,889 | 16% | 2,388,323 | (3,236,783) | (848,460) | 1,529,500 | 15,163,854 | 112% | - |
| 215 | თბილთეცი | 1,467,592 | - | - | - | | - | 40,130 | 40,130 | - | 1,427,461 | -3% | - |
| 424 | რმკ | - | 34,118 | - | - | 0% | - | - | - | - | 34,118 | | - |
| 425 | თელასი | - | 978 | - | - | 0% | - | - | - | - | 978 | | - |
| 425 | სორეც | - | 46,971 | - | - | 0% | - | - | - | - | 46,971 | | - |
| 328 | ელექტროსისტემა | 157,232,446 | 44,159,844 | 6,922,972 | - | 16% | 6,922,972 | 147,231 | 7,070,202 | 4,253,789 | 198,575,876 | 26% | - |
| 246 | საქრუსენერგო | 33,570,533 | 8,769,179 | 2,085,023 | - | 24% | 2,085,023 | - | 2,085,023 | 221,703 | 40,476,392 | 21% | - |
| 186 | საქრუსენერგო (იმპორტი) | (1,989,918) | - | - | - | | - | - | - | - | - | | (1,989,918) |
| 190 | საქენერგოგენერაცია | (82,897) | - | - | - | | - | - | - | - | - | | (82,897) |
| 189 | პონტოლელი | 905,093 | - | - | - | | 117,640 | 10,200 | 127,840 | (150) | 777,103 | -14% | - |
| 403 | ჰიდროპროექტი | 148,582 | - | - | - | | 44,807 | - | 44,807 | - | 103,775 | -30% | - |
| 410 | ეი-ი-ეს ტრანსენერგეტიკა (ვინქილელი) | 483,520 | 3,602,824 | 249,831 | - | 7% | 1,007,924 | 430,000 | 1,437,924 | 294,950 | 2,943,369 | 509% | - |
| 417 | იმპორტი ელექტროსისტემა (რუსეთი) | - | 10,716,538 | 8,763,438 | - | 82% | 9,815,917 | (1,043,074) | 8,772,843 | (687,839) | 1,255,857 | | - |
| 418 | იმპორტი გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპ. | - | - | - | - | | 78,638 | - | 78,638 | 128,729 | 50,091 | | - |
| 206 | საქენერგორემონტი | 2,289 | - | - | - | | - | 2,289 | 2,289 | - | - | | - |
| 325 | გაზის ტრანსპორტირების კომპანია | 936,908 | - | - | - | | 64,808 | - | 64,808 | - | 872,100 | -7% | - |
| 401 | იტერა | 622,297 | - | - | - | | - | (5,379,328) | (5,379,328) | (5,660,346) | 341,280 | -45% | - |
| 405 | რემენერგოდანადგარი | 222,376 | - | - | - | | 222,376 | - | 222,376 | - | 0 | -100% | - |
| 406 | სათბობენერგოინფორმატიკა | 101,285 | - | - | - | | 14,926 | 52,952 | 67,878 | - | 33,407 | -67% | - |
| 407 | ენერგეტიკის კვლევითი ინსტიტუტი | 332,737 | - | - | - | | 34,586 | - | 34,586 | - | 298,151 | -10% | - |
| 411 | თბილსრესმშენი | 1,070,458 | - | - | - | | - | 1,070,458 | 1,070,458 | - | - | | - |
| 413 | ნაბათი | 43,707 | - | - | - | | 52,844 | - | 52,844 | - | - | | (9,137) |
| | სხვა | - | - | - | - | | - | - | - | - | - | | - |
| 339 | ალსი-ტრანსი | (3,528,000) | - | - | - | | - | - | - | - | - | | (3,528,000) |
| 414 | ბჟჟ ჰესი | (1,500,000) | - | - | - | | - | - | - | - | - | | (1,500,000) |
| 178 | დისპეჩერიზაცია (საქენერგო) | (9,933,294) | - | - | - | | - | - | - | - | - | | (9,933,294) |
| 420 | საქგაზი | - | - | - | 4,096,948 | | - | 4,096,948 | 4,096,948 | 4,096,948 | - | | - |
| 423 | გაზის კომპანია | - | - | - | - | | - | 6,000,000 | 6,000,000 | 5,660,346 | - | | (339,654) |
| 424 | რუსთავის მეტალურგია | - | 78,119 | - | - | 0% | - | - | - | 49,257 | 127,376 | | - |
| | დღგ | 6,828,062 | 10,116,554 | 5,408,760 | - | 53% | 6,072,544 | - | 6,072,544 | - | 10,872,073 | 59% | - |
| | სულ | 431,232,714 | 173,494,455 | 55,699,780 | 9,164,455 | 32% | 60,419,043 | 47,853,459 | 108,272,503 | 25,433,059 | 539,278,417 | 25% | (17,390,691) |

# უკრაინა და პოლონეთი ნავთობსადენის აშენებაზე შეთანხმდნენ

პარასკევს პოლონეთისა და უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ერთობლივი საწარმოს შექმნის თაობაზე შეთანხმებას მიაღწიეს, რომელიც უკრაინაში არსებულ ნავთობსადენს პოლონეთის მიმართულებით გააგრძელებს. ამ მილსადენის მეშვეობით კასპიური ნავთობის დასავლეთ ევროპაში ექსპორტი განხორციელდება.

პოლონეთის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი კომპანია "პერნისა" და უკრაინის "უკრაინნეფტას" ერთობლივი საწარმო 500-კილომეტრიანი მილსადენის მშენებლობას ამ წლის მეორე ნახევრიდან დაიწყებს. პროექტი, რომლის ღირებულება 500 მილიონ ამერიკულ დოლარზე მეტად არის შეფასებული, 2005 წლის ბოლოს უნდა დასრულდეს.

პირველ ეტაპზე ნავთობსადენი პოლონეთ-უკრაინის საზღვრიდან ქალაქ პლოკამდე აშენდება, რომელიც ვარშავიდან 100 კილომეტრით არის დაშორებული. ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ საბოლოოდ ეს მილსადენი საპორტო ქალაქ გდანსკამდე გაგრძელდება, საიდანაც ნავთობი დასავლეთევროპელ მომხმარებლებს ტანკერების მეშვეობით მიეწოდება.

პოლონეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ მარეკ პოლმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ერთობლივი საწარმო სხვა ქვეყნების ინვესტორებისათვის ღიაა. "ამ პროექტის ბუნებრივი პარტნიორები ის ამერიკული ფირმები იქნებიან, რომლებიც კასპიისპირეთში მოღვაწეობენ, აგრეთვე ის ქვეყნები, რომლებიც კასპიური ნავთობით უშუალოდ ისარგებლებენ," - აღნიშნა პოლმა.

პოლონეთი ნავთობის მოწოდების მხრივ თითქმის მთლიანად რუსეთზე არის დამოკიდებული. ამდენად, ამ ნავთობსადენის აშენება პოლონეთისათვის ნავთობის მოწოდების დივერსიფიკაციას უზრუნველყოფს.

2001 წელს უკრაინამ 667-კილომეტრიანი ნავთობსადენი ააგო, რომელიც ოდესას ბროდისთან აკავშირებს, მაგრამ კიევს, ჯერჯერობით, საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია - ამ მილსადენით რუსულ ნავთობს გაატარებს თუ კასპიურს. ამ მილსადენით რუსული ნავთობის გადაზიდვას ვაშინგტონი ეწინააღმდეგება. ამერიკელთა განცხადებით, ეს მოსკოვზე უკრაინის დამოკიდებულებას კიდევ უფრო გაზრდის. უკრაინის ხელისუფლებამ ამის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება 1 თებერვლისთვის უნდა მიიღოს.

*ასოშეიტედ პრესი*

# პოლიტიკური ორთაბრძოლა: კასპაროვი პუტინის წინააღმდეგ

დღეს რუსეთში ახალი ორგანიზაციის - "კომიტეტი-2008" დეკლარაციის გამოქვეყნებას ელიან. უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში ორგანიზაციის მიზანია რუსეთის პრეზიდენტად ისეთი პიროვნების გაყვანა, რომელიც პუტინის მემკვიდრე არ იქნება. "კომიტეტი-2008"-ს, რომელიც მასობრივმა საინფორმაციო საშუალებებმა უკვე "ანტიპუტინურ კომიტეტად" მონათლეს, ჭადრაკის დიდოსტატი გარი კასპაროვი ჩაუდგება სათავეში.

დამფუძნებელთა შორის კი შეგვიძლია ვიხილოთ: მემარჯვენე ძალთა კავშირის ლიდერი ბორის ნემცოვი, გამოჩენილი ჟურნალისტები – ევგენი კისელიოვი, სერგეი პარხომენკო და ვიქტორ შენდეროვიჩი.

ორგანიზაციის პროგრამა-მინიმუმია: **"დემოკრატებმა და პოლიტიკოსებმა 2008 წლამდე უნდა გავძლოთ,"** ხოლო პროგრამა-მაქსიმუმი: **"რუსეთი პუტინის შემდეგ დემოკრატიულ ქვეყნად უნდა ჩამოყალიბდეს."** რაც შეეხება ახალი ორგანიზაციის თავმჯდომარეს, გარი კასპაროვს, ის უკვე დიდი ხანია, პუტინის მოწინააღმდეგე პოლიტიკოსად არის ცნობილი.

რამდენიმე ხნის წინ "ნიუ იორკ ტაიმსში" გამოქვეყნებულ სტატიაში კასპაროვი აცხადებდა, რომ რუსეთში ქონების გადანაწილების პროცესი მიმდინარეობს. მან პირდაპირ დასდო ბრალი რუსეთის პრეზიდენტს ამ პროცესის გაღვივებაში. კასპაროვი ამტკიცებს, რომ ძალოვანი სტრუქტურები უხეშად ერევიან ბიზნესში, ქვეყნის კანონები კრემლში იწერება, ხოლო სახელმწიფო დუმის დეპუტატები კი კერძო ინტერესების ლობირებით არიან გართულნი.

უნდა ითქვას, რომ ეს პოლიტიკაში კასპაროვის ჩართვის პირველი შემთხვევა არ არის. 1996 წელს ის აქტიურად მონაწილეობდა მოძრაობა "მესამე ძალის" ჩამოყალიბებაში, რომლის ლიდერიც უშიშროების საბჭოს მაშინდელი მდივანი, აწ გარდაცვლილი გენერალი ლებედი გახლდათ. ახლა კასპაროვი "კაგებეშნიკ" პრეზიდენტს – ვლადიმირ პუტინს უპირისპირდება.

**"ჩვენ კარგად გვესმის, რომ დეკლარაცია უმცირესობის პოზიციას ასახავს. თუმცა, ეს უმცირესობა ძირითადი დემოკრატიული ღირებულებების ქვეშ არის გაერთიანებული, რომელთა შეუცვლელობა თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს მიერ არის აღიარებული,"** - აცხადებენ "კომიტეტი-2008"-ის წევრები.

**"ამ ღირებულებების უმრავლესობას თანამედროვე რუსეთში ან საფრთხე ემუქრება, ან საერთოდ განადგურებულია. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს ვლადიმირ პუტინის პირველი საპრეზიდენტო ვადის ყველაზე არსებითი შედეგია,"** - ნათქვამია დეკლარაციაში.

"კომიტეტი-2008"-ის დამფუძნებლები დარწმუნებულნი არიან, რომ პუტინის მმართველობის მომავალი ოთხწლეული, მისი პირადი ხელისუფლების გამყარებას მოხმარდება, რითაც რუსეთში დემოკრატიული ინსტიტუტების განადგურების პროცესი საბოლოოდ დასრულდება. **"ჩვენ არ გვინდა ამის დაშვება,"** - მტკიცედ არის ნათქვამი "ანტიპუტინური" კომიტეტის განცხადებაში. 29 იანვარს "ახალი გაზეთის" რედაქციაში "კომიტეტი-2008", იგივე ანტიპუტინური კომიტეტი პირველ სხდომას გამართავს.

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარმა გასული წლის 11 თვის განმავლობაში გენერაციასა და მომსახურე ორგანიზაციებს 60.4 მლნ ლარი აუნაზღაურა, რაც მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის საფასურის 32%-ს შეადგენს. ელექტროენერგიის ყველაზე დიდი მწარმოებლის, კერძოდ, "ენგურჰესის'' დაფინანსება 2003 წლის 11 თვის მანძილზე 7-ჯერ გაიზარდა, ყველა ძირითადმა სადგურმა ამავე პერიოდში 2-ჯერ მეტი თანხა მიიღო, ვიდრე ეს გასულ წლებში ხდებოდა. ელექტროენერგიის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის საწარმოებს კი სესბ-მა 3 -ჯერ მეტი თანხა გადაურიცხა, ვიდრე 2002 წლის განმავლობაში.

აღნიშნულ პერიოდში, სესბ-მა ასევე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია პირდაპირ მომხმარებლებთან მიმართებაში. მათ სესბ-ის სატრანსფერტო ანგარიშზე 32.4 მლნ ლარი გადმორიცხეს. მათ მიერ შესყიდული ელექტროენერგიის საფასურის ანაზღაურებამ ნაღდი ანგარიშსწორებით 84%-ს მიაღწია. სწორედ თანხების ამოღების მაჩვენებლის ზრდას თან მოჰყვა გენერაციისა და მომსახურე ორგანიზაციების დაფინანსების გაუმჯობესებაც.

სამწუხაროდ, კვლავ საკმაოდ დაბალი რჩება გამანაწილებელი ენერგოკომპანიებიდან ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი, 2003 წლის 11 თვის განმავლობაში აღნიშნულმა კომპანიებმა მოხმარებული ელ. ენერგიის საფასურის მხოლოდ 29 % გადაიხადეს. რის გამოც, სესბ-მა მათ ელექტროენერგიისა და სიმძლავრის მოხმარების ლიმიტები გადახდების ადეკვატურად დაუწესა. მიუხედავად ამისა, გამანაწილებელი ენერგოკომპანიები დადგენილ ლიმიტებს აჭარბებენ, რაც მწვავე ენერგოკრიზისის წარმოქმნასა და წყალსაცავებში წყლის დონის შემცირებას იწვევს. სესბ-ი მათ კვლავ ლიმიტების უმკაცრესი დაცვისკენ მოუწოდებს.

2003 წლის 11 თვის განმავლობაში სესბ-ის სატრანსფერტო ანგარიშზე გამანაწილებელი ენერგოკომპანიებისა და პირდაპირი მომხმარებლების მიერ მთლიანობაში გადახდილია მოხმარებული ელექტროენერგიის 41%.

ქვემოთ მოყვანილია სესბ-ის მიერ გენერაციის სხვადასხვა საწარმოებზე გადარიცხული თანხების მონაცემები

| ობიექტის დასახელება | 2000 წ | | 2001წ | | 2002წ | | 2003წ | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მლნ. ლარი | თანხის % | მლნ. ლარი | თანხის % | მლნ ლარი | თანხის % | მლნ. ლარი | თანხის % |
| ენგური | 0.7 | 7.3 | 1.0 | 2.1 | 1.6 | 5.7 | 11.1 | 27.4 |
| ლაჯანური | 0.6 | 60.6 | 0.5 | 32.2 | 0.4 | 32.0 | 1.5 | 57.3 |
| რიონი | 0.4 | 14.0 | 0.4 | 14.0 | 0.4 | 17.1 | 0.8 | 24.9 |
| ვარციხე | 0.4 | 25.1 | 0.5 | 10.8 | 0.6 | 9.7 | 1.1 | 23.1 |
| ვარდნილი | 0.3 | 21.1 | 0.8 | 21.0 | 0.4 | 7.6 | 1.1 | 30.3 |
| ელექტროსისტემა | 1.5 | 2.6 | 1.8 | 3.6 | 2.6 | 5.6 | 7.4 | 17.7 |
| საქრუსენერგო | 0.5 | 7.3 | 0.4 | 5.3 | 0.8 | 10.9 | 2.5 | 31.6 |
| სულ | 4.4 | | 5.4 | | 6.8 | | 25.5 | |

| | დასახელება | ნაწყისი ნაშთი 31/12.2002 | გადახდა 2003 წლის დარიცხვის მიხედვით | | | | სულ გადახდილი გასული წლების გათვალისწინებით | | | | დავალიანება პერიოდის ბოლოს | | წინასწარ გადახდილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | დარიცხვა | გადახდა ფულით | სხვა გადახდა | ანაზღაურებული ფულით % | ფულით | სხვა გადახდა | სულ გადახდილი | დარიცხვის კორექტირება | დავალიანება | დავალიანების ცვლილება % | |
| 335 | აბალაკი | (11) | 28,363 | 27,754 | - | 98% | 27,743 | - | 27,743 | - | 609 | | - |
| 22 | ავეჯი (ქუთაისი) | 12,355 | 137,129 | 116,027 | - | 85% | 130,496 | - | 130,496 | - | 18,989 | 54% | - |
| 184 | აფხაზეთი | 126,434,709 | 33,617,845 | 21,000,000 | - | 62% | 21,000,000 | - | 21,000,000 | - | 139,052,554 | 10% | - |
| 201 | აჭარის ენერგო კომპანია | 29,059,876 | 10,150,952 | 2,375,143 | - | 23% | 1,395,143 | 6,479 | 1,401,622 | - | 37,809,207 | 30% | - |
| 171 | ბიძი | 561,077 | 191,036 | 18,700 | - | 10% | 18,700 | - | 18,700 | 5,143 | 738,555 | 32% | - |
| 344 | ენერგეტიკა XXI | 0 | 23,307 | 23,002 | - | 99% | 23,002 | - | 23,002 | - | 304 | 3040346% | - |
| 295 | ფერი მცხეთა | (54,991) | 121,872 | 78,423 | 33,207 | 64% | - | 105,208 | 105,208 | - | - | | (38,328) |
| 328 | შუმი | 3,249 | 23,236 | 19,551 | - | 84% | 22,220 | - | 22,220 | - | 4,265 | 31% | - |
| 330 | კომპანია | 189,188,313 | 46,900,925 | 3,405,810 | - | 7% | 3,439,470 | 192,337 | 3,631,806 | 356,664 | 232,814,096 | 23% | - |
| 334 | გორგოტა (ხაშური) | (1,489) | 69,890 | 59,813 | - | 86% | 58,324 | - | 58,324 | - | 10,077 | | - |
| 317 | ირაკლი-2000 | (1) | 52,761 | 52,761 | - | 100% | 54,626 | - | 54,626 | 647 | - | | (1,218) |
| 283 | კახეთის სინათლე | 6,082,318 | 1,652,402 | 534,449 | - | 32% | 534,449 | 1,367 | 535,816 | - | 7,198,905 | 18% | - |
| 132 | ენერგია (მცხეთა) | 44,728 | 91,396 | 89,965 | - | 98% | 89,995 | - | 89,995 | - | 46,128 | 3% | - |
| 340 | მეოხი (ქუთაისი) | (86) | 161,272 | 153,880 | - | 95% | 153,794 | - | 153,794 | - | 7,393 | | - |
| 314 | ნაკადული-90 | (983) | 15,868 | 15,537 | - | 98% | 14,553 | - | 14,553 | - | 332 | | - |
| 319 | მატარა კახი | 25 | 40,826 | 37,282 | - | 91% | 37,307 | - | 37,307 | - | 3,543 | 14234% | - |
| 24 | რობა (ქუთაისი) | 6,926 | 70,544 | 64,615 | - | 92% | 71,540 | - | 71,540 | - | 5,929 | -14% | - |
| 158 | რელახი (რუსთავი) | 10,288,029 | 658,637 | 49,587 | - | 8% | 49,587 | (223,993) | (174,406) | - | 11,121,072 | 8% | - |
| 159 | რუსთავშენი-2000 | 238,565 | 331,287 | 318,596 | - | 96% | 320,531 | 223,993 | 544,524 | 110 | 25,438 | -89% | - |
| 338 | ხეთი | (4) | 125,154 | 123,982 | - | 99% | 123,981 | - | 123,981 | - | 1,170 | | - |
| 327 | სინათლე-2 (ტყიბული) | 663 | 4,021 | 2,644 | - | 66% | 2,644 | - | 2,644 | - | 2,040 | 208% | - |
| 188 | თელასი | 33,424,243 | 21,655,048 | 5,292,387 | 3,338,853 | 24% | 6,526,437 | 42,969,268 | 49,495,705 | (2,580,790) | 3,002,795 | -91% | - |
| 298 | ეინნაში | 135,156 | 129,091 | 75,948 | - | 59% | 75,948 | - | 75,948 | - | 188,300 | 39% | - |
| 26 | ენერგია-98 (წყალტუბო) | 1,107,747 | 64,505 | 12,500 | - | 19% | 12,500 | - | 12,500 | - | 1,159,752 | 5% | - |
| 349 | ვამა | - | 8,674 | 8,625 | - | 99% | 8,625 | - | 8,625 | - | 49 | | - |
| 351 | აწყები | - | - | - | - | | - | 5,348 | 5,348 | 5,348 | - | | - |
| 348 | ელექტრომექანიკოსი | - | 46,928 | 42,852 | - | 91% | 42,852 | - | 42,852 | - | 4,076 | | - |
| 352 | ენერგოცენტრი (გურჯაანი) | - | 13,313 | 12,400 | - | 93% | 12,400 | - | 12,400 | - | 913 | | - |
| | სულ ენერგო კომპანიები | 396,530,414 | 116,386,281 | 34,012,231 | 3,372,060 | 29% | 34,246,866 | 43,280,007 | 77,526,873 | (2,212,878) | 433,216,489 | 9% | (39,546) |
| 161 | აზოტი | 19,544,313 | 7,266,915 | 3,710,224 | 4,096,948 | 51% | 3,164,233 | (737,581) | 2,426,652 | (74,411) | 24,310,164 | 24% | - |
| 144 | ბარისახო (მცხეთა) | 13,384 | 998 | - | - | 0% | - | - | - | - | 14,382 | 7% | - |
| 331 | ბორჯომის ქარ. №2 | - | 56,425 | 45,738 | - | 81% | 45,738 | - | 45,738 | - | 10,687 | | - |
| 198 | ამალთეა | 37,264 | 45,466 | 45,466 | - | 100% | 64,634 | - | 64,634 | - | 18,096 | -51% | - |
| 143 | ემასი | (17,814) | 121,364 | 24,314 | - | 20% | 6,500 | - | 6,500 | - | 97,050 | | - |
| 183 | ფერო | 19,036,549 | 14,011,497 | 13,065,622 | - | 93% | 13,331,547 | 1,070,458 | 14,402,005 | (3,476,938) | 15,169,104 | -20% | - |
| 345 | ფორტე | - | 17,631 | 17,631 | - | 100% | 17,758 | - | 17,758 | - | - | | (127) |
| 80 | პოთის პორტი | (5) | 236,502 | 223,010 | - | 94% | 223,004 | - | 223,004 | - | 13,492 | | - |
| 79 | პოთის წყალკანალი | 273,666 | 53,604 | 36,500 | - | 68% | 36,500 | - | 36,500 | - | 290,769 | 6% | - |
| 342 | იკა | - | 2,311 | 552 | - | 24% | 552 | - | 552 | (1,074) | 685 | | - |
| 118 | კასპიცემენტი | 1,294 | 301,733 | 285,850 | - | 95% | 287,144 | - | 287,144 | - | 15,883 | 1128% | - |
| 170 | კახეთი საქართველო | 1,452 | 24,147 | 20,784 | - | 86% | 21,365 | - | 21,365 | - | 4,234 | 192% | - |
| 185 | კავკასპეტკომპანი | 1,538 | 66,813 | 55,935 | (28,475) | 84% | 90,037 | (28,475) | 61,562 | - | 6,789 | 341% | - |
| 332 | ლომბარდ-ჯორჯია | (0) | 46,127 | 34,771 | - | 75% | 34,770 | - | 34,770 | - | 11,357 | | - |
| 187 | მადნეული | (4,937) | 2,252,093 | 2,252,092 | - | 100% | 2,247,155 | - | 2,247,155 | - | 1 | | - |
| 172 | მინა ქსანი | 1,205 | 478,196 | 478,196 | - | 100% | 482,679 | - | 482,679 | - | - | | (3,278) |
| 56 | ქუთაისის ავტოქარხანა | (12) | 284,652 | 270,926 | - | 95% | 270,914 | - | 270,914 | - | 13,726 | | - |
| 310 | პურის მიმღები (ქუთაისი) | 51,774 | 58,222 | 45,313 | - | 78% | 47,474 | - | 47,474 | - | 62,522 | 21% | - |
| 324 | რიცეულმაქსი | 69,859 | 104,542 | 4,000 | - | 4% | 4,000 | - | 4,000 | 14,483 | 184,885 | 165% | - |
| 182 | რუსთავცემენტი | 42,356 | 1,206,821 | 1,017,019 | - | 84% | 1,017,019 | - | 1,017,019 | - | 232,158 | 448% | - |
| 157 | კომბინატი | 2,585,263 | 291,745 | 110,278 | - | 38% | 110,278 | - | 110,278 | - | 2,766,730 | 7% | - |
| 186 | რკინიგზა | (2,292,854) | 8,469,371 | 8,469,372 | - | 100% | 6,176,518 | - | 6,176,518 | - | - | | (1) |
| 341 | სახდაცვის დეპარტამენტი | 153 | 1,042 | 742 | - | 71% | 794 | - | 794 | - | 401 | 161% | - |
| 174 | თბილგანათება | 157 | 146,189 | 120,504 | - | 82% | 120,661 | - | 120,661 | - | 25,685 | 16309% | - |
| 173 | თბილმეტროპოლიტენი | 140,270 | 655,849 | 555,160 | - | 85% | 692,000 | - | 692,000 | - | 104,119 | -26% | - |
| 197 | თბილწყალკანალი | 1,865,062 | 761,353 | 664,315 | 97,038 | 87% | 961,873 | 941,000 | 1,902,873 | 27,390 | 750,932 | -60% | - |
| 343 | თეგინი | - | 3,313 | 1,605 | - | 48% | 1,605 | - | 1,605 | (1,547) | 161 | | - |
| 175 | საწარმო | 75,219 | 160,623 | 147,182 | - | 92% | 196,682 | - | 196,682 | (656) | 38,504 | -49% | - |
| 40 | ტყიბულის საქნახშირი | 2,451,974 | 659,400 | 238,832 | - | 36% | 238,832 | - | 238,832 | - | 2,872,542 | 17% | - |
| 31 | ჭიათურმანგანუმი | 272,552 | 597,822 | 317,875 | 28,500 | 53% | 317,875 | 28,500 | 346,375 | (76,577) | 447,422 | 64% | - |
| 214 | თბილხრესი | 0 | 214,563 | - | 159,370 | 0% | - | 191,206 | 191,206 | - | 23,357 | 233569273% | - |
| 347 | საქენერგორემონტი | - | 9,166 | 2,623 | - | 29% | 2,623 | 2,289 | 4,912 | - | 4,254 | | - |
| 350 | კოკა-კოლა | - | 235,056 | 206,580 | 28,475 | 88% | 206,580 | 28,475 | 235,055 | - | 0 | | - |
| 354 | ფრონტერა | - | 15,411 | 12,983 | - | 84% | 12,983 | - | 12,983 | - | 2,428 | | - |
| 358 | აქჯალა | - | 9,812 | 9,000 | - | 92% | 9,000 | - | 9,000 | - | 812 | | - |
| | სულ პირდაპირი მომხმარებლები | 44,149,682 | 38,866,772 | 32,490,993 | 4,381,856 | 84% | 30,441,329 | 1,495,872 | 31,937,201 | (3,589,331) | 47,493,329 | 7.6% | (3,406) |
| 353 | ელექტროსისტემა (დანაკარგი) | - | 5,986,172 | - | - | 0% | - | - | - | 10,305,428 | 16,291,599 | | - |
| | სულ | 440,680,096 | 161,239,225 | 66,503,224 | 7,753,916 | 41% | 64,688,195 | 44,775,879 | 109,464,073 | 4,503,219 | 497,001,418 | 12.8% | (42,952) |

უსტაბაში

ირაკლი ბერიაშვილი

## მწვიტინები

ამ სიტყვას კახეთში ხმარობენ და დაახლოებით მავნეს ნიშნავს, მაგრამ მხოლოდ დაახლოებით. მწვიტინა – ეს არის მავნე, რომელსაც არც ზიანის მოტანის ტრაკი აქვს და არც გუნება; ძალიან უნდა, გავნოს, მაგრამ, დიდი-დიდი, იმას ახერხებს, რომ უსაგნო კინკლაობაში გამოგიწვევს, ნერვებს აგიშლის და მერე, ერთი-ორი ქითის თუ დაიმსახურა, საქვეყნოდ მოჰყვება ღრიალს – მიშველეთ, მჩაგრავენ! მკითხველს პატიებას ვთხოვ მკვახე, ხშირად ეგრეთ წოდებული უცენზურო სიტყვების ხმარებისთვის, მაგრამ რა ვქნა, როცა გარშემო ამდენი საქმეა და სწორედ ამ მდგომარეობაში.

ყველა დროს თავისი გმირი ჰყავს. ახალი დროების შესაბამისად, ახალი გმირები გამოდიან ასპარეზზე. დღეს მწვიტინები მომრავლდნენ.

ამ წერილში უპრიანად მოვიქცევი. მსხვილ-მსხვილებით დავიწყებ და წვრილებით, თუმცა, საკმაოდ ელვარე ფერებით განყობილი წვრილებით დავასრულებ. მსხვილებში, რა თქმა უნდა, პარტიებს, ერთ დროს ასე თუ ისე სიმპათიურ პარტიებს – ტრადიციონალისტებსა და მემარჯვენეებს ვგულისხმობ. თუმცა, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეს სუბიექტები აღარც სიმპათიურები არიან და აღარც მსხვილები. მწვიტინებად იქცნენ. სხვას ვერაფერს დავარქმევ იმათ, ვინც ახალი სახელმწიფო დროშის ირგვლივ ერთი ამბავი ატეხეს. ნაჩქარევიაო, ქართული არ არისო, პარტიულიაო, ... გასაგებია, რომ მიზეზი სულ ბოლო სიტყვა იყო, დანარჩენი კი – მხოლოდ საბაბი, მაგრამ ასეთ მიზეზსაც უნდა გაეცეს პასუხი და საბაბსაც. ამასთან, მკითხველი, ალბათ, არ დამძრახავს, თუ ცოტას ვიტრაბახებ კიდეც. ეს დროშა – ხუთჯვრიანზე საუბარი – 1988 წლიდან მახსოვს, მაგრამ მის წარმომავლობაზე პირველი წერილი, შესაბამისი რუკითა და დროშის ერთ-ერთი ვერსიით, 1997 წელს დაიბეჭდა გაზეთ "ტელეფონის ყურმილში", რომელსაც რედაქტორის რანგში თქვენი მონა-მორჩილი აწერდა ხელს. თვითონ ეს აქცია კი მხატვარ ვახტანგ რურუასა და გამოკვლევის ავტორის, აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის მცდელობის შედეგი გახლდათ. მაშინ, 1997 წელს, არც ნაციონალური მოძრაობა არსებობდა და, შესაბამისად, მისი საააკაშვილს ეს დროშა ნანახი არც ჰქონდა. ასე რომ, ძალიან ემოციური მემარჯვენე კოლეგების მიერ სახელმწიფო დროშის პარტიულ კუთვნილებად გამოცხადება ელემენტარული ტყუილია.

ახლა, რაც შეეხება ტრადიციონალისტებს. 1992 წელს, როცა სახელმწიფო დროშას ამტკიცებდნენ, არც ერთ მათგანს რატომღაც არ გახსენებია, რომ საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე, არც ერთ ეპოქასა და არც ერთ კუთხეში, ამ დროშის მსგავსი კი არა, მისმსგავსებული ფერებიც კი არ მოიპოვება. აღარაფერს ვიტყვი შავი და თეთრი ზოლების თითიდან გამოწოვილ სიმბოლიკაზე და დროშის ძირითად ფერზე; რატომღაც არ გახსენებიათ, რომ წითელი ფერიცა და მთელი ეს დროშაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის პარტიული კუთვნილება იყო. ასე რომ, ამათაც, ტრადიციონალისტებსაც, სავსებით ნათელია, სააკაშვილის სინდრომი სჭირთ.

დროშასთან ერთად მწვიტინებმა გერბზეც მიიტანეს იერიში. სალაპარაკოდ იქცა ფარის ერთ მეოთხედში ჩახატული ორთავიანი არწივი, რომელიც ან დარჩება, ან – არა. აქცენტი იმაზე კეთდება, რომ ორთავიანი არწივი ქართველების წარმოდგენაში რუსულ გერბს განასახიერებს. ჯერ ერთი, ორთავიანი არწივი ბიზანტიის იმპერიის გერბიდან იქნა ნასესხი, ... რუსებმა ის ბიზანტიისგან იმემკვიდრეს, ჩვენთვის კი ეს თუნდაც ეკონომიკური, თუნდაც კულტურული ურთიერთობის ბუნებრივი შედეგია. ეს ისე, სხვათა შორის, ასე ვთქვათ, სალაღობოდ, მაგრამ მთლად სალაღობოდ არ იყო ჩემი ერთი მეგობრის ნათქვამი: კომნენების საიმპერატორო დინასტიის შთამომავლებში ორი გენიალური მსახიობიაო – ერთი იტალიელი ტოტო (რომლის ნამდვილი გვარი კომნენია), მეორე – ნატო ვაჩნაძე, ჩვენი საამაყო რეჟისორების, გიორგი და ელდარ შენგელაიების დედა.

მაგრამ დავუბრუნდეთ მწვიტინებს. ისინი, ვინც ამ ეპითეტს იმსახურებენ, ცუდი თვალით უყურებენ 96 პროცენტს. არაფერს არ ვიტყვი. ერთი წუთით წარმოიდგინეთ დღევანდელ საქართველოში ისეთი ვითარება, როცა ერთი კანდიდატი 51 პროცენტს მოაგროვებდა, მეორე კი – 49-ს. ღმერთმა დაგვიფაროს შესაძლო ბარდაკისგან! როგორ ფიქრობთ, 49-იანის მომხრეები მხოლოდ მწვიტინების როლით დაკმაყოფილდებოდნენ? ჩვენ ხომ არც ამერიკა ვართ და არც ინგლისი, რომ ერთი ხმის უპირატესობით გამარჯვებულს მეტოქემ თავი დაუკრას და, რაც მთავარია, უპრობლემოდ აღიაროს მარცხი. ასე რომ, 96 პროცენტი სწორედ საჭირო იყო, ისევე როგორც აუცილებელია 7-პროცენტიანი ბარიერის შენარჩუნება. დღევანდელი ვითარებისთვის სავსებით საკმარისია სამოქალაქო – ტელევიზიას, პრესასა და წვრილ-წვრილ, თუნდაც, ქუჩის აქციებს ვგულისხმობ – ოპოზიცია. პარლამენტმა კი, ჩემი აზრით, სულ მცირე, წელიწადის განმავლობაში მშვიდად და ეფექტურად უნდა იმუშაოს.

საოცარია, მაგრამ არასდროს, არც ერთხელ არ გავულიზიანებივარ ელენე თევდორაძის მიერ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს – სულ ერთია, ვის მიმართაც არ უნდა ყოფილიყო ეს მიმართული.

არც ერთხელ! პოლიტიკაში ასეთი რამ იშვიათია, რასაც ვერ ვიტყვი ასევე ადამიანის უფლებების დამცველ ნანა კაკაბაძეზე და, მით უფრო, ზოგიერთ ადვოკატზე, უფრო ზუსტად, მწვიტინა ადვოკატებზე.

თავის დროზე ძალიან მომეწონა და აუცილებლად უნდა გავიმეორო მარტი ლარნის ერთი მშვენიერი გამონათქვამი: მამაკაცის ღირებულების ერთადერთი ნაღდი მტკიცებულების წყაროა მეძავი ქალი, რომელმაც უარი თქვა გასამრჯელოს აღებაზეო.

მიმდინარე მოვლენებზე დაახლოებით ეგეთი დონის მტკიცებულება მივიღე ამას წინათ, როცა მეზობლის ბიჭმა, ძირითადად, ბირჟაზე რომ დგას და ფურთხებითაც, ჩვეულებრივად კი არა, კბილებიდან რომ გამოაწიტებენ ხოლმე, აი, ფირმენის რომ ეძახიან, ისე იფურთხება და დროდადრო არც პლანზე ამბობს უარს, აი, იმ ბიჭმა თქვა – ცხოვრებაში პირველად ვარ ძაღლების მხარესო.

მოპარულის დაბრუნებასა და დანაშაულის შემსუბუქებას, არ ვიცი, იუმორით თუ სერიოზულად გამოეხმაურა "რუსთავი 2"-ის ერთ-ერთი მოკლე ტექსტური შეტყობინება: ჩემი მეზობელი ინდაურის ქურდობისთვის ზის, ხუთს მოვიყვან და გამოუშვითო.

მარტო იმ კაცის მეზობელი არა, ბევრი ასეთი ზის ციხეში. ადვოკატებს მათთვის არ სცალიათ. აი, მილიონების მოპარვისთვის ბრალდებულ ჩხაიძესა და მირცხულავას კი სამ-სამი და, როგორც ამბობენ, ერთიმეორეზე უკეთესი ადვოკატები ახვევიათ თავს.

ჩემი მეზობლის ბიჭისა არ იყოს, ცხოვრებაში მეც პირველად გადამიბრუნდა ტვინი. წიგნებშიც, ფილმებშიც, ცხოვრებაშიც, თან იმასაც არ ჰქონდა მნიშვნელობა, ვის იცავდნენ, სულ იმათ მხარეს ვიყავი. ახლა, ალალად უნდა ვთქვა, ძალიან მაღიზიანებენ, განსაკუთრებით, მწვიტინა ადვოკატები. ყველაზე უფრო კი წითელი მაიმუნის ქურქიანი, ნაპატივები სახის ადვოკატი ქალი მიშლის ნერვებს. მეტყვიან, კანონი ითვალისწინებს, კანონით უფლება აქვს, კანონითო...

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ამ ყბადაღებულ კანონს ან ამ კანონის ტრფიალთ ერთხელ მაინც თუ მოუვიდათ თავში, რომ ინდაურის მოპარვისას ის კაცი, შესაძლოა, ორი დღის მშიერი იყო, ანდა, სულაც, მშიერი ბავშვები ელოდებოდნენ შინ. კაცმა იმ დღეებში ვერც კლიენტი იშოვა ელიავას ბაზრობაზე და დედამისის თოთხმეტლარიანი პენსიაც, სხვა პენსიებთან ერთად, ბანკიდან ბანკში ტრიალებდა პროცენტების დასაგროვებლად. მერე იმ კაცს პოლიციით დაშინებული უნიჭო ადვოკატი მიუგდეს და ციხისკენ დაულოცეს გზა, რადგან სულ ბოლო იმედი, ნაფიც მსაჯულთა სახით, ამ ქვეყანაში, საუბედუროდ, არ არსებობდა. წითელი მაიმუნის ქურქიანი დედაკაცი კი, ახლა მწვანე მაიმუნის ქურქში გახვეული, გასისინებულ ავტომობილში ჯდებოდა და ინდაურის ქურდისთვის არ ეცალა, უფრო მსხვილი ქურდები ჰყავდა დასაცავი.

მწვიტინები ჩვენს, ჟურნალისტებს შორისაც საკმარისად არიან. თუმცა, რას ვამბობ, აბა, აქ არიან, თუ არიან! რა ამბავი ატეხეს ქურდის დასაცავად მოწყობილი აქციის დაშლაზე! არადა, ვინც ყველაზე მეტს ყვიროდა, ერთხელაც არ გახსენებია ბათუმში ნაცემი და დაჭერილი ბიჭები. ერთი რამ ვერ გამიგია. ახლახან არ იყო, ორპირი კაცი რომ გადმოვაგდეთ ტახტიდან, ოცდაათი წელიწადი რომ აბითურებდა ქვეყანას? გუშინწინ თუ გუშინწინისწინ არ იყო, და უცებ ჰოლანდიელებზე, ინგლისელებზე, გერმანელებზე დემოკრატები გავხდებით ორ დღეში? ანდა, კინოში ან ტელევიზიით არ გინახავთ, იმავე ქვეყნებში როგორ ექცევიან გზის გადამკეტავებს? კანონი ყველასა და ყველაფერს ვერც გასწვდება და ვერც ივარაუდებს. ამიტომ კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოსო, ყოველთვის სწორი არ არის. ზუგდიდშიც ეწყობა ლტოლვილთა მრავალდღიანი აქციები, მაგრამ ვის მოუბრუნდება ენა ან ხელკეტი მათ დასარბევად?

ჟურნალისტები მუშაობენ ტელევიზიაში და, სავსებით ბუნებრივია, რომ არსებობენ მწვიტინა ტელეარხებიც. აჭარის ტელევიზიაზე ლაპარაკიც არ ღირს, თუმცა, ამ კატეგორიას, მწვიტინებს ვგულისხმობ, მეტ-ნაკლები ალბათობით, შეიძლება მივაკუთვნო "იბერიაცა" და მიკიც, მაპატიეთ, "მზეც". ეს საკმაოდ ორიგინალურად დამიდასტურა ჩემმა ათი წლის ქალიშვილმა. გუშინ, დილით, გაიღვიძა თუ არა, ისეთი სიზმარი ვნახე, ძალიან გაგიხარდებაო. საახალწლოდ რომ მიყიდე, იმაზე მაგარი ასაფეთქებლები მაჩუქეს. მთელი კოლოფი. საახალწლო ზეიმზე ვიყავი, ყველანი იქ იყვნენ. შუშხუნებს ცეცხლი წავუკიდე, "მზერის" კორესპონდენტებს მივუგდე და გამოვიქეციო.

ვწუხვარ, რომ ჩემს ქალიშვილს ტერორისტული მიდრეკილებები აღმოაჩნდა, მაგრამ იმ ფაქტმა, რომ ობიექტი მაინცდამაინც "მზერა" გამოდგა, ოდნავ დამამშვიდა.

დღეს სიმდიდრის არა მარტო გარეგნული ნიშნების მქონე ხალხს იწვევენ სამართალდამცავები.

ნეტა, ამავე ნიშნების მქონე ადვოკატებს არ დაპატიჟებენ?

რეპორტაჟი

# ერთი დღე "ოსეთის" "დედაქალაქში"

ბოცო ქვაბთაძე

*ცხინვალის შესასვლელში, ერგნეთთან ახლოს მოწყობილ საკონტროლო გამშვებ პუნქტთან იმ დღეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეუმოწმებიათ. რეგიონში დისლოცირებული რუსეთის სამშვიდობო ძალების ოფიცერმა "ოსეთის" დედაქალაქში მიმავალნი ფორმალურად შეგვათვალიერა და ბედნიერი მგზავრობა გვისურვა...*



ასე მიაცილებენ ქართულ დელეგაციას ცხინვალში.

ვათვალიერებ დიდი ხნის უნახავ ცხინვალს.

"დამოუკიდებლობის" თორმეტი წლის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა ქართველთა ყოფილ ქალაქში. ცხინვალს დაპატრონებულ "დემოკრატიული" ქვეყნის მშენებლებს უპირველეს ამოცანად აბორიგენი მოსახლეობის მრავალსაუკუნოვანი ყოფიერების კვალის წაშლა განუზრახავთ. "ოსეთის" ხელისუფლებას განსაკუთრებული ყურადღება მხარეთმცოდნეობის მუზეუმში არსებულ ექსპონატებზე გაუმახვილებია. მუზეუმის ადრეფეოდალური თუ გვიანი ხანის მასალები სრულ წარმოდგენას იძლეოდა, როგორი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული თუ რელიგიური მდგომარეობა იყო რეგიონში. ექსპონატებიდან ცნობილი ხდებოდა, თუ რომელ საუკუნეებში და როგორ პოლიტიკურ ვითარებაში ჩამოსახლდნენ ოსები საქართველოში; როგორი იყო მათი სამეურნეო და კულტურული, რელიგიური მდგომარეობა; ოსმა ხალხმა როგორ დაიწყო ქართველებთან ერთიანი, მეზობლური ცხოვრება.

სამწუხაროდ, შიდა ქართლში ამტყდარმა ხელოვნურმა კონფლიქტმა და ზოგიერთი ოსი ისტორიკოსის "მაღალი დონის მეცნიერულმა" გამოკვლევებმა, მუზეუმს მთლიანად შეუცვალა სახე. განყოფილების ყაფაზებიდან მთლიანად გაქრნენ ქართველთა ცხოვრების ამსახველი ექსპონატები... დღეს მუზეუმი მნახველს ისეთ შთაბეჭდილებას უქმნის, თითქოს, ე.წ. სამხრეთ ოსეთში ოსები აბორიგენული მოსახლეობაა, ქართველები კი, სულ რაღაც, ასი ან ორასი წლის დასახლებულები არიან... საბედნიეროდ, მუზეუმის სიახლოვეს ძირძველი მოსახლეობის ყოფიერების აღსანიშნავად ქართველთა მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული ქმნილებების ლაპიდარული წარწერები მაინც შემორჩა.

ქალაქის ქრისტიანულ ქმნილებათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას მუზეუმის გვერდით აგებული ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი - ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია იპყრობს, რომელიც რეგიონში ქართულ-ოსური კონფლიქტის დაწყებამდე მოქმედი გახდა. კონფლიქტის დაწყების პირველსავე დღეებში მონასტერი სასტიკად დაარბიეს. ამ სამი წლის წინათ კი "ოსეთის" მთავრობამ გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა ეკლესიის რესტავრაციისათვის; ოს მხატვართა და კირითხუროთა "სანაქებოდ" უნდა ითქვას, რომ მათ ყველაფერი გააკეთეს ეკლესიაზე შემორჩენილი ქართული წარწერებისა და ფრესკების გასანადგურებლად.

### მორწმუნე ოსი

იმ დღეს ეკლესიის შესასვლელთან შუახანს გადაცილებული კაცი სანთლებს ანთებდა. ქვეყნის შემქმნელ-შემოქმედს საკუთარი სურვილების შესრულებას შესთხოვდა.

იგი ცხინვალელი აღმოჩნდა.

**- წირვაზე იყავით?** - ვკითხე.

მან კითხვაზე თავის დაკვრით მიპასუხა.

**- მღვდელი წირვა-ლოცვას რომელ ენაზე აღავლენს?**

- რომელ ენაზე უნდა ასრულებდეს, რუსულად... - მიპასუხა გაკვირვებულმა.

**- თქვენთვის ოსურ ენაზე არ აჯობებდა?**

- რა თქმა უნდა. ოსი მღვდელიც გვყავს, მაგრამ... რა ვიცი, ოსები, ძირითადად, რუსულად ლაპარაკობენ და, - აღარ დაამთავრა სიტყვა.

**- რატომ რუსულად, აქ ხომ საქართველოა?**

მოსაუბრე მიმიხვდა ჩანაფიქრს და მკვახე ტონით მომახალა:

- საქართველო კი არა, აქ ოსეთია. "კამუ ნუჟნა" თქვენი ქართული?

**- ეკლესია ხომ ქართულია?**

- ქართული კი არა და... ქართველებს ოსეთი რო ჰქონდათ დაპყრობილი, მაშინ მიისაკუთრეს ჩვენი "პრედკების" აშენებული ეკლესია.

**- ისე გამოდის, რომ ცხინვალი ოსების დაარსებული ქალაქია?**

- მაგაში ეჭვი ვის ეპარება? "ოსეთში" ქართველების მოსვლამდე ალანსკვითები ცხოვრობდნენ, მაგრამ "საბჭოთა ვლასტის" დამყარების შემდეგ "ოსეთი" ქართველებმა სტალინის წყალობით დაიპყრეს.

**- ამბობენ, - სტალინიც ოსი იყოო?**

- ქართველებმა წაგვართვეს.

**- საინტერესოა, თუ ოსი იყო, ქართველებს რატომ დაუყვა მხარი?**

- დაუჯერა, მაგრამ სიმართლემ მაინც თავისი გაიტანა, - მიპასუხა და ხელი პარლამენტის შენობასკენ გაიშვირა, რომლის თავზეც "დამოუკიდებელი ოსეთის სახელმწიფო" დროშა ფრიალებდა, - ჩვენ მაინც დავიბრუნეთ ჩვენი მიწა-წყალი.

**- ეს რა ქანდაკებაა?**

- ქართველებისა და ოსების ომში მამულის დაცვისათვის დაღუპული ოსი "ბოევიკებისადმია" მიძღვნილი.

### ქართველი დევნილები

ცხინვალის ტელევიზიით გამოსულმა "ოსეთის" პრეზიდენტმა ედვარდ კოკოითიმ განაცხადა, - "ოსეთის" დამოუკიდებელი რესპუბლიკა ოსი ხალხის ისტორიული მონაპოვარია და ქართველ ლტოლვილებს თუ სურთ ჩვენთან ცხოვრება, დაბრუნდნენ, მათთვის შექმნილია შრომისა და ცხოვრების ნორმალური პირობებიო.

ამის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ ცხინვალიდან დეპორტირებულ რამდენიმე ქართველს.

**ს. ბერუაშვილი:**

ყველა ლტოლვილმა კარგად იცის, რომ კოკოითი ის პოლიტიკური პიროვნებაა, რომელიც აშკარად ცდილობს ქართული მიწა-წყლის მიტაცებას. ამჯერად მისი მიზანი ის არის, რომ დეპორტირებულები შეცდომაში შეიყვანოს, ცხინვალსა და ყორნისის რაიონში დააბრუნოს და მსოფლიოს დაანახოს, რომ "ოსეთში" ქართველები ცხოვრობენ და ხელისუფლება აშკარად იცავს მათ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს.

რადგანაც ცხინვალში დაბრუნების იმედი აღარ მაქვს, მინდოდა, დროებით ჩავსულიყავი, რომ ჩემი კუთვნილი სახლკარი გამეყიდა (იქ ახლა ერთი ოსი ცხოვრობს) და შემდეგ უკან დავბრუნებულიყავი, მაგრამ არ გამომივიდა. პრეზიდენტის აპარატის მუშაკების მითითებით, განცხადებაში უნდა აღმენიშნა, რომ იურიდიულად ვაღიარებ "ოსეთის" რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, ვიღებ მის მოქალაქეობას და ვაცხადებ, რომ "ოსეთ"-საქართველოს "ომში" მონაწილეობა არ მიმიღია.

**ზ. დათაშვილი:**

ოსებმა სახლ-კარი გადამიწვეს. ჩემი დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ ქართველი ვარ, თორემ ოსები სხვა პრეტენზიას ვერ წამომიყენებენ. საკვირველია, რა პირობებზეა ლაპარაკი? "ოსეთის" ხელისუფლებას სად აქვს იმის თავი, რომ ასობით ლტოლვილის გადამწვარი სახლი აღადგინოს! წელიწადზე მეტია, პენსიები და ხელფასები ვერ გაუციათ. დავუშვათ, დამაბრუნეს. ისევ საერთო საცხოვრებელ სახლში შევიდე? განა, გორში ჩემი ოჯახით ერთ პატარა ქოხში არ ვცხოვრობ? მარტო დაბრუნება ხომ არ არის მთავარი. ისიც ხომ საკითხავია, სად ისწავლიან ჩემი შვილები? ყველა ქართული სკოლა გადამწვარია. მარტო სკოლები კი არა, ყოველივე ქართული მოსპობილია და, მითხარით, ასეთ პირობებში ღირს ცხოვრება?

**ვ. ხადური:**

ნებისმიერმა ჩვენგანმა კარგად იცის, რომ ცხინვალი ქართველთა უძველესი სამკვიდროა და ასეც უნდა დარჩეს, მაგრამ ჩვენს პირობებში მყოფმა რა ქნას? ცხინვალში საცხოვრებლად არ ვეშვებიან. ჩვენს სახლებში ოსები არიან დამკვიდრებულნი. სახლების ერთი ნაწილიც დამწვარია და, რაც მთავარია, ცხინვალში კიდევაც რომ დავბრუნდე, განა საცხოვრებლად იქ რამე დამხვდება?

**ო. ბაბუციძე:**

მე ცხინვალის მიტოვებას არ ვაპირებ. ცხინვალი ჩემთვის ისეთივე საქართველოა, როგორც მესხეთი, კახეთი, ახალციხე, თბილისი, ქუთაისი. პრინციპულად, მინდა განვაცხადო, რომ წინაპართა სამკვიდროს, მათ საფლავებს უპატრონოდ ვერ მივატოვებ, მაგრამ ვინც სახლები გაყიდა, მათ ნუ გაამტყუნებთ. გაჭირვებულებს სხვა გზა არ ჰქონდათ. ეს მათი უკანასკნელი გამოსავალი იყო, თორემ სამშობლოს სიყვარულში ცილს ვერ დასწამებთ.

სამწუხაროდ, ცხინვალს მარტო ჩვენი რესპონდენტები კი არა, ათობით ქართველი ტოვებს; იყიდება მამა-პაპათა სამკვიდრო, გამკითხავი კი არავინაა.

### ოსი ახალგაზრდები

ცხინვალში პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთ ჯგუფს შევხვდი და ქართულად გავესაუბრე. გაკვირვებულმა სტუდენტებმა ერთმანეთს შეხედეს. ერთმა ქალიშვილმა გამართული ქართულით მკითხა:

- ოსეთში ქართულად ვინ ლაპარაკობს?

**- რატომ, აკრძალულია?**

- განა არ იცით, რომ საქართველო - "ოსეთის" "ომის" შემდეგ ჩვენი გზები გაიყარა?

**- ვერ დაგეთანხმებით. ყოფილი ცენტრის მიერ ხელოვნურად მოწყობილი კონფლიქტი ომად როგორ შეიძლება ჩაითვალოს. კარგად ვიცი, რომ ორ ხალხს შორის ომი არასოდეს ყოფილა.**

- ის ჩვენთვის ომი იყო. ჩვენმა ქვეყანამ მსხვერპლის ფასად მოიპოვა დამოუკიდებლობა, მაგრამ საქართველოს პრესის მუშაკები ამ ფაქტს მხოლოდ თქვენი ქვეყნის ინტერესებიდან აფასებთ და მკითხველი შეცდომაში შეგყავთ.

**- კონკრეტულად, რას გულისხმობთ?**

- თქვენ ხშირად აღნიშნავთ, რომ შიდა ქართლის რეგიონში აღდგება ყოფილი ოლქის პოლიტიკური სტატუსი და რეგიონი ისევ საქართველოს შემადგენლობაში დარჩება... ეს ხომ აშკარა ტყუილია? გააცანით ქართველ მოსახლეობას, რომ ჩვენმა ქვეყანამ ჩამოყალიბების ორი მეტად რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური ეტაპი გაიარა და ახლა საერთაშორისო ორგანიზაციების იურიდიულ აღიარებას ელოდება, რომელიც გადამწყვეტი ფაქტორი გახდება სამხრეთ ოსეთის დე იურედ დამოუკიდებლობისა და ჩრდილოეთთან ინტეგრაციისა.

**- საერთაშორისო ორგანიზაციების, მსოფლიოს 100-ზე მეტი სახელმწიფოს მიერ სუვერენული საქართველო ცნობილია ტერიტორიული მთლიანობითა და სახელმწიფო საზღვრებით. ისინი უარს აცხადებენ ე.წ. სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის ცნობაზე. ამის შესახებ რას იტყვით?**

- მათ უარს ფორმალური ხასიათი აქვს და დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. ჩვენ კარგად ვიცით, რომ დამოუკიდებლები ვართ, - მითხრა და მერე ისტორიის გაკვეთილები ჩამიტარა. მისი განცხადებით, ქართული სამეფო გვარი - ბაგრატიონები, ოსური ეთნიკური წარმომავლობისა ყოფილა. სტალინის მმართველობის პერიოდში ძირძველი ოსური მიწა-წყალი, ახალგორისა და ყაზბეგის რაიონები ქართველებმა ძალის მეოხებით მიისაკუთრეს. "ვეფხისტყაოსნის" ავტორი, შოთა რუსთაველი კი არა, ეროვნებით ოსი დავით სოსლანია... ოს ახალგაზრდებს საკმაოზე მეტი პრეტენზია აქვთ, მაგრამ ერთი რამ საგანგებოდ საკითხავია - "ოსეთში" ასეთი ანტიქართული იდეებით აღზრდილი რა სიკეთე მოაქვს ოსი და ქართველი ხალხისათვის?

### უფროსი თაობა

დამწვარ-დანგრეული ცხინვალის პირველი ქართული საშუალო სკოლის ეზოში, ქალაქის მერიის ნებართვით, ბაზარი გაუმართავთ. ბაზარზე ხანშიშესულ კაცს გავესაუბრე. იგი ცხინვალელი პენსიონერი, გვარად ქელეხსაევი აღმოჩნდა.

**- ეს რა შენობაა?** - ვკითხე გამომცდელად.

- ცხინვალის პირველი ქართული საშუალო სკოლაა. კონფლიქტის დროს დაწვეს.

**- სკოლამ რაღა დააშავა?**

ჩემმა რესპონდენტმა ხელები გაშალა და...

**- ისეთი რა მოხდა, რომ ქართველები ცხინვალიდან განდევნეთ?**

- ოსები არა ვართ დამნაშავენი. მოსკოვის მიერ დაქირავებულმა ბანდიტებმა გააკეთეს ყველაფერი, თორემ ქართველებთან რა გვქონდა საკონფლიქტო? აბა, წარმოიდგინე, მეუღლე ქართველი მყავს. ჩემი ერთი ქალიშვილიც ქართველზეა გათხოვილი.

**- თქვენ როგორ ფიქრობთ, დღეს რა არის მთავარი ორი ხალხის შერიგებისათვის?**

- ჩემს აზრს დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ამ საქმეში თქვენი მთავრობა ტყუის. დღემდე ვერ განუსაზღვრია რეგიონის პოლიტიკური სტატუსი. ტარდება ათასნაირი სამთავრობო შეხვედრები, პოლიტიკური დიალოგები, მაგრამ შედეგები არ მოაქვს. როგორც კი გადაწყდება პოლიტიკური სტატუსის საკითხი, დაიწყება ორი ხალხის კეთილმეზობლური ურთიერთობები.

**- რა პოლიტიკური სტატუსი ეკუთვნის რეგიონს?**

- ავტონომიური ოლქი, როგორც კომუნისტური მმართველობის დროს იყო.

**- ხალხი დათანხმდება?**

- ოსი ახალგაზრდობის ერთი ნაწილისა რა გითხრა, თორემ 50 წელს გადაცილებულთა აბსოლუტური უმრავლესობა თანახმა იქნება.

**- ახალგაზრდობა დაჟინებით მოითხოვს ორი ოსეთის ინტეგრაციას; თქვენ რა აზრისა ხართ?**

- კი, მართალია, მოითხოვენ, მაგრამ ვის მიწას ითხოვენ? ისინი კი მოითხოვენ, მაგრამ რატომ არ ფიქრობენ, ქართველები დათმობენ თავიანთ მამაპაპეულს?

**- სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მცხოვრებლებმა რუსეთის მოქალაქეობაც მიიღეს. როგორ ფიქრობთ, აღნიშნული მდგომარეობა ხელს შეუწყობს "ოსეთის" რუსეთის იურისდიქციაში შესვლას?**

- გულახდილად გეტყვი, ამ საქმით "ოსეთის" ხელისუფლებაა დაკავებული. მათ რაღაცა ხომ უნდა გააკეთონ, რომ რბილი სავარძლები არ დაკარგონ, თორემ დღეს ისეთი ცხოვრება მოვიდა, რომ მშრომელ ოს კაცს კონფლიქტისთვის არ სცალია.

# მეტროში უკანონო ვაჭრობას კვლავ შეუტიეს

ნანა ქადაგიშვილი

*თბილისის საკრებულოს ახალმა თავმჯდომარემ ქალაქში არსებულ ანტისანიტარიასა და გარე ვაჭრობასთან ბრძოლით დაიწყო მოღვაწეობა. ქალაქის ხელმძღვანელობას უყურადღებოდ არც მეტროპოლიტენი დაუტოვებია და მის უფროსობას უკანონო ვაჭრობის ადგილებისა და მოვაჭრეთა რაოდენობის დასახელება მოსთხოვა. თბილისის საკრებულო და მერია მეტროპოლიტენის გარე მოვაჭრეთაგან გათავისუფლებას მოითხოვენ და მათ მეტროს თბილი კედლების სანაცვლო სავაჭრო ადგილების მოძებნას ჰპირდებიან. თუმცა, მოვაჭრეები იმედოვნებენ, რომ თავის დაძვრენას ამჯერადაც მოახერხებენ.*

სივიწროვესა და დისკომფორტზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მეტროში გარეგნულად შიდა, მაგრამ, ფაქტობრივად, გარე ვაჭრობა მგზავრთა ჯანმრთელობასაც დიდ საფრთხეს უქმნის. გადასასვლელ ხაზებსა და ვაგონებში გასაყიდად გამოტანილ საკვებ პროდუქტსა და მედიკამენტებს, ბუნებრივია, არავინ ამოწმებს. მეტროში ვაჭრობის აკრძალვა ქალაქის ხელმძღვანელობამ გასულ წელსაც სცადა, მაგრამ მოვაჭრეთა დიდ წინააღმდეგობას რომ წააწყდა, უკეთეს გამოსავალზე ფიქრით თავი აღარ უმტვრევია და მოვაჭრეებს ვაჭრობის უფლება კვლავ დართო, ოღონდ - გარკვეულ საათებში. სადგურის გადასასვლელში ვაჭრობა 11-16 საათამდეა დაშვებული, მეტროს ვაგონებში კი 19 საათის შემდეგ. თუმცა, ერთი-ორი დღის შემდეგ მოვაჭრეებს ეს წესი უკვე აღარ ახსოვდათ. რამდენიმე მათგანს ვაგზლის სადგურიდან საბურთალოს ხაზზე გადასასვლელი ტერიტორია გაქირავებულიც აქვს და თითო გამყიდველს დღეში ხუთ-ხუთ ლარს უხდის. **"ჩემს ნავაჭრს უფროსს ვაბარებ და ის ხუთ ლარს მაძლევს. ამ გადასასვლელზე ასეთი რამდენიმე უფროსია. ისინი კიდევ ვინმეს აძლევენ თუ არა რამეს, ვერაფერს გეტყვით,"** – გვითხრეს "უფროსებისგან" დაქირავებულმა მოვაჭრეებმა.

მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობა მეტროს ჩასასვლელებში ოფიციალურად მოქმედი სავაჭრო ობიექტებიდან ყოველწლიურად 200 ათასი ლარის შემოსავალს იღებს. თავიდან გადასახადის დაწესებას გარე მოვაჭრეებისთვისაც ფიქრობდნენ, მაგრამ ბოლოს ქალაქის ხელმძღვანელობამ ამაზე უარი თქვა. **"უკანონოდ მოვაჭრეებისთვის გადასახადის დაწესებაზე ლაპარაკი იყო, მაგრამ ეს ვაჭრობის დაკანონებას ნიშნავდა, რაც დიდი შეცდომა იქნებოდა,"** – განგვიცხადა გურამ გაბუნიამ. რაც შეეხება არაოფიციალურ გადასახადს, მის არსებობას არც მოვაჭრეები ადასტურებენ. **"ამ გაჭირვებულმა ხალხმა ვის რა უნდა მისცეს, თავისთვის ერთ-ორ თეთრს ძლივს შოულობს. არავისთვის არაფერი გადაგვიხდია და არც გადავუხდით. აბა, ვინმემ რამე მოგვთხოვოს,"** – დაიმუქრა კიდეც ერთი მოვაჭრე.

მოვაჭრეები მუქარას მეტროდან მათი გაყვანის მსურველებსაც არ აკლებენ. **"აქ დგომა არავის სიამოვნებს, მაგრამ მეტი გზა არ გვაქვს. შვიდი შვილი მყავს, მშობლები სოხუმში მომიკლეს, ქმარი ავად გახდა და, ოპერაცია რომ გამეკეთებინა, ბინა გადავაგირავე. რა სინდისით უნდა გამიყვანონ აქედან? სხვა ადგილიც რომ მოგვცენ, ფეხსაც არ მოვიცვლი; კლიენტი შეგვეჩვია, თანაც, იქ გადასახადის გადახდაც მოგვიწევს და რაღა დაგვრჩება? ერთი, სცადონ ჩვენი აქედან აყრა და რაც შარშან მიიღეს, ახლაც იმას მიიღებენ!"** – ასე აღაშფოთა ქალაქისა და მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებამ აფხაზეთიდან დევნილი ქალბატონი.

**"ვარდების რევოლუცია იმიტომ კი არ მოვახდინეთ, რომ ლუკმა-პური წაგვართვან. ერთი დღე არ გაგვიცდენია, მიტინგებზე ყველანი ერთად დავდიოდით,"** – საკუთარი ნამოღვაწარიც შეახსენეს მოვაჭრეებმა ახალ მთავრობას.

გარე მოვაჭრეთა მეტროდან გაყვანა რომ იოლი არ არის, მეტროპოლიტენის გენერალურმა დირექტორმა გურამ გაბუნიამაც მშვენივრად იცის. **"შარშან ლიანდაგებზე დასხდნენ და მატარებლების მოძრაობა შეაჩერეს. უკეთესის იმედი არც წელს გვაქვს, მაგრამ ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს?"** – კითხულობს იგი.

ქალაქის ხელმძღვანელობა მოვაჭრეთა წინააღდეგობის შერბილებას ვაჭრობის ალტერნატიული ადგილების მოძებნით ცდილობს, თანაც მათ გადასახადებზე რამდენიმეთვიან შეღავათებსაც ჰპირდება. ადმინისტრაციული ინსპექციის მიერ აღებულ ჯიხურებში მოვაჭრეებსაც ეს პირობები შესთავაზეს და, მათი დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ქალაქი ჯიხურებისგან მაინც თავისუფლდება. **"თუკი მერია და საკრებულო მოინდომებენ, მეტროს გარე ვაჭრობისგან გათავისუფლებასაც შეძლებენ,"** – აცხადებს გაბუნია.

# ცნობილი ქუთაისელი ბიზნესმენების დავას სამართალდამცველები იკვლევენ

პირველი გვერდიდან

**"ამის გამო იგი სხვა პირების საშუალებით მემუქრებოდა, თუმცა მის მუქარას ნაკლებად ვაქცევდი ყურადღებას..."** - აცხადებს შალიკიანი.

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე შალიკიანის ბრალდებებს საახალწლო ხუმრობას უწოდებს. **"ეს ყველაფერი ავადმყოფი კაცის ნაბოდვარს ჰგავს. სხვა სახელს მე ამას ვერ დავარქმევ. ჩატარებულ შემოწმებაში შალიკიანი არაფერ შუაშია. აღნიშნული შემოწმება გუბერნატორის ინიციატივით მოხდა. მთელი ჩემი ცხოვრება შრომითა და ოფლით გავიარე, რა მჭირს შალიკიანის დასამუქრებელი? ბედნიერი კაცი ვარ, რომ დღეს ქვეყანაში ისეთი ძალა მოვიდა და გაარკვევენ, ვინ არის ბენიძე და ვინ - შალიკიანი. მე ამ კაცთან არანაირი კავშირი არა მაქვს. იგი კარგა ხანია, თვალითაც არ მინახავს. სიმართლე გითხრათ, შალიკიანის ბრალდებები უფრო საახალწლო ხუმრობა მგონია,"** - აცხადებს ბენიძე.

თავის მხრივ, არც ბონდო შალიკიანის ბრალდებებია უსაფუძვლო. გასული კვირის ხუთშაბათიდან მის სახლს ყოველ საღამოს უთვალთვალებდნენ მარცხნივ არსებული სათავსოდან და მარჯვენა მხარეს მდებარე მიტოვებული სახლიდან. უცხო პირები ჯერ ბავშვებს შეუნიშნავთ, შემდეგ კი მათ მშობლებსაც. **"ისინი ღამის 11 საათზე შეუმჩნევლად მოდიოდნენ და პირველამდე იყვნენ ჩასაფრებულნი. სათავსოს დათვალიერებისას სიგარეტის ნამწვავები და კედელში სათვალთვალოდ ამოჭრილი ხვრელი ვიპოვეთ. ჩემი სახლის მარჯვენა მხარეს მდებარე სახლში კი უცხო პირები იყვნენ შესულები. ხოლო იმ ოთახში, რომელიც ჩემს ეზოს გადაჰყურებს, ფანჯარასთან სკამები იყო**



ბონდო შალიკიანი ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარეს უპირისპირდება.

**მიდგმული, იატაკზე კი სიგარეტის ნამწვავები ეყარა. ჩემი ვარაუდით, ისინი მე მელოდებოდნენ..."** - აცხადებს შალიკიანი. მისივე განმარტებით, სახლის გაქურდვა ან დაყაჩაღება შეუძლებელია, რადგანაც იგი გისოსებშია ჩასმული და ამავე დროს ეზოში დაცვაც დგას. თვალთვალის ერთადერთ რეალურ მოტივად მას მხოლოდ ფიზიკური გადადგურება მიაჩნია. **"მათი მიზანი ჩასაფრება და ჩემი მოკვლა იყო"**, - აცხადებს შალიკიანი.

როგორც ცნობილია, ბენიძეც და შალიკიანიც მსხვილი ბიზნესმენები არიან და, ძირითადად, ნავთობის ბიზნესში მუშაობენ. მათი ბიზნესინეტერესები დიდი ხანია, რაც გადაიკვეთა. შალიკიანი აცხადებს, რომ ბენიძესთან ძალიან ცუდი ურთიერთობა აქვს და ეს კაცი (მისგან განსხვავებით) მხოლოდ თავის ოჯახსა და ჯიბეზე ფიქრობს. დაახლოებით იმავე აზრისაა ბენიძე შალიკიანზე. ერთ-ერთმა ინკოგნიტო წყარომ "24 საათს" განუცხადა, რომ შალიკიანისა და ბენიძის დაპირისპირებას ერთი სერიოზული მიზანი აქვს - ორივეს ქუთაისში ამუშავებული ბიზნესწყაროების ხელში ჩაგდება, ანუ მათი გაკონტროლების სურვილი გააჩნია. მათ შორის დაპირისპირება ამიტომაც წარმოიშვა. გავრცელებული ინფორმაციებით, ორმა ცნობილმა ბიზნესმენმა ბიზნესსფეროები ვერ გაიყვეს. ქუთაისში არც იმას გამორიცხავენ, რომ ბონდო შალიკიანის ბინის თვალთვალის ფაქტი (ბენიძის კომპრომეტირების მიზნით) თავად შალიკიანის მოწყობილი იყოს. ამას უახლოეს პერიოდში გამოძიება დაადგენს. საქმე ისაა, რომ ბონდო შალიკიანის ბინის თვალთვალის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე სამართალდამცველებმა უკვე აღძრეს, თუმცა მათ ჟურნალისტებისთვის, ჯერჯერობით, სათქმელი არაფერი აქვთ.

პრესინგი

# რეაბილიტირებული პატიმარი ბოდვაში დაადანაშაულეს

*ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში თითქმის არ არსებობს შემთხვევა, როცა საქმის სასამართლო განხილვისას განსასჯელს გამოძიების მიმდინარეობისას სამართალდამცველების მიერ ჩადენილ კანონდარღვევებზე, ბრალდებულზე განხორციელებულ ძალადობაზე - ცემა-წამებასა და სასტიკ მოპყრობაზე არ ესაუბროს. გამოძიების მიმართ განსასჯელების მხრიდან წაყენებული ეს ბრალდებები სასამართლო პროცესზე საქმის მასალებს ხშირად თავდაყირა აყენებს და განსასჯელის ბრალეულობის სიმძიმე-სიმსუბუქეს ეჭვქვეშ აყენებს. ყველაფერი კი ხშირად განსასჯელის გათავისუფლებით, ან გამოძიების მიერ მისთვის წაყენებული მუხლის უფრო მსუბუქი მუხლით გადაკვალიფიცირებით სრულდება. მოგვიანებით კი გათავისუფლებულები სისხლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო ზემოქმედებით მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას ისევ სასამართლოს გზით სთხოვენ სახელმწიფოს.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

შემთხვევა, რომელზეც მოგითხრობთ, კარგა ხნის განმავლობაში უკანონო პატიმრობაში მყოფ, მოგვიანებით კი სასამართლოს მიერ რეაბილიტირებულ ჯემალ ჩხაიძეს ეხება. იგი ფოთის საგამოძიებო სამსახურმა ტატიანა დობორჯგინიძის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით დააკავა, თუმცა მას მოგვიანებით ყაჩაღობის მუხლით წაუყენეს ბრალი. ჩხაიძე წინასწარ სამთვიან პატიმრობაში რვა თვის განმავლობაში იმყოფებოდა. მას მოგვიანებით შინაპატიმრობა დაუწესეს, ბოლოს კი პოლიციის ზედამხედველობა არგუნეს. ეს ყველაფერი კი, ბოლოს და ბოლოს, იმით დასრულდა, რომ ფოთის პროკურატურამ მის მიმართ უკანონოდ აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყვიტა. **"შეწყდეს ჯემალ ჩხაიძის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ქმედებაში მართლწინააღმდეგობის დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობის გამო"**, - ასეთი გახლდათ ფოთის პროკურატურის გადაწყვეტილება.

გამართლებულმა ჯემალ ჩხაიძემ რეაბილიტაცია და სამართალდამცველი სტრუქტურების მიერ მისთვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის -250 ათასი, ხოლო პატიმრობისას ჯანმრთელობის შელახვისთვის 10 ათასი დოლარი მოითხოვა.

**"პატიმრობაში ყოფნის დროს ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლები ჩემზე ახდენდნენ ფიზიკურ და ფსიქიკურ ძალადობას, რის შედეგადაც შემერყა ჯანმრთელობა, განვიცადე მატერიალური და მორალური ზიანი"**, - ნათქვამია ჯემალ ჩხაიძის განცხადებაში, რომელიც ფოთის საქალაქო სასამართლომ ყოფილ პატიმარს ნაწილობრივ დაუკმაყოფილა. **"რეაბილიტირებულ იქნას"**, - ასეთი გახლდათ ფოთის საქალქო სასამართლოს გადაწყვეტილება. რაც შეეხება მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, ჩხაიძეს სასამართლომ უარი უთხრა.

ფოთის საქალაქო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ყოფილმა პატიმარმა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა, თუმცა იქაც ანალოგიური პასუხი მიიღო, რის შემდეგაც უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატას მიმართა. **"ქუთაისის საოლქო სასამართლომ საქმე არასრულყოფილად განიხილა: არ დაკითხა პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობდნენ ჩხაიძის მიმართ ჩადენილ ძალადობაში მისგან აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით. სასამართლომ არ გამოიკვლია დაპირისპირების ოქმები, რომლებშიც ჩხაიძე სადისტურ მოპყრობაში ამხელს პოლიციის თანამშრომლებს"**, - ამ არგუმენტებით მოსთხოვა რეაბილიტირებული ჩხაიძის ადვოკატმა უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატას ქუთაისის საოლქო სასამართლოს განჩინების გაუქმება.

დაბალი ინსტანციის სასამართლოდან მაღალ ინსტანციაში გადანაცვლება, ბოლოს და ბოლოს, მაინც ყოფილი პატიმრის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობით დასრულდა.

**"საკასაციო პალატამ დეტალურად გამოიკვლია მოწმეების – კრიმინალური პოლიციის თანამშომლების (რომლებსაც ჩხაიძე ძალადობაში ამხელდა) ჩვენებები. პოლიციელები კატეგორიულად უარყოფენ პატიმარზე ზეწოლას. მათი განცხადებებით, ჩხაიძემ დაკავებისთანავე აღიარა დანაშაული. ჩხაიძეს ჰყავდა ადვოკატი, რომელიც ესწრებოდა მისი დაცვის ქვეშ მყოფთან ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებს. გამოძიების დროს პატიმარს არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს. მან ამის შესახებ პირველად განაცხადა გამოძიების დამთავრების შემდეგ. საკასაციო პალატა თვლის, რომ ყველა ამ გარემოების გათვალისწინებით რაიონულმა და საოლქო სასამართლოებმა სწორი განჩინებები გამოიტანეს და არ გაიზიარეს ჩხაიძის ვერსია იმასთან დაკავშირებით, რომ მან აღიარებითი ჩვენებები ზეწოლის შედეგად მისცა, ანუ თვითგანთქმის მიზეზი იყო სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მის მიმართ უკანონო ზემოქმედება. არანაირი დამატებითი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ასეთი ზეწოლის ფაქტს, ჩხაიძეს სამართალწარმოების არც ერთ ეტაპზე არ წარმოუდგენია. აქედან გამომდინარე, მისი მოთხოვნა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდეს"**, - ასეთი გახლავთ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის საბოლოო ვერდიქტი.

ერთი სიტყვით, ის, რომ ჩხაიძის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე თავად პროკურატურამ შეწყვიტა მის ქმედაბაში მართლწინააღმდეგობის დამადასტურებელი მტკიცებულებების არარსებობის გამო, მოგვიანებით კი სასამართლომ ყოფილი პატიმრის რეაბილიტირება მოახდინა, პროკურატურისა და სასამართლოს მხრიდან ნიშნავს ჩხაიძის უდანაშაულობისა და მისი უკანონო პატიმრობის აღიარებას; თუმცა ის, რაშიც ჩხაიძე კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებს სდებდა ბრალს, მართლმსაჯულებამ საბოლოოდ მაინც აბსურდად და რეაბილიტირებულის ვერსიად მონათლა. არადა, უდანაშაულო ადამიანები რომ საკუთარი ნება-სურვილით არ იძლევიან საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენებებს და სამართალდამცველებს არ ეხვეწებიან - გინდათ თუ არა, დამიჭირეო, ეს ყველამ კარგად იცის.

# გამგებელმა მოსახლეობა გაქურდა

თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ხაიშის მოსახლეობა ყოფილმა გამგებელმა მოატყუა. გაზეთ „კრისჩენ საიენს მონიტორის" ინფორმაციით, მან მიიღო თანასოფლელების კუთვნილი 300 ათასი დოლარი და მიიმალა. ამ ინფორმაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროც ადასტურებს, საქმეს კი რაიონის პროკურატურა იძიებს. ეს თანხა ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენის კომპანიამ სოფლის მაცხოვრებლებს შეძენილი მიწის ნაკვეთების საკომპენსაციოდ გადაუხადა. 300 ათასი დოლარი სოფლის 130 ოჯახს ეკუთვნოდა. ხაიშის მოსახლეობა ხელისუფლებისა და ბაქო-ჯეიჰანის პროექტის ოპერატორის - კომპანია „ბი-პი"-ს წინააღმდეგ მასობრივი საპროტესტო აქციებით ემუქრება. ისინი აცხადებენ, რომ „ბი-პი"-ს სოფელში შექმნილი მდგომარეობა ნაკლებად აინტერესებდა. როგორც კომპანია „ბი-პი"-ს საქართველოს წარმომადგენლობაში აცხადებენ, ამ სოფელში კომპენსაციები მოსახლეობასთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან მიღწეული შეთანხმებით და მათ მიერ წარმოდგენილი სიებით იყო გაცემული. გაქურდვის ფაქტის შესახებ „ბი-პი"-ს ინფორმაცია ჯერ არ მიუღია, თუმცა ეს ადგილობრივი ხელისუფლების არაკეთილსინდისიერების და არა კომპანიის ბრალია. **მედია-ნიუსი**

# მაფია იტალიის მთავარ პრობლემად რჩება

იტალიური გაზეთი La stampa აქვეყნებს იტალიის საკასაციო სასამართლოს მთავარი პროკურორის მოხსენებას, რომლის თანახმადაც, მაფიას კვლავაც პირველი ადგილი უკავია დამნაშავეობის ფენომენთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ მოვლენათა სიაში.

"კოზა ნოსტრა" და "ნდრანგეტა" – მოწინააღმდეგეები, რომელსაც დაუღალავად უნდა ებრძოლო," - ასეთია პროკურორ ფრანჩესკო ფავარის აზრი.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ ეს სტრუქტურები (თავისი ისტორიული ფესვების წყალობით) ყოველთვის არის იტალიის მართლმსაჯულების თაობაზე დაწერილი მოხსენებების მთავარი თემა. საუბარია იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც ყოველთვის ადვილად ერგებიან მუდმივად ცვალებად პირობებს.

ფავარის აზრით, ამჯერად მიმდინარეობს დანაშაულებრივი სამყაროს ერთგვარი მუტაცია, რომელიც მიმართულია ეგრეთ წოდებული "pax mafiosa"-ს, მშვიდობიანი მაფიის, ანუ უმსხვილესი მაფიოზური სტრუქტურების ალიანსისკენ, რაც სხვადასხვა მაფიოზური დაჯგუფებების მშვიდობიან თანაცხოვრებას გულისხმობს.

თუმცა, ამ გეზიდან გადახვევაც არ არის გამორიცხული, რაც შეიძლება გამოიწვიოს **"ახალი კრიმინალური ავტორიტეტების გამოჩენამ, რომლებიც შეეცდებიან, შეავსონ ზოგიერთი მაფიოზური დაჯგუფების ლიდერის დაპატიმრების გამო შექმნილი ვაკუუმი"**.

მაგრამ ყველაზე დიდი საფრთხე, რომელიც სისხლისმღვრელ დაპირისპირებამდეც შეიძლება მივიდეს, ამჟამად მიმდინარე გამოძიების მსვლელობისას წარმოქმნილ წინააღმდეგობებს უკავშირდება. კერძოდ, საუბარია დაპირისპირებაზე, რომელიც მართლმსაჯულებისგან დამალულ მაფიოზებსა და მკაცრ სასჯელმისჯილ, ციხეში მყოფ მაფიოზებს შორის წარმოიშვა.

საკასაციო სასამართლოს მთავარი პროკურორის აზრით, მაფიის გადაწყვეტილებას **"შეამციროს აქტიურობა, საფუძვლად სხვა გადაწყვეტილება უდევს; კერძოდ, მათ არ სურთ სახელმწიფო სტრუქტურების საწინააღმდეგო ქმედებების პროვოცირება, შედეგად კი მშვიდად აპირებენ, ადგილი გაიმყარონ ეკონომიკურ სტრუქტურებში; კერძოდ, წარმოებასა და საზოგადოებისთვის სიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროებში"**.

სრულიად ნათელია, რომ ამ მიზნების მისაღწევად ძველი მეთოდები იქნება გამოყენებული – კორუფცია და დაშინება, რომლებიც ეკონომიკასა და დამნაშავეობას შორის ერთგვარ სიმბიოზს ქმნის. ეს მეთოდები, პროკურორის აზრით, **"ჯანმრთელი მეწარმეობის წინააღმდეგ არის მიმართული"**. გარდა ამისა, მოხსენების თანახმად, დიდ ყურადღებას ითხოვს ზოგიერთი სამართალდამცველი სტრუქტურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ **"მაფია აპირებს, დაინტერესდეს ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროექტებით"**.

იტალიაში, "კოზა ნოსტრას" მოღვაწეობასთან ერთად, მკვეთრად შეიმჩნევა უცხოური დანაშაულებრივი დაჯგუფებების აქტიურობის ზრდა. საკასაციო სასამართლო თავის მოხსენებაში მიუთითებს იმ საფრთხეზე, რომელიც გამომდინარეობს სამომავლო პერსპექტივიდან. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ **"მოსალოდნელია უცხოეთის – ძირითადად, ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების მოქალაქეების მიერ ჩადენილ დანაშაულთა რიცხვის ზრდა"**.

ასეთი პროგნოზი იტალიის ტერიტორიაზე უცხოელთა, განსაკუთრებით კი, არალეგალურ ემიგრანტთა რიცხვის მატების გამო კეთდება. მათი რეალური რაოდენობა არც არავინ იცის. დადგენილ ფაქტად მხოლოდ სამი უცხოური დანაშაულებრივი ორგანიზაციის არსებობაა მიჩნეული. ეს არის რუსული, ალბანური და ჩინური მაფიები.

ამათგან რუსულს შორს მიმავალი ეკონომიკური მიზნები აქვს - ცდილობს ჯანმრთელი ეკონომიკური ურთიერთობების მქონე სფეროები მოიცვას, ჩარეულია ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ ფინანსურ ოპერაციებში.

ალბანურ მაფიას მკვეთრად განსაზღვრული შიდა სტრუქტურა აქვს. მოხსენების თანახმად, **"ის შედგება ნათესაური კავშირების მქონე ოპერატიული რგოლებისგან. ისინი შიდა იერარქიით იმართებიან. ალბანელები ნარკოტიკებისა და პროსტიტუციის გავრცელებაზე მუშაობენ. ნარკოტიკების შემოტანის არხებით კი ახლა ცდილობენ გავლენის სფეროების გაფართოებას, არალეგალური მიგრაციისა და ადამიანებით ვაჭრობის გაკონტროლებას"**.

საკასაციო სასამართლოს მთავარი პროკურორის თქმით, სულ უფრო და უფრო იზრდება ჩინური მაფია. რაოდენობრივ ზრდასთან ერთად, ის თავისი აქტიურობის სფეროებსაც აფართოებს იტალიის კომერციულ სტრუქტურებში. გარდა ამისა, სწორედ მათი ორგანიზებულია ქვეყანაში ასობით **"საკუთარი სახის, სახელისა და ხმის უფლების არმქონე მონების არსებობა, რომლებსაც ხშირად არაადამიანურ პირობებში მუშაობა უწევთ"**.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ ჩინური მაფიის ფენომენი თანდათან ძალზე საშიშ მასშტაბებს იძენს. ჩინეთის მოქალაქეები საბაზროზე მაღალ ფასად ყიდულობენ სავაჭრო საწარმოებს, თუმცა კაპიტალი, რომელსაც ისინი ამ საწარმოებში დებენ, გაურკვეველი წარმომავლობისაა.

რა გამოსავალი არსებობს მაფიის გავლენის შესასუსტებლად? ამაზე იტალიის სამართალდამცველები დიდი ხანია ფიქრობენ და ეს პრობლემა საკასაციო სასამართლოს ამჟამინდელ მოხსენებაშიც არის დასმული. **"ერთ-ერთი შესაძლებელი მეთოდი, ალბათ, ისევ მაფიის ბოსების კაპიტალზე დარტყმაა"**, - ასეთი გახლავთ მთავარი პროკურორის აზრი.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარის თამაზ მაღლაკელიძის გატაცებაში ბრალდებულების - ბენიამინ სანებლიძისა და ელდარ გოგბერაშვილისათვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის სანქციის კანონიერებას თბილისის საოლქო სასამართლო დღეს განიხილავს.

უზენაესმა სასამართლომ ამ საქმეში მესამე ბრალდებულის - გია ვაშაკიძის პატიმრობიდან გათავისუფლებაზე გუშინ უარი თქვა. 10 იანვარს დაკავებულ გოგბერაშვილსა და სანებლიძეზე პატიმრობის სანქცია თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლომ 11 იანვარს გასცა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა რეიდი ჩაატარეს ხაშურში მდებარე სასაუზმე "სტიმულში", სადაც საროსკიპო იყო გახსნილი.

დაკავებულია სასაუზმეს მეპატრონე, ვინმე მამედოვი და იქ მყოფი შვიდი ქალი, რომელთაგანც ზოგიერთი უცხო ქვეყნის მოქალაქეა. სისხლის სამართლის საქმე აღძრულია 254-ე მუხლით - პროსტიტუციის მიზნით ბინის მოწყობა, რომელიც ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომელბმა ანტიკონტრაბანდული ოპერაციის ფარგლებში დააკავეს 4 ტონა ფქვილით და რვა ტონა ხახვით დატვირთული ორი სატვირთო ავტომანქანა, რომელიც ცხინვალიდან გორისკენ მოძრაობდა. დაკავებულია აგრეთვე 16 ტონა კონტრაბანდული ჯართი და ერთი სატვირთო ავტომანქანა ხე-ტყის მასალა, რომელიც ბორჯომიდან გორში გადაჰქონდათ.

საქმე შემდგომი მოკვლევისთვის საბაჟო დეპარტამენტის შესაბამის სამსახურს გადაეცა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ტყიბულის პოლიციამ დააკავა სოფელ სოჩხეთში მცხოვრები, 38 წლის მერი ჭანკვეტაძე, რომელმაც ცეცხლი წაუკიდა იქვე მცხოვრები დედამთილის, 78 წლის ელენე ხელოიშვილის სახლს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს სოფელ ველისციხეში მცხოვრები, 36 წლის ზურაბ ბეჟანიშვილი, რომელიც 31 დეკემბერს, ორ პირთან ერთად, მეზობლის - აკაკი გაბრუაშვილის ოჯახს თავს დაესხა. გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტის გურჯაანის განყოფილება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, რუსთაველის გამზირზე, გუშინწინ, გამთენიისას მომხდარ ავტოავარიას სამი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. კინოთეატრ "რუსთაველთან" ავტომანქანა "ოპელ-ვექტრა", რომელსაც ახმეტის რაიონის სოფელ ალვანში მცხოვრები დავით ხუცოიძე მართავდა, ელექტროგანათების ბოძს შეეჯახა. შეჯახებისთანავე ავტომანქანას ცეცხლი გაუჩნდა, მძღოლი და მისი ორი მგზავრი - მაია ქერაია და რომან მარია ადგილზე გარდაიცვალნენ. ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამსახურმა აღძრა. **მედია-ნიუსი**

# რა სარგებლობა მოაქვს ენის კანონს

*ყოველგვარი შესავლის გარეშე დათო გოგიჩაიშვილს მინდა შევეხმიანო: მესამე მოწვევის პარლამენტს მაინც რომ მიეღო კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, შენ, ჩემო დათო, "ღამის შოუს" სხვა ფორმატით წარმართვა მოგიწევდა. ლევან ღვინჯილიას, ალბათ, მაინც მოიწვევდი - ის ენაკვიმატი კაცია, მაგრამ იმ "ობოლი მარგალიტებით", შენ რომ ჰედლაინებს ეძახი, ველარ დავტკბებოდით. რაც შეეხება ვიდეობითებს, ერთი ასეთი ბითი, უშიშროების არქივში რომ წავაწყდი ამასწინათ, მეც მინდა შემოგთავაზო: 1978 წელი, 14 აპრილი, ქუჩაში გამოსული ხალხი, მეტწილად - სტუდენტობა და მათ შორის ამხანაგი ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე ტრანსფარანტით ხელში: "მამული, ენა, სარწმუნოება". მუსიკალური ფონი თავად შეურჩიე – გინდა ქართული, გინდაც - რუსული, ოღონდ აუცილებლად საბჭოთა ეპოქის რეპერტუარიდან.*

სოფიო თოდუა

ალბათ, იცით, კლაკიორი ვინ არის - ესაა დაქირავებული პირი თეატრში, რომელიც გარკვეული ანაზღაურების საფასურად ყველა შენს ბრძანებას ასრულებს. თუ ვინმეს ქება-დიდება გინდა, ტაშის კვრით გადაიტყავებს ხელებს, თუ სპექტაკლის ჩაშლა გსურს - სტვენასაც არ დაგზარდება. ეს მეტად საჭირო პროფესია პოლიტიკაშიც წარმატებულად გამოიყენება. კაცმა რომ თქვას, პოლიტიკური კლაკიორები დიდად არ განსხვავდებიან პროვოკატორებისაგან, თუმცა პროვოკატორი მოწოდებითაც შეიძლება იყო, კლაკიორს კი აუცილებლად ფული უნდა გადაუხადო. სწორედ ასეთ კლაკიორებს შეეწირა "კანონი სახელმწიფო ენის შესახებ".

ყოფილ ხელისუფლებას იმდენ ბრალდებაზე მოუწევს თავის მართლება, მეეჭვება, ენის კანონის მიუღებლობა ცოდვად ჩაუთვალონ, მაგრამ ერთი კი აუცილებლად უნდა გაირკვეს: თუ სახელმწიფო ვართ, გინდაც არადემოკრატიული, რატომ ვერ ვიღებთ ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ასე აუცილებელ კანონს? ამ კითხვაზე პასუხი დღეს არსებული კანონპროექტის პირველსავე გვერდზე ამოვიკითხე: **"სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა და განხორციელება განეკუთვნება საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის გამგებლობას"** (თავი I, მუხლი 2.2.). აი, რატომ ვერ მივიღეთ ამდენ ხანს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ.

როგორც ყველა კანონი, ეს კანონიც შესაბამისმა უწყებამ უნდა მოამზადოს. ასეთი უწყება საქართველოშიც არსებობს და მას საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა ჰქვია (თავმჯდომარე - ლევან ღვინჯილია). მისი დასახელება აშკარად კალამბურს წააგავს. საქართველოს ენაზე თუა ლაპარაკი, ამ ენას ქართული ჰქვია; თუ საქართველოს სახელმწიფო ენა იგულისხმება, ეს ენაც, იმედი მაქვს, ქართული იქნება; და თუ მაინცდამაინც საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების მშობლიურ ენებზეც კეთდება მინიშნება, მაშინ ამ ორგანიზაციის სახელწოდება მეტ დაკონკრეტებას მოითხოვს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: ენის პალატა, რომლის დასკვნაც მთავრობიდან პარლამენტში შესული ყველა კანონპროექტის განსახილველად აუცილებელია, ვერა და ვერ აჩქარებს ენის კანონის განხილვას. საინტერესოა, რომელიმე სხვა კანონის მიღება პალატის გულგრილობით რომ შეფერხებულიყო, ნეტავ, პასუხს არავის აგებინებდნენ? ალბათ, შესაბამის ზომებს მიიღებდნენ, რადგან სხვა კანონების მიღება, როგორც ჩანს, სასიცოცხლოდ აუცილებელია - მაგალითად, რეკლამის კანონისა. რატომ? იმიტომ, რომ რეკლამას ფული შემოაქვს, მაშინაც კი, თუ სარეკლამო ტექსტები საერთოდ არ ითვალისწინებს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს. არადა, "საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ" ენის პალატაში, კარგა ხანია, მომზადებული აქვთ. ზედმეტად მიმაჩნია იმ დეტალებზე საუბარი, რომელიც ზოგადად ყველა პროექტს საბოლოოდ კანონად აქცევს. მხოლოდ დავძენ: 2001 წლის 19 ივნისიდან ეს პროექტი პარლამენტის დამტკიცებას ელის.

პროექტი, რომლის შემუშავებაში ენის პალატის გარდა სხვადასხვა ექსპერტები და შესაბამისი ინსტანციები მონაწილეობდნენ, არც ისე ცუდია, როგორც ამას გურამ შარაძე პერიოდულად გვიხატავს და არც ისე კარგია, როგორც ენის პალატაში წარმოუდგენიათ. როგორც ყველა პროექტი, ისიც დახვეწას მოითხოვს. საქმეც ისაა, რომ ექსპრეზიდენტიც და წინა მოწვევის პარლამენტიც, შესაშური ერთსულოვნებით, ვერა და ვერ იცლიდნენ ენის კანონისთვის ან, თუ იცლიდნენ, ისეთ დროს, როცა ქვეყანაში ყველაფერი თავდაყირა იდგა. ასე მოხდა 2002 წლის გაზაფხულზეც. იმ დღეს პარლამენტის უკლებლივ ყველა კომისიის თავმჯდომარე გადაყენებული იყო და მათ ნაცლად დეპუტატებს სხვა კანდიდატურებისთვის უნდა ეყარათ კენჭი. კარგად მახსოვს, გურამ შარაძე სხდომის გახსნამდე იმუქრებოდა, თუ ენის კანონს დღის წესრიგში არ შეიტანთ, არამი იყოს თქვენთვის ჩემი დეპუტატობის მანდატიო, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ლევან ღვინჯილიას გამოსვლის შემდეგ დებატები საერთოდ არ გამართულა. მას შემდეგ ამ კანონის განხილვის სურვილი პარლამენტს აღარ გასჩენია. უნდა ვიფიქროთ, რომ კანონის მიღება მხოლოდ დაუდევრობით არ ფერხდება. მისი ამოქმედების შემთხვევაში ის ურთიერთობები დარეგულირდება, რაც ჩვენს ხელისუფლებას აქამდე აშკარად არ აწყობდა და რასაც საჭიროების შემთხვევაში ვითარების დასაძაბად იყენებდა. რაც შეეხება კლაკიორებს, აკი გითხარით, ვინ - ტაშს უკრავდა, ვინ - ქვას ისროდა, ორივე ერთად კი ფულს საერთო ყულაბიდან იღებდა.

ყველაზე დიდი გაუგებრობა, რაც განსახილველ პროექტს დღემდე ლაიტმოტივად გასდევს, უცხო ენების განსაზღვრებაა. თუ სახელმწიფო ენა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არის ქართული (აფხაზეთში, ქართულთან ერთად, აფხაზური), ბუნებრივია, ყველა სხვა ენა უცხო ენად უნდა ჩაითვალოს. მეეჭვება, ეს დეფინიცია სწორედ საქართველოში მცხოვრებ არაქართველებს გაეპროტესტებინათ, მაგრამ ვაი-უშველებლი მაინც ატყდა და მიზეზიც დასახელდა: თუ ჩვენს არაქართველ მოქალაქეებს ვეტყოდით, რომ მათი მშობლიური ენა ჩვენთვის უცხო ენაა, ამით თურმე მათ შეურაცხყოფას მივაყენებდით. ამიტომ ამ ენებს ახლა "არასახელმწიფო ენები" დაერქვა. იმ ჩემს თანამოქალაქე სომხებს, აზერბაიჯანელებს, რუსებს, ოსებს, ქისტებს, ბერძნებს, მინდა ვკითხო: რა უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის - როგორ მოვიხსენიებთ ჩვენ, ქართველები, თქვენს მშობლიურ ენას, თუ რამდენად დავიცავთ თქვენს უფლებებს საქართველოში? ეს პრობლემა, რასაკვირველია, ხელოვნურად წარმოიქმნა, რომ მერე შარაძის მსგავსად ბევრი გვეყაყანა, ვერა და ვერ შევთანხმებულიყავით, საბოლოოდ ენის კანონი ვერ მიგვეღო და იმ რეგიონებში, სადაც კომპაქტურად დასახლებული სხვა ეთნიკური ჯგუფები ცხოვრობენ, ქართული საერთოდ დაევიწყებინათ. დღეს ამ რეგიონებში პრეზიდენტის ის ბრძანებულებებიც არ სრულდება, რომელთაც სახელმწიფო ენის კანონის ამუშავებამდე კანონის ძალა გაჩნიათ. ასე მაგალითად, დაუდგენელია, როგორი თანაფარდობით უნდა გაკეთდეს, ვთქვათ, სხვადასხვა ტიპის წარწერები ქართულ და უცხო ენებზე? ისიც მაინტერესებს, რომელიმე სომხურენოვანი სასწავლებელი რა სახით დაბეჭდავს ატესტატს: მხოლოდ ქართულად, მხოლოდ სომხურად, ქართულ-სომხურ-ინგლისურად, სომხურ-ქართულ-ინგლისურად, სომხურ-ქართულ-რუსულად თუ ქართულ-სომხურ-რუსულად?

შესაგუებლად ძნელია, როცა პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან გეუბნებიან, რომ შენს საკუთარ ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ქართულად არათუ არ საუბრობენ, არამედ ოფიციალურ დოკუმენტაციასაც სხვა ენაზე ადგენენ. კიდევ უფრო დასანანია, ამ დირექტივების ავტორებად ეუთო-ს ექსპერტებს რომ გისახელებენ. ბატონი გურამი რომ არ დამესხას თავს და, როგორც მას სჩვევია, მხოლოდ ის პუნქტები მოიხმოს ხსენებული პროექტიდან, რომლებიც მას "აწყობს", მე უფრო კეთილსინდისიერად მოვიქცევი და ჩემი ინტერპრეტაციის მაგივრად კანონპროექტს დავიმოწმებ: **"ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აქვთ უფლება: ა) ჩაატარონ სხდომები და სხვა ზეპირი მოსმენები შესაბამის არასახელმწიფო ენაზე; ბ) საკრებულოს იურისდიქციის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ ფიზიკურ პირთან ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით ოფიციალური ურთიერთობა დაამყარონ შესაბამის არასახელმწიფო ენაზე".** (თავი III, მუხლი 12. 6). იქვე განმარტებულია (თავი III, მუხლი 12. 7ბ): **"არასახელმწიფო ენაზე ჩატარებული სხდომის დღის წესრიგი და ოქმი ითარგმნოს სახელმწიფო ენაზე და სათანადო წესით დამოწმებული ერთი სავალდებულო ეგზემპლარი არაუმეტეს ორი კვირის ვადაში წარუდგინონ ადგილობრივი მმართველობის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელს".** სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელი, ანუ საჯარო მოსამსახურე, ქართველი თუ არაქართველი, **"ვალდებულია ფლობდეს სახელმწიფო ენას"** (თავი I, მუხლი 6.4). ვალდებული კი იმიტომ არის, რომ **"საქართველოს ტერიტორიაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი არასახელმწიფოენოვან სასწავლო დაწესებულებებში სახელმწიფო ენის სწავლება სავალდებულოა"** (თავი I, მუხლი 7.2). სამწუხაროდ, დღეს ასე არ ხდება – დოკუმენტაცია ისევ არასახელმწიფო ენებზე დგება და სახელმწიფო მოსამსახურეებიც, მათ შორის პარლამენტარებიც, ქართულთან მწყრალად არიან. სახელმწიფო ენის იგნორირების შემთხვევაში ისინი აუცილებლად უნდა დაისაჯონ. მაგრამ, თუ არავის დასჯა და არაფრის შეცვლა არ გინდა, მაშინ, რასაკვირველია, ყველაზე კარგი გამოსავალი კანონის მიუღებლობაა.

სახელმწიფო ენის სტატუსის განსაზღვრა (იქნებ განუსაზღვრელობა?) ერთიორად მნიშვნელოვანია არჩევნების დროს. მაინც, რა ენაზე გაშუქდება საარჩევნო კამპანიები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით? პროექტში ვკითხულობთ: **"საქართველოში გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემა, აგრეთვე ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის გადაცემები, როგორც წესი, მიმდინარეობს სახელმწიფო ენაზე".** (თავი VII. მუხლი 29.1). "როგორც წესი", მე ისე მესმის, როგორც წესია, ანუ სახელმწიფო ტელევიზიის მაუწყებლობა მხოლოდ ქართულად გავრცელდება. მაგრამ მომდევნო პუნქტში ვკითხულობთ: **"მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს არასახელმწიფო ენებიც, მაგრამ ტელე და რადიომაუწყებლობის საეთერო დროის არაუმეტეს 10 %-სა".** (თავი VII. მუხლი 29. 2). "აუცილებლობის შემთხვევაში" უდავოდ იგულისხმება საარჩევნო პერიოდი, როცა არაქართულ მოსახლეობას რაღაცნაირად უნდა გააგებინო, ვის და როგორ მისცეს ხმა. ამ ინფორმაციას უმთავრესად საინფორმაციო გამოშვებებით ვიგებთ, ამიტომაც ითარგმნება პირველ რიგში საინფორმაციო გამოშვებები. ყველაზე დიდი ქრონომეტრაჟის საინფორმაციო ბლოკები საეთერო დროის 10 პროცენტს, ალბათ, არ აღემატება. მაგრამ რეგიონებში, მათ შორის არაქართველებით დასახლებულ რეგიონებშიც, დენი თითქმის არ არის და თუ მოდის, სწორედ იმ დროს, როცა ეთერში საინფორმაციო გამოშვებები გადის. ბუნებრივია, არაქართული მოსახლეობა მათ მშობლიურ, ანუ არასახელმწიფო ენაზე უსმენს. არადა, მედიას მხოლოდ ინფორმაციის მოკრებისა და გავრცელების ფუნქცია არ აკისრია, ის, ფართო გაგებით, კულტურის გავრცელებასაც ისახავს მიზნად. ის კაცი კი, ვისაც მხოლოდ ერთი ან ორი საათით მიეწოდება ელექტროენერგია და მაშინაც ტელეგადაცემებს მის მშობლიურ ენაზე უსმენს, ძალიანაც რომ უნდოდეს, სხვა გადაცემებით ქართულს ვერ გაიტეხს. შეგვეძლო, არასახელმწიფო ენებზე ტელე და რადიომაუწყებლობის საეთერო დრო უფრო შეგვემცირებინა, რაც, ბუნებრივია, უმტკივნეულოდ არ ჩაივლიდა. გაცილებით იოლია, სახელმწიფომ ასეთი რეგიონები ელექტროენერგიის მიწოდებით იმდენად უზრუნველყოს, რომ საეთერო დროის დარჩენილი 90 თუ არა, 50 პროცენტი მაინც ქართულ ენაზე მოასმენინოს. რაც შეეხება კერძო ტელეკომპანიებს, არა მგონია, მათ დღეს იმდენი ფული ჰქონდეთ, უკლებლივ ყველა გადაცემის თარგმნა შეძლონ.

იგივე მდგომარეობაა საარჩევნო ბიულეტენებთან დაკავშირებით, რომლებიც არაქართველი მოსახლეობისათვის "არასახელმწიფო ენებზე" დაიბეჭდა. პროექტში ვკითხულობთ: **"არჩევნების პროცესში კანდიდატთა რეგისტრაცია, სათანადო დოკუმენტაციის შედგენა და საარჩევნო პროცედურები უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ენაზე, თუ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული დროებითი ხასიათის განსხვავებული ნორმები".** (თავი V, მუხლი 18.). "დროებითი ხასიათის განსხვავევებულ ნორმებში" სწორედ ბიულეტენების უცხო ენაზე ბეჭდვა იგულისხმებოდა. გარდა იმისა, რომ მათი თარგმნა ზედმეტ ხარჯებს მოითხოვდა, არა მგონია, ამჟამინდელი პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით სახელმწიფოსთვის ეს მომგებიანი ყოფილიყო. ამიტომაც კითხულობდა სავსებით სერიოზულად, არა დათო გოგიჩაიშვილის გასაგონად, ლევან ღვინჯილია: "შე კაი კაცო, ამდენი ბიულეტენისა თუ ოქმის არასახელმწიფო ენიდან სახელმწოფო ენაზე თარგმნას და ნოტარიალურად დამტკიცებას, არ ჯობდა, იქ, სადაც ქართული არ იციან, კედელზე დიდი ასოებით იმ ექვსი კანდიდატის სახელი და გვარი თავთავიანთ მშობლიურ ენებზე დაგვეწერა? გინდოდა ქართლოს ღარიბაშვილი? გახედავდი კედელს, ნახავდი, რომ ბატონი ქართლოსი მე-2 ნომრად იყო მითითებული და ბიულეტენში 6-იანს შემოხაზავდი".

ბოლოს მინდა, სათაურში დასმულ კითხვას თავადვე გავცე პასუხი: ეს კანონი არც ხორცს მოგვიტანს, არც კვერცხს და არც ბუნდღას, მაგრამ ზუსტად ვიცი, დაჩინჩხლითაც არავის დაჩინჩხლავს, თუმცა ამის მსურველი შეიძლება იმაზე მეტი გვყავს, ვიდრე წარმოგვიდგენია.

24 საათი

წიგნები



10-23 იანვრის ნომერში წაიკითხავთ

ზურაბ ქიქნაძის წერილს "მწერალთა კავშირი. როგორი დაარსდა, როგორი გახდა, როგორი უნდა იყოს?"

შერვუდ ანდერსონის მოთხრობას
დათო მაღრაძისა და მაია სარიშვილის ლექსებს

რეცენზიებს გოდერძი ჩოხელის, ერლომ ახვლედიანის, აკაკი ხინთიბიძის, ასტრიდ ლინდგრენის, ენტონი ბერჯესის, მილან კუნდერას წიგნებზე

ინტერვიუს ლევან ბერძენიშვილთან

www.24hours.ge
24 B

# ისტორიული ცნობები ქართული ხუთჯვრიანი დროშის შესახებ

იოსებ ბიჭიკაშვილი,
რაულ ჩაგუნავა

პირველი ცნობა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო დროშაზე საქართველოში დავით აღმაშენებლის დროიდან ხუთი ჯვარი იყო გამოსახული, ეკუთვნის ო. ტარნოვსკის, რომელმაც ამასთან დაკავშირებით 1982 წელს საგანგებო სტატია გამოაქვეყნა.

მაგრამ ეს ნაშრომი, რომელიც ძირითადად XIV საუკუნის "დროშების მსოფლიო ატლასს" ეფუძნებოდა, ქართული საზოგადოებისათვის, ფაქტობრივად, შეუმჩნეველი დარჩა.

ქართული ხუთჯვრიანი სახელმწიფო დროშის საკითხი ყურადღების ცენტრში მოექცა მას შემდეგ, რაც აკადემიკოსმა დავით მუსხელიშვილმა საგანგებოდ შეისწავლა ევროპული XIV-XVI საუკუნეების საზღვაო კომპასური რუკები - ე. წ. პორტულანები და კვლევის შედეგები პერიოდულ პრესაში სტატიების სახით გამოაქვეყნა (კვლევის საწყის ეტაპზე ის სარგებლობდა 1872 წელს რუსეთში გამოცემულ ძმები ფედერიკო და დომენიგო პიციგანების 1367 წლის რუკით, ხოლო შემდგომ XIV-XVI საუკუნეების პორტულანების ფოტოასლებით, რომელიც პარიზიდან სახელმწიფო სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა ელდარ შენგელაიამ ჩამოიტანა). პორტულანებზე თბილისის თავზე გამოსახული ხუთჯვრიანი დროშის სრულმა თანხვდენამ ო. ტარნოვსკის მიერ "დროშების მსოფლიო ატლასიდან" გადმოღებულ ნიმუშთან, მკვლევარი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ასეთი დროშის გამოყენება გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფო დროშად "საეჭვო აღარ უნდა იყოს" XIII ს. ბოლოს და XIV ს.-ში და სავარაუდოდ XII-XIII საუკუნეებშიც.

რაც შეეხება სოხუმის თავზე გამოსახულ ორნაწილიან დროშას, რომლის ერთი ნაწილი ხუთი ჯვრის, ხოლო მეორე - ირიბი ზოლების გამოსახულებისაგან შედგება, დავით მუსხელიშვილმა ის, როგორც საქართველოს სახელმწიფოში შემავალი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნავსადგურის, დროშად მიიჩნია.

დავით მუსხელიშვილის განაცხადს ქართველ მკვლევართა ერთ ნაწილმა მხარი დაუჭირა (ს. გამსახურდია, გ. ბუღაძე, ნ. შოშიაშვილი, ზ. ბიდურელი, მ. ნიკოლეიშვილი, დ. კლდიაშვილი, ე. შენგელაია, ჭ. ამირეჯიბი, ი. ბიჭიკაშვილი, რ. შენგელია და სხვ.), ხოლო მეორემ არ გაიზიარა.

ძირითადი არგუმენტები, რომელთა საფუძველზეც ოპონენტები ხუთჯვრიანი დროშის ქართულ სახელმწიფო დროშად მიჩნევას ეწინააღმდეგებოდნენ, იყო შემდეგი:

1. პორტულანების შემდგენელ ვაჭრებს სრულიად არ აინტერესებდათ ქართული დროშები და ამიტომაც ისინი არ უნდა იყვნენ გამოსახული პორტულანებზე.

2. თბილისის და სოხუმის თავზე გამოსახული დროშა კათოლიკე მისიონერების (ტექსტში, როგორც ჩანს, შეცდომით ჯვაროსნებია მოხსენებული) დროშა უნდა იყოს, ვინაიდან ამ ქალაქებში კათოლიკური საეპისკოპოსოები იყო გახსნილი XIV ს-დან 200 წლის განმავლობაში. ამასთან ერთად არ გამოირიცხება აღნიშნული ფაქტის სხვა სავარაუდო ახსნებიც, რომელთაგან ოპონენტების სიტყვებით "ერთ-ერთი ამ რუკის გამომცემელმა ფ. ბრუნმა დაუკავშირა ჯვაროსნებს". მეორე ოპონენტის ვერსიით (ჯ. კეკელია) წვრილმასშტაბიანი რუკის გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად, გვერდიგვერდ ნაჩვენები ქრისტიანული საქართველოს და სომხეთის მთლიანი სივრცე თბილისის დროშის საშუალებით ერთი ნიშნით არის მონიშნული.

3. ხუთჯვრიანი დროშა რომ ქართული ყოფილიყო, ყოვლად წარმოუდგენელია, რომ მისი ხსენების კვალი წაშლილიყო წერილობით წყაროებში ან ჩვენამდე მოღწეულ გვიანსაუკუნეების დროშებზე და მათი აღწერის ამსახველ წყაროებზე.

4. ხუთჯვრიანი დროშის არაქართულობაზე მიუთითებს ა. ბაქრაძის მიერ მითითებული "ხუთჯვრიანი დროშის" იერუსალიმური ვარიანტის არსებობა.

5. ხუთჯვრიანი დროშა შეიძლება ქართულად ვცნოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახსნა მოეძებნება პორტულანებში თბილისისა და სებასტიის ჯვრიანი დროშების მსგავსების ფაქტს. (ა. სილაგაძე, გ. ჯაფარიძე).

6. ახლად გამოვლენილი ფაქტი, რომ XV ს. 30-იანი წლების ბოლოს ქართველებს "თავიანთ დროშაზე მოთავსებული ჰქონდათ წმ. გიორგის გამოსახულება", საბოლოოდ უნდა უარყოფდეს საქართველოში ხუთჯვრიანი დროშის არსებობისა და გამოყენების შესაძლებლობას. (ა. სილაგაძე, გ. ჯაფარიძე).

ჩვენი აზრით, აღნიშნული მოსაზრებების გაზიარება არ იქნებოდა გამართლებული შემდეგი მიზეზების გამო:

1. პორტულანებს აგებდნენ დიდი - სიზუსტით ერთი წერტილიდან მეორემდე - მიმართულების და მანძილის მიხედვით, ხოლო მიმართულების ხაზების ქსელით (რომელიც ოპონენტებმა რატომღაც მარშრუტებად მიიჩნიეს) ადგენდნენ საჭირო მარშრუტს და მანძილს (პორტულანებშივე მოყვანილი ხაზოვანი მასშტაბის საშუალებით). პორტულანის დანიშნულება მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი, თუ ის დროშების საშუალებით ვერ შეძლებდა სავაჭრო ინტერესების თვალსაზრისით არა ნაკლები მნიშვნელობის ინფორმაციის გაცემას, თუ რომელ სახელმწიფოს ეკუთვნოდა ესა თუ ის დანიშნულების პუნქტი. აქედან გამომდინარე, პორტულანების შემდგენელების არდაინტერესება ქართული (და მაშასადამე სხვა ქვეყნების) დროშებით გამორიცხულია. სწორედ დროშებით და მათი შესაბამისი ქვეყნებით დიდმა დაინტერესებამ განაპირობა XIV საუკუნეში ისეთი უჩვეულო სიახლის შემუშავება, როგორიცაა "დროშების მსოფლიო ატლასი".

2. თბილისის თავზე გამოსახული დროშა რომ ვერ ჩაითვლება მისიონერების თუ ჯვაროსნების დროშად ან ქრისტიანებით მოსახლე სივრცის მომნიშვნელ ნიშნად, ამაზე დასაბუთებული პასუხი ადრევე დავით მუსხელიშვილმა გასცა. ჩვენი აზრით, ზედმეტი არ იქნება დამატებითი არგუმენტების მოყვანაც: ა) პორტულანების შესწავლამ გვიჩვენა, რომ აღმართული დროშები ეკუთვნით სახელმწიფოებს, მეტროპოლიებს, სამთავროებს ან ქალაქ-რესპუბლიკებს და ამ მონაცემების ფონზე თბილისზე (თუ სოხუმზე) აღმართული დროშა გამონაკლისი ვერ იქნება; ბ) ხუთი ჯვრის შემცველი დროშა ვერ იქნება მისიონერების და ჯვაროსნების დროშა ან მომნიშვნელი ნიშანი იმის გამოც, რომ "დროშების მსოფლიო ატლასის" თანახმად, ხუთი ჯვარის შემცველი კომპლექსური (ე.ი. ორნაწილიანი) დროშები ჰქონდათ კილიკიის და კიპროსის სამეფოებსაც და ცხადია, რომ ამ სახელმწიფო დროშების სხვა დანიშნულებით გააზრება გამორიცხული უნდა იყოს (მათი ხუთჯვრიანი გამოსახულების შემცველი დროშით რომ კათოლიკე საეპისკოპოსოები ყოფილიყვნენ მითითებული, მაშინ გამოდის, რომ ამ სამეფოების ტერიტორია მთლიანად ასეთი საეპისკოპოსოებით იყო მოფენილი).

3. ჩვენამდე სინამდვილეში მოღწეულია წერილობითი წყაროები და მატერიალური ძეგლიც, რომლებიც ძველად ხუთჯვრიანი დროშის გამოყენებას უნდა ადასტურებდეს. უდავოდ ძალზე საყურადღებოა დავით მუსხელიშვილის მიერ წარმოდგენილი 1299 წლის ცნობა, რომლის თანახმადაც ეგვიპტის მამელუქებზე ამხედრებულ ილხანთა ყაზან ყაენს "თავის ლაშქარში ჰყავდა იბერიის ქრისტიანები თავიანთი ჯვრიანი დროშით".

4. ხუთჯვრიანი ქართული დროშის "იერუსალიმური ვარიანტი" სინამდვილეში არ არსებობს, ვინაიდან, როგორც გაირკვა, "იერუსალიმური ვარიანტის" დიდი ჯვარი ლურჯი, ხოლო პატარა ჯვრები შავი ფერის არის (დ. კლდიაშვილი).

5. სებასტიის დროშა თბილისზე აღმართული დროშისაგან განსხვავებით შედგენილი, ორნაწილიანი დროშაა, რომლის ერთი ნაწილი ხუთჯვრიან, ხოლო მეორე ილხანების სახელმწიფო დროშის გამოსახულებას (წითელ კვადრატს ყვითელ ფონზე) შეიცავს. ე.ი. საქმე გვაქვს ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ დროშებთან, რის გამოც მათი იგივეობის ახსნის აუცილებლობა და, მაშასადამე, ხუთჯვრიანი დროშის ქართულად თუ არაქართულად მიჩნევის საკითხიც ავტომატურად იხსნება.

6. XV საუკუნის 30-იანი წლების დასასრულს საქართველოში წმ. გიორგის გამოსახულებიანი დროშის არსებობის გამოვლენა სულაც არ ნიშნავს ამ დროის სახელმწიფო დროშად ხუთჯვრიანი დროშის არარსებობას (ჩვენს მიერ 1447 წლის გაბრიელ დე ვალსეშის პორტულანზე სოხუმის თავზე შესაბამისი დროშის გამოვლენის ფაქტი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ხუთჯვრიანი დროშა თბილისის თავზეც იქნებოდა აღმართული, ის რომ პორტულანში მოხვედრილიყო). წმ. გიორგის და ხუთჯვრიანი დროშის თანაარსებობა რაღაც გარკვეულ ეტაპზე სრულიად დასაშვებია, რადგან პირველი სამხედრო დროშად გამოიყენებოდა და სახელმწიფო დროშად მხოლოდ მაშინ უნდა გადაქცეულიყო, როდესაც ერთიანი საქართველო დაიშალა და მისმა ხუთჯვრიანმა დროშამ თავისი გამაერთიანებელი ფუნქცია დაკარგა.

აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის მიერ მიღებული მონაცემების გარდა, ჩვენ შევძელით ხუთჯვრიან დროშასთან დაკავშირებით დამატებითი მასალების მოპოვება. კერძოდ, გაბრიელ დე ვალსეშის 1447 წლის რუკაზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოვლენილი იქნა სოხუმის დროშა, რომლის გამოსახულება მცირეოდენი ცვლილების

გაგრძელება B6 გვერდზე





თბილისის თავზე აღმართული ხუთჯვრიანი სახელმწიფო დროშა
(ძმების ფედერიკო და დომენიკო პიციგანების 1367 წ. რუკის დეტალი)


სოხუმის თავზე აღმართული ხუთჯვრიანი დროშა
(გაბრიელ დე ვალსეშის 1447 წ. რუკა)


ქალაქ სებასტიაზე აღმართული ორნაწილიანი დროშა (ანონიმური 1375 წ. რუკა)

# აფიშა

## კინო

**რუსთაველი**
"ნემოს ძიებაში" (ქართულ ენაზე)
დას: 12:00; 16:00; 18:00 სთ.

**ამირანი**
"ფრედი ჯეისონის წინააღმდეგ"
დას: 13:00; 20:00; 22:00 სთ.

"რეალური სიყვარული"
დას: 15:00; 17:00 სთ.
ფასი: 5-8 ლარი

## გამოფენა

**"შარდენი"**
სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ნამუშევართა გამოფენა

**"ქარვასლა"**
გეგა ქუთათელაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
III სართული

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
საახალწლო საშობაო გამოფენა "50 ახალგაზრდა მხატვრის საახალწლო სიუპრიზი"

**"ჰობი"**
თენგიზ მირზაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "ფიროსმანის მოტივები" II დარბაზი

"საშობაო გამოფენა" I დარბაზი

# Flash!

## ეს მაკა მიქელაძეა

ანა კორძაია-სამადაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ ქალთა უფლებების დამცველები ზოგჯერ ძალიან მიშლიან ხოლმე ნერვებს – ალბათ იმიტომ, რომ თავს დაჩაგრულად არ გვრძნობ და ისინი სულ მეჩიჩინებიან, ხარ, ხარო, - ერთ რამეში ეს პატიოსანი საზოგადოება სულ არ ტყუის. დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობას, და, მათ შორის, ქალებსაც, მიაჩნიათ, რომ მწერალ ქალს "რამე მაინც ჭირს", ანუ: უშნოა; თუ მთლად ბავშვთა სახლში გაზრდილი არა, ნამდვილად მტარვალი მშობლების პატრონია; ცხოვრებაში არ უმართლებს; კაცი არ ეღირსა, ხოლო თუ ეღირსა – ჩვარი და დებილი, და ა.შ და ა.შ. ეს ასე არაა, და ამის დასტური თუნდაც ქალბატონი მაკა მიქელაძე გახლავთ, რომელსაც არაფერი სჭირს, უფრო სწორად ბევრი რამ სჭირს, ოღონდ საუკეთესო: ის ახალგაზრდაა, ჰყავს შესანიშნავი შვილები, უამრავი მეგობარი და კეთილისმსურველი, აქვს კარგი პროფესია, და ლამაზია. გარდა ამისა, ის ჩინებულად წერს, და თუ ჩემი არ გჯერათ, შეგიძლიათ წიგნის მაღაზიაში მიბრძანდეთ და მისი მოთხრობების კრებული, Flash! იყიდოთ.

კრებულში შესულია ცხრა მოთხრობა, მათ შორის ერთი – სიკვდილ-სიცოცხლეზე, ერთი – სექსზე, ერთი – ამ რთულ ცეკვაზე... მე ყველა არ წამიკითხავს, მაკას შემოქმედებას ჟურნალ "არილის" წყალობით გავეცანი – "ერთი მოთხრობა სექსზე" სწორედ "არილში" წავიკითხე, და ძალიან მაინტერესებდა, როგორი ავტორი შეიძლება ჰყოლოდა ამ ფრიად გაბედულ, სახალისო და უჩვეულო ამბავს, უთარგმნელ მოთხრობას, რადგან "კაპიკია ამ ნაამბობის ფასი ნებისმიერ ისეთ ენაზე, სადაც პირველი "იგის"-სთანავე გაირკვეოდა, რომელი იყო ჩვენს შორის ქალი და რომელი – კაცი. და საერთოდ, ვინ გითხრა, რომ რომელიმე ქალი იყო და რომელიმე – კაცი".


მაკა მიქელაძე

ეს ქალი "პენ მარათონზე" გავიცანი (და მომეწონა), მერე ლიტერატურულ საღამოებზე მხვდებოდა ხოლმე (და ისევ მომწონდა)... ამჟამად მაკას უკვე ცოტა მაინც ვიცნობ, და ძალიან გამიხარდა, როცა მან თავისი პირველი მოთხრობების კრებულის პრეზენტაციაზე დამპატიჟა.

ამ კრებულის გამომცემელი ბაკურ სულაკაური გახლავთ, როგორც "საღამოს მასპინძელმა", ლაშა ბულაძემ ბრძანა, "საქართველოს დამსახურებული გამომცემელი". მე მას უფრო "ფეხბედნიერ გამომცემელს" ვუწოდებდი, პროზაიკოსებისთვის მაინც.

როგორც გაირკვა, პოეტი მაკა მიქელაძე და პოეზიის პრინციპულად არგამომცემელი ბაკურ სულაკაური ერთმანეთს დიდი ხნის განმავლობაში იცნობდნენ. ერთხელ ისინი ერთმანეთს შეხვდნენ და ბაკურმა ნიშნისმოგებით უთხრა, მე ლექსებს არ ვბეჭდავო. მე კი მოთხრობებს ვწეროო, მიუგო მაკამ. ჰოდა, მოიტანეო, მოუწოდა ბაკურმა. აი, ასე შეიქმნა კრებული Flash!

პრეზენტაცია "ლიტერატურულ კაფეში" გაიმართა, და მისი მსვლელობის შესახებ მოყოლით თავს არ შეგაწყენთ. მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რომ ქართველი მწერლის წიგნის პრეზენტაციაზე ამდენი ტელევიზიის წარმომადგენელი ერთად, კარგა ხანია, აღარ მინახავს, რომ მაკას მრავალი მსმენელი ჰყავდა და ის, საგანგებოდ ელეგანტური, თავის ჯერ გამოუქვეყნებელი წიგნიდან, "წამყვანი ორგანოდან" კითხულობდა "უწყინარ" ნაწყვეტებს.

და საერთოდ, "არ გვინდა ახლა დიდაქტიკური მოტივები სხვათა და სხვათა შემოქმედებაში". ამას სჯობს, ვიყიდოთ Flash! და წავიკითხოთ – პირადად მე ამაღამ სწორედ ამას ვაპირებ.

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**ხუთშაბათს,** 17 საათზე ზაალ სამადაშვილის ციკლის "ახალი განზომილების" სტუმარი გიო ახვლედიანი ისაუბრებს ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებაზე.

**პარასკევს,** 17 საათზე ზაალ სამადაშვილის ციკლით "ახალი განზომილება" შედგება ნოდარ ანდღულაძის წიგნის Homo Cantor-ს პრეზენტაცია.

*მისამართი: გამსახურდიას 31*

## ბურჭულაძე თელავივში

ხვალ ისრაელის ახალი ოპერა წარმოადგენს ვერდის ძველ ნაწარმოებს "ატილა" (სტრასბურგის Rhin National Opera-სთან კოპროდუქცია). დადგმას განახორციელებს ცნობილი ფრანგი რეჟისორი, ხოლო დირიჟორი იქნება აშერ ფიში. მთავარ პარტიებს შეასრულებენ: სახელგანთქმული ბანი პაატა ბურჭულაძე და კიდევ ერთი ქართველი მომღერალი რამაზ ჩიკვილაძე.

## უაიტი უდანაშაულოა



"უაიტ სტრაიპსის" ვოკალისტი ჯეკ უაიტი უდანაშაულოდ ცნეს. თუმცა ერთადერთი სასჯელის სახით 9 მარტამდე მუსიკოსს დეტროიტიდან გასვლა აუკრძალეს.

როგორც ცნობილია, მუსიკოსს ბრალად ედებოდა ერთ-ერთი დეტროიტული როკ-ჯგუფის - Von Bondies-ის ვოკალისტზე, ჯეისონ სტოლსტეიმერზე თავდასხმა. ჩხუბი მუსიკოსებს შორის 13 დეკემბერს, ბრენდონ ბენსონის კონცერტზე მოხდა. თუკი ჯეკ უაიტსს ბრალი დაუმტკიცდებოდა, მაშინ მას ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა ან, მილიონი ამერიკული დოლარით დაჯარიმება ემუქრებოდა. მაგრამ, ყველაფერი უაიტის სასარგებლოდ დამთავრდა.

ამასობაში კი, "უაიტ სტრაიპსი" წლევანდელი "გრემის" სამ ნომინაციაზეა წარდგენილი; თავად უაიტმა მონაწილეობა მიიღო ფილმში "ცივი მთა" და ფილმისთვის რამდენიმე კომპოზიციაც კი დაწერა.

## საჩვენებელი კონცერტი

კომპოზიტორ ნუნუ გაბუნიას მოსწავლეები ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური თეატრის მცირე დარბაზში საჩვენებელ კონცერტს გამართავენ. კონცერტზე 3-დან 10 წლამდე ბავშვები ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებს შეასრულებენ. მსმენელს საშუალება ექნება რევაზ ლაღიძის, სულხან ცინცაძისა და სხვა კომპოზიტორთა სიმღერები მოისმინოს. მოსწავლეები შეასრულებენ ნუნუ გაბუნიას სიმღერებსაც. კონცერტმეისტერია თამილა ჩირაძე.

"ამ კონცერტით ჩვენ საქართველოში მომრავლებულ ე.წ. "ვარსკლავებს" ვუჩვენებთ, როგორია ჭეშმარიტი ქართული სიმღერა და პროფესიონალიზმი" - განაცხადა ნუნუ გაბუნიამ. კონცერტი 23 იანვარს გაიმართება. *მედია-ნიუსი*

# კულტურული ზეიმი, რომელიც 12 თვეს გრძელდება

ფრანგული ქალაქი ლილი პარიზიდან მატარებლით 1 საათის სავალზეა, ბრიუსელიდან – ნახევარი საათის, ლონდონიდან კი "ევროსტარის" სწრაფმავალით იქ ორ საათში მოხვდებით. არავინ იცის, რამდენი საათი სჭირდება თბილისიდან ლილში მატარებლით მგზავრობას, რადგან ასეთი მარშრუტი არც არსებობს, მაგრამ ამ წუთში ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. თუ მოგზაურობა და ხელოვნება გიყვართ, ლილში ვირტუალური ვოიაჟიც დიდ სიამოვნებას მოგგვრით. ეს ქალაქი ხომ ევროპული თანამეგობრობის კულტურის სამინისტრომ, გენუასთან ერთად, 2004 წლის ევროპის კულტურულ დედაქალაქად გამოაცხადა და შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში ტურისტებისთვის ფავორიტ დანიშნულების ადგილად ითვლება.

სანამ ლილში დაგეგმილ კულტურულ ღონისძიებათა მეტად საინტერესო პროგრამას გავეცნობოდეთ, მოგახსენებთ, რომ კულტურულ დედაქალაქს ევროპა 1985 წლიდან მოყოლებული ირჩევს. ჯერ სახელდება ქვეყანა და შემდეგ გამოიყოფა მისი პრიორიტეტული ქალაქები. ეს უკანასკნელნი კი ყველანაირად ცდილობენ ჟიურის წევრებისთვის თავის მოწონებას. მაგალითად, ვიცით, რომ ბრიტანეთის რამდენიმე ქალაქი, მათ შორის, ნიუქასლი და ლივერპული, 2008 წლისთვის რამდენიმე წელია, ემზადებიან – გრანდიოზული მშენებლობებით, გამოფენა-ექსპოზიციებით, რესტავრაციებით, ქანდაკებების აღმართვით.

საფრანგეთი კი კონკურსში მონაწილეობას 2013 წლამდე ვეღარ მიიღებს, რადგან მანამდე რიგში (2005-2012 წ.წ. ჩათვლით) ირლანდია, საბერძნეთი, ლუქსემბურგი, ბრიტანეთი, ავსტრია, გერმანია, პორტუგალია და ფინეთი დგანან – კულტურული დედაქალაქის ტიტული ამ ქვეყნების რომელიმე ქალაქმა უნდა შეითავსოს.

ამ წოდების პირველი მფლობელი კი 1985 წელს ათენი იყო (საბერძნეთი სალონიკის წყალობით 1997 წელსაც აირჩიეს), ბოლო კი, ლილსა და გენუამდე – ავსტრიული გრაცი.

რაც შეეხება, წლევანდელ ფრანგულ-იტალიურ წყვილს, ევროპული დედაქალაქების ისტორიას ერთდროულად ორი გამარჯვებული წარსულშიც ახსოვს. მაგალითად, ევროპელებს 2001 წელსაც ორი კულტურული დედაქალაქი ჰქონდათ – როტერდამი და პორტო, 2002 წელს კი – ბრიუგე და სალამანკა, ხოლო 2000 წელს დედაქალაქების რიცხვმა რეკორდულსაც მიაღწია. საბჭომ იმ წელს ერთდროულად აირჩია: ავინიონი, ბერგენი, ბოლონია, ხარკოვი, ჰელსინკი, პრაღა, რეიკიავიკი და სან-ჟაკ დე კომპოსტელა.

ასე რომ, წელს ტურისტებს საქმე გაადვილებული აქვთ, მათ სულ ორ პატარა ქალაქს შორის მოუწევთ ხეტიალი. ახლა კი, ვნახოთ, რას გვთავაზობენ ლილი და გენუა.

ბრიტანული გაზეთის, "დეილი ტელეგრაფის" ჟურნალისტი ლილის შესახებ შურნარევი ტონით წერს: "ლილი ერთი ჩვეულებრივი ინდუსტრიული ქალაქია, ევროპაში მრავლად რომ წააწყდებით, ისეთი. მასაც ძალიან სურს, რომ მოიშოროს ძველი ეკონომიკური ვალდებულებები და თანამედროვე კულტურულ ცენტრად გარდაიქმნას. თუმცა ლილს სხვა ინდუსტრიულ ქალაქებთან შედარებით აქვს ერთი უპირატესობა და, წესით, ნიუქასლსა და ლივერპულს მისი უნდა შურდეთ კიდეც – ის საფრანგეთის სიდიდით მესამე ქალაქია და ძალიან იოლად და სწრაფად მისაღწევი სხვა ევროპული ქალაქებიდან".

ერთი სიტყვით, ბრიტანელებს, ცოტა არ იყოს, ფრანგების შურთ კიდეც. ამ გრძნობას თუ გააძლიერებს, თორემ არაფრით გაანელებს, ლილის კულტურული ღონისძიებების შთამბეჭდავი ნუსხა.

ქალაქი კულტურულ ცხოვრებას სამ სეზონად ჰყოფს. პირველი სეზონი 6 დეკემბერს დაიწყო და მარტამდე გასტანს; მეორე – მარტი-სექტემბრის პერიოდს მოიცავს, მესამე – სექტემბერი-ნოემბერს. პირველ პერიოდში, ანუ 5 მარტამდე, ლილი ათასგვარ ღონისძიებას რამდენიმე თემატური სათაურის ქვეშ აერთიანებს:

"მეტამორფოზა" – ამ პროგრამის ფარგლებში დიზაინერებს, სკულპტორებსა და მხატვრებს ქალაქის მერია სრულ თავისუფლებას აძლევს: მათ საკუთარი გემოვნებით უფლება აქვთ გარდაქმნან ქალაქის ქუჩები, ფასადები, პარკები. მშვენიერი ექსპერიმენტების მსხვერპლიც ხან პასტელის ვარდისფერი ილუმინაციებით მორთული სადგური ხდება, ხან პარკები, სადაც მყვირალა ფერების შადრევნებს აწყობენ, და ხან პავილიონი, რომელსაც ამერიკელი მინიმალისტი ტერი რილი უზარმაზარი სარკეებით რთავს, სტუმრებს კი ერთმანეთის საუბარი და ფეხის ხმა რამდენიმე წუთის დაგვიანებით ესმით. ფანტაზიას გასაქანს აძლევს რეჟისორი პიტერ გრინევეიც...

გამოფენები – ეს სათაური რამდენიმე დამოუკიდებელ თემას გულისხმობს: ძველი ეგვიპტით დაინტერესებულები ნახავენ გრანდიოზულ ექსპოზიციას, ძველი ეგვიპტის თემაზე, ეგვიპტური კინოს ნიმუშებს, გაიხსენებენ იუსუფ ჩაჰინს. 12 სხვადასხვა დარბაზში კი ერთ გრანდიოზულ საგამოფენო სერიას წარმოადგენენ – ლუვრიდან და კერძო კოლექციებიდან ჩატანილი მხატვრობის, სკულპტურისა და დეკორატიული ხელოვნების ნიმუშებით. ლილი მთელ ევროპაში ძველი ოსტატების კოლექციებითაცაა განთქმული. ასე რომ, კულტურული ზეიმის აღსანიშნად უხვად გამოფენენ რუბენსის ტილოებსაც. ეს 1977 წელს ანტვერპის ექსპოზიციის შემდეგ რუბენსის ყველაზე სერიოზული გამოფენა იქნება. გაიხსენებენ როკოკოს და ცალკე გამოფენას მიუძღვნიან კარნავალების ისტორიას, გოიასა და ბრეიგელის ნამუშევრებით. გამოფენა "ყვავილების ძალა" კი უორჰოლისა და კუნსის ნახატებს შეიცავს.

ლილის სტუმრები ნახავენ მეოცე საუკუნის ყველაზე ფუტურისტული ავტომობილების მოდელებსა და ბოლო ოცი წლის განმავლობაში შექმნილ ყველაზე მნიშვნელოვან რობოტებსაც.

არანაკლებ საინტერესო პროგრამაა მომზადებული კინოს მოყვარულთათვისაც. პროგრამა სათაურით, "კინო და ქალაქი" ვიმ ვენდერსის, ანტონიონის, ალმოდოვარის, ტერი გილიამისა და ვონგ კარ-ვაის სახელებს აერთიანებს; ცალკე პროგრამა ეძღვნება ჟან-ლუკ გოდარს. მაყურებელს საშუალება ექნება, თავად დაესწროს ცხრა ფილმის მონტაჟს, რომელთაც გოდარი სახელდახელოდ შექმნის. მოგვიანებით ამ ფილმების კოლექცია DVD-ზე გამოვა. არანაკლებ საინტერესოა ფუტურისტული კინოს განყოფილება. ამ უცნაურ დარბაზში რეჟისორები თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით მთლიანად თავისუფლდებიან კლასიკური კინოს ფორმებისგან, იყენებენ ახალი ტექნოლოგიების პოეტურ პოტენციალს და საოცარ გამოსახულებებს ქმნიან. დარბაზში შესული სტუმარი, თურმე, შეიძლება კინოგამოსახულების შუაში აღმოჩნდეს, შემდეგ მის ლაბირინთებში დაიკარგოს და ბოლოს თვითონ მიიღოს მონაწილეობა პროცესში, რომელსაც ასე უწოდებენ – "ახალი მიდგომა გამოსახულებისადმი თქვენი თვალებისთვის".

თუ ლილის ღონისძიებათა პროგრამას გადახედავენ, ამ ქალაქისკენ გული მელომანებსა და მუსიკალური სანახაობების მოყვარულებსაც გაუწევთ. გაიმართება ჯაზ-სეიშენები, ქუჩის ზეიმები, კლასიკური მუსიკის კონცერტები, იამაიკური რეგეის საღამოები, იაპონელი ქორეოგრაფის საბურო ტეშიგავარას დაუვიწყარი წარმოდგენები, ექვსი რეჟისორი სამ სხვადასხვა ენაზე წარმოადგენს შექსპირის ცნობილ პიესებს...

თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ ეს ყველაფერი არ არის. ლილს კიდევ უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო თემატური პროგრამა აქვს და ამაში თავადაც დარწმუნდებით, თუ ინტერნეტ-საიტს, http://www.lille2004.com მოინახულებთ (ყველაფრის შესახებ საუბარს ამ წერილში ნამდვილად ვერ მოვასწრებდით). ხოლო თუ გენუაში მოგზაურობას გადაწყვეტთ, გულს არც იტალიელები დაგწყვეტენ. მათი საინტერესო და ორიგინალური პროგრამის ნახვა შემდეგ საიტზე შეგიძლიათ – http://www.genova-2004.it. ასე რომ, სახალისო მოგზაურობას გისურვებთ.


ლილის პარკი


მომავლის კინოთეატრი

# მსოფლიო კინოს დიდი ბავშვი

## დღეს ფედერიკო ფელინი, ˝მოგონებათა რეჟისორი˝, მსოფლიო კინოს დიდი მაესტრო 84 წლის გახდებოდა

*"ზოგჯერ მეჩვენება, იმიტომ ვიღებ კინოს, რომ სხვა არაფრის გაკეთება არ შემიძლია"*

*ფედერიკო ფელინი*

### ფედერიკო ფელინი: ˝ფილმის კეთება˝

"რიმინი, ჩემი რიმინი. Rimini – სიტყვა, რომელიც ჯოხებისგან შედგება. რიმინი, ნაერთი რაღაც ბუნდოვანის, ნაზის... აქ სევდა უფრო ნათელია, განსაკუთრებით კი - ზამთარში, როცა ტალღებზე თეთრი ქოჩრები, ხოლო ჰაერში ძლიერი ქარი უბერავს, -ასეთად ვნახე პირველად ზღვა ჩემ რიმინიში.

მთელი ბავშვობა აქ გავატარე - ბაღი, სკოლა, ლიცეუმი...მახსოვს, პატარობაში მე და ჩემ მეგობრებს ყაჩაღური ტრიო გვქონდა და საგმირო საქმეებს ჩავდიოდით. მაგალითად, საგმირო საქმედ ითვლებოდა მეზობლის ქათმის მოპარვა და მისთვის კისრის მოგრეხვა – ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა, ბარბაროსობაა. ზაფხულში კი სანაპიროზე, ამობრუნებული ნავების უკან ჩამწკრივებულ წყვილებს სრულიად შიშვლები ვადგებოდით თავზე და უცოდველი გამომეტყველებით ამ მომენტისთვის სრულიად არაადეკვატურ, დამაბნეველ კითხვას ვუსვამდით, – "უკაცრავად, რომელი საათია?". დღისით არასოდეს შევდიოდი ზღვაში, რადგანაც ძალიან გამხდარს უამრავი კომპლექსი მტანჯავდა; ჰოდა, მეც მედიდური გამომეტყველებით ვიჯექი და ვაკვირდებოდი ხალხს.

ლიცეუმამდე არასოდეს მიფიქრია იმაზე, თუ რა პროფესიას ავირჩევდი. პროფესია, ვფიქრობდი, ეს არის რაღაც აუცილებელი, დაახლოებით ისეთი, როგორიც საკვირაო მესა. ამიტომ არასოდეს მითქვამს, – "აი, რომ გავიზრდები, გამოვალ ესა და ეს..." ვფიქრობდი, რომ არასოდეს გავიზრდებოდი - ჰმ, არც ისე შევმცდარვარ. კინოში მოსვლამდე ბევრი პროფესია შევიცვალე: მხატვარ-კარიკატურისტი, ვიტრინების გამფორმებელი, სცენარისტი, ჟურნალისტი. სხვათა შორის, ჩემი ჟურნალისტობა ისევ და ისევ კინოს უკავშირდება. ბევრი ამერიკული კინო მქონდა ნანახი, სადაც ჟურნალისტებს ძალზედ მომხიბვლელი როლი ეკავათ; მომწონდა მათი პალტო, სიარულის, ქუდის ტარების მანერა - აი ასე, ცოტა უკან გადაწეული. ამიტომაც დავტოვე რიმინი და ჩამოვედი რომში მომავალი პროფესიის დასაუფლებლად. კინოში კი, უფრო სწორედ, სტუდია "ჩინეჩიტაში" ერთ-ერთ რეჟისორთან ინტერვიუს ასაღებად მივედი და, მახსოვს, როგორი გაოგნებული გამოვედი. "არა, მე ვერასოდეს გავხდები რეჟისორი. მე არ მქონდა ვიღაცის ტირანიულად დამორჩილების ძალა, არ ვიყავი მომთხოვნი, პირიქით, ბავშვობიდან ჩაკეტილი, მარტოობის მოყვარული და გულის წასვლამდე მგრძნობიარე გახლდით. აბა, მითხარით, შეიძლება ყოველივე ეს დაუკავშირო ათასობით ჯგუფის წევრს, მეგაფონს და ხმამაღალ ბრძანებებს? იყო რეჟისორი, ეს იგივეა, რაც უხელმძღვანელო ქრისტეფორე კოლუმბის აჯანყებულ მეზღვაურებს," – დავასკვენი და რედაქციაში დავბრუნდი. მოგვიანებით, მხოლოდ მაშინ, როცა რობერტო როსელინისთან ფილმ "პაიზას" სცენარზე ვმუშაობდი და გადაღებას დავესწარი, მივხვდი, რომ შეიძლება ფილმი ისევე თავისუფლად და მსუბუქად აკეთო, როგორც ხატო, წერო... რობერტო იყო ადამიანი, რომელიც გზაზე გადასვლაში მომეხმარა, ყველაფერი მასწავლა.

ჩემი სარეჟისორო მოღვაწეობა საკმაოდ წარუმატებლად დაიწყო. ფილმს "თეთრი შეიხი" ერქვა. რომიდან გამთენიისას გამოვედი; ჯულიეტას როცა ვემშვიდობებოდი, გული ისე მიცემდა, თითქოს, გამოცდაზე მივდიოდი. გზაში ეკლესიაშიც კი შევედი, რომ მელოცა; მართალია, თითქოს, ჯიბრზე ყველაფერი დამავიწყდა და თან ეკლესიის სიღრმეში ლაფეტიც კი დავინახე, რაც, რა თქმა უნდა, ცუდ ნიშნად მივიღე, ხოლო გზაში უეცრად გახეთქილმა საბურავმა საერთოდ წამიხდინა განწყობა. მოკლედ, გადაღებაზე დავიგვიანე. ადგილზე მისულს გადამღები ჯგუფი ზღვაში საკმაოდ ღრმად გასულ ნავზე დამხვდა. სანამ მათ კატერით ვუახლოვდებოდი, ნერვიულობისგან, თითქმის, დავბრმავდი - ვერაფერს ვხედავდი. მარტო ერთი აზრი მიტრიალებდა თავში – ახლა რა ვქნა? რა მეშველება? დამავიწყდა ფილმის სიუჟეტი, საერთოდ - ყველაფერი, მხოლოდ გაქცევა მინდოდა სადღაც, შორს. ბოლოს, როგორც იქნა, მივადექით ნავს. როგორც კი ფეხი ავდგი, ცოტა დავწყნარდი, იმიტომ, რომ მე



*მასტროიანი და ფელინი*



*ფელინის ნახატები*

თვითონ დამაინტერესა, რითი დამთავრდებოდა ყველაფერი. მე, როგორც რეჟისორის ყოფილ ასისტენტს, რომელსაც შეხებაც კი არასდროს ჰქონია კინოკამერასთან, ამ დღეს ისეთი სცენა უნდა გადამეღო, რომ თვით კუროსავაც კი გაოცებულიყო: გადაღება შუა ზღვაში. შეუძლებლად მეჩვენებოდა მთელი სცენის პატარა კინო კამერის თვალში მოთავსება. აბა, როგორ გინდა, დაიჭირო კადრში ობიექტი, რომელიც მოლივლივე ტალღებზე ხან მარჯვნივ მიდიოდა და ხან მარცხნივ. ვცდილობდი, მომეფიქრებინა, რას იზამდნენ ჩემს ადგილას სხვა რეჟისორები, ნეტავი როგორ მოიქცეოდა რობერტო? იმ დღეს ვერაფერი გადავიღეთ. მთელი დღე ფუჭად გავიდა; მახსოვს გადამღები ჯგუფის ბრაზიანი, ალმაცერი მზერა – ასეთი იყო ჩემი დებიუტი. მართალია, ეს სცენა მეორე დღეს გადავიღეთ, არაუშავდა, გამოვიდა, მაგრამ მერე... ფილმის შემდეგ სცენებს რომში, ბარბერინის სასახლეში ვიღებდით, მეორე სართულზე კი ფარმაკოლოგების კონგრესი იმართებოდა. ფილმის დირექტორმა, რომელსაც კიბეებზე შევხვდი, როგორც ყოველთვის მომმართა, -" მისმინე, ფეფეუჩო..." არვიცი, რა ბუზმა მიკბინა. დამემართა სულელური ისტერია და დავიწყე საშინელი ყვირილი, – "გეყოფა ჩემთან ასეთი ლაპარაკი..." ხმა ჩამიწყდა, ისე ვყვიროდი და შეურაცხყოფას არ ვაკლებდი საბრალოს, ის კი ნაწყენი და ამაყი კიბეებზე ჩადიოდა; ზემოდან კი ათასობით გაოცებული ფარმაკოლოგის სახე იყურებოდა. სწორედ ამ მომენტიდან მოვიპოვე ერთმმართველობა და გავხდი ჩემი ფილმის ბატონ-პატრონი. მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ არ ვერკვეოდი ობიექტივსა და ტექნიკურ მხარეში უეცრად გადავიქეცი დესპოტ რეჟისორად, რომელიც ყოველთვის აღწევდა თავისას - მომთხოვნი, ახირებული, ყველა იმ თვისებით აღსავსე აღმოვჩნდი, რომლებიც ყოველთვის მძულდა; ასევე - ყველა იმ ღირსებით, რაც ყოველთვის მშურდა, ნამდვილ რეჟისორებს რომ ვუყურებდი.

ფილმს გზადაგზა ვაკეთებ. ის ჩემთვის ავადმყოფობაა, რომელიც უნდა მოიავადმყოფო, გათავისუფლდე. მაგრამ, დგება თუ არა ეს მომენტი, თვითონვე ვცდილობ, ხელახლა დავავადდე. ყოველი ფილმი რაღაც სიზმრის მსგავსია - სასიამოვნო, სასურველი. აი, სცენარის კი მეშინია. ეს სწორედ ის მომენტია, როცა ფილმი ყველაზე მეტად გიჯიუტდება, გექიდავება. ჩნდება არეული, ბუნდოვანი სახეები. ჩნდება სიტყვა. სიტყვა ლიტერატურული ფორმაა, რომელიც ავიწროებს კინოს მკაცრად განსაზღვრულ პლასტიკურ სახეს. ბევრ სცენარისტთან მიმუშავია: პინელი, ძაპონი, ტონინიო გუერა...ვუმხელ მათ ჩემს გონებაში არსებულ, სიზმარში ნანახ, ანდა სადმე გაგონილ ამბის მიყუჩებულ დეტალებს, ისტორიებს. შემდეგ ვინაწილებთ სცენებს და ვშორდებით ერთმანეთს; ცალ-ცალკე ვმუშაობთ. რაც შეეხება მსახიობების შერჩევას, აქ ნამდვილი ნევროზი მაქვს. უაზროდ შემიძლია ათასობით სახის თვალიერება, არჩევა, დაწუნება. გავაკეთებ სცენარში შენიშვნას, – "ვეძებ ადამიანს სარკასტული ღიმილით"; ამას შეიძლება მთელი კვირები მოვანდომო და ბოლოს სულ სხვა რამ ვიპოვო. ყველა ჩემს მსახიობს ვურჩევ, იყოს ბუნებრივი, არ ითამაშოს. მე არ მჭირდება მსახიობი, რომელიც სხვისი ცხოვრებით ცხოვრობს, სხვისი ტყავის მორგებას ცდილობს. მირჩევნია, გამოვავლინო ის, რაც თვითონ ამ ადამიანშია; მივეხმარო გრიმით, კოსტიუმით. შეიძლება მსახიობს, რომელმაც შვილს უნდა უთხრას, – "გაეთრიე აქედან!" - მოვთხოვო, რომ ზუსტად ისე წარმოთქვას, როგორც მაშინ, რესტორანში ოფიციანტს რომ მიმართა – "ეს ბრინჯი მოუხარშავია". ამიტომაც მე სულ ვაკვირდები ჩემს მსახიობებს ცხოვრებაში - ქცევის, ლაპარაკის დროს. შემდეგ იწყება ახალი ფაზა პავილიონებში სირბილითა და პროდიუსერთან გამუდმებული კონფლიქტებით, რომელიც ბულდოგივითაა ჩაფრენილი თავის შემოსავლის წყაროს. აქ ატყობ, რომ ფილმი ნელ-ნელა იწყებს არსებობას, სიბნელეში ბუნდოვნად არსებული იდეები ხორცს ისხამს; მასში უკვე რაღაც სიმპათიურ დეტალებსაც ხედავ. გადასაღებ მოედანზე ხალხმრავლობა, ჩოჩქოლი, ლაზღანდარობა მიყვარს, ხოლო სამონტაჟოში - პირიქით. სამონტაჟო ეს საოპერაციოა, სადაც ფილმს ოპერაციას უკეთებენ. აქ მე მარტო ვარ, ჩემი ფილმი და მემონტაჟე. ბოლოს ეს ფაზაც მთავრდება. ფილმი ჩამოდის საოპერაციო მაგიდიდან და იწყებს დამოუკიდებელ ორგანიზმად არსებობას. როდესაც ფილმი მზადაა, ის, თითქოს, მიდის ჩემგან. მე ჩემი საქმე გავაკეთე და ახლა მისი ჯერია, თავად წარადგინოს თავი, შეეცადოს მოხიბლოს მაყურებელი. მე ვერ ვანსხვავებ ჩემს ფილმებს ერთმანეთისგან, მეჩვენება, რომ ყოველთვის ერთი და იგივეს ვიღებ, უბრალოდ, დროდადრო ვცვლი ხედვის წერტილს. რა, ეს ჩემი ფილმია? ვცნობ მას? – არ ვიცი. ისე, ჯერ კიდევ გვაკავშირებს ჭიპლარის ნაწილი და სწორედ მე უნდა გადავჭრა, დავაცილო... ამ დროიდან ვცდილობ, დავშორდე, ნაკლებად შევხვდე. მის მიმართ ჩემი ინტერესი იკარგება, ქრება.

ჩემს ფილმებში მთავარი არ არის მოგონება. მტკიცება იმისა, რომ ყველა მათგანი ავტობიოგრაფიულია – არასწორია, რადგანაც მე, თითქმის, ყველაფერს ვიგონებ: ბავშვობას, ხასიათს, ნოსტალგიას და სიზმარსაც; ვიგონებ, რათა რამეს მოვყვე, იმიტომ, რომ მოყოლა, ეს ის ერთადერთი თამაშია, რომლის თამაშიც ნამდვილად ღირს."



*ფელინი გადაღების დროს*

სვეტი

## კოტე.GE



კოტე ყუბანეიშვილი

მე მოთმინება მაშინ მელევა,
თუ მონობაა გახვედრებული
და როცა მოდის საშინელება,
თეთრ ტაიჭზე ვარ ამხედრებული.

რადგანაც ზეცა უკვე გაიხსნა,
სხვა რა ვიპოვო საქმე საგმირო,
მზეთუნახავი უნდა დავიხსნა
და გველეშაპი შუბით გავნგმირო.

■ ■ ■

მზიდან მოფრინავს თურმე კომეტა
და შეზღუდული არის ვადები,
რევოლუციამ გამაპოეტა,
ჩემი სახლია ბარიკადები

მთელი ქონება ცეცხლში დაიწვა
და მეც ამბოხის თუ მაქვს უფლება,
ჩონგურით ხელში მინდა დავიცვა
ნამუსახდილი თავისუფლება.

■ ■ ■

ქვეყნად დაიწყო პროცესი სულ სხვა,
თითქოს უკუღმა ჩაირთო ჩარხი,
როცა მოხიბლა ცვლილების კურსმა,
ვერ შეაშინა წვიმამ და სუსხმა
და გამოვიდა ქუჩაში ხალხი.

■ ■ ■

გადადგომას რომ ითხოვენ გამძღრის,
მობეზრდათ თმენა უფროსს თუ უმცროსს,
ხმა ისმის მართლა წყევლის და ლანძღვის,
რადგანაც ხალხმა გაიგო რაც ღირს,
დაუთმო შენი სამშობლო უცხოს.

■ ■ ■

ზღვა, მთა, მდინარე, ტყე, რაც აქვეა
და ქართველთათვის ღმერთს მოუცია,
რისი შენახვაც მათი საქმეა,
როდესაც ხდება რევოლუცია

რადგან გვეკუთვნის ამის უფლება,
მომავლისაკენ ხომ სავლელია,
გვახსოვდეს, სიტყვის თავისუფლება
თვალის ჩინივით მოსავლელია.

■ ■ ■

როგორ მინდა ერთ წამს,
მსგავსად კოხტა სტვირის,
დავემსგავსო ლერწამს
თავისთვის რომ სტირის

როცა გარეთ ცივა
რომ არ მოკვდეს ენა
მას ბგერები ცვივა
ხალხს რომ უყვარს სმენა.

■ ■ ■

პოეტის დალი
აზრია სალი,
იხსნება თალი
განწყობა ლალი
ინთება ჭალი
სამოთხის ბაღი.

■ ■ ■

სანამ წამოხდა პოეტი ზეზე
ჩქარა რეკლამა გაუშვით მზეზე.

პოეტმა უნდა ლექსები წეროს,
რომ სტრიქონებით ებრძოლოს ტერორს
და ყოველ საშიშ გასროლას თოფის
წინ დაუხვედროს ჟილეტი სტროფის

კეთება მიწევს ვერ ვხვდები მე რის
ამ გაბრწყინებულ ეთერში მზერის
და ვერ ვიხსენებ ძალიან ვინ გავს
მკერდამოვარდნილ ქალბატონ ინგას

სანამ წამოხტა პოეტი ზეზე
ჩქარა რეკლამა გაუშვით მზეზე.

ჩოგბურთი

# "მთელ ჩემს ფულს როჯე ფედერერზე დავდებდი"

## ინტერვიუ ATP-ს შეფ მარკ მაილზთან



*როჯე ფედერერი – მარკ მაილზის რჩეული*

ნინო პირველი

19 იანვარს დიდი სლემის პირველი ტურნირი - ავსტრალიის ღია ჩემპიონატი დაიწყო. შარშან მამაკაცთა შორის ანდრე აგასი გახდა ჩემპიონი, ქალთა თანრიგში კი სერენა უილიამსმა იზეიმა გამარჯვება. ამ შეჯიბრების მოგება ყველა ჩოგბურთელისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ჩემპიონატის ისტორიაში, ორივე თანრიგში, რეკორდსმენობა ავსტრალიელებს ეკუთვნით: 1963-67 წლებში როი ემერსონმა ტურნირი ხუთჯერ მოიგო, 1960-67 წლების სეზონში კი მარგრეტ სმიტი შვიდჯერ გახდა გამარჯვებული. წლეულს სეზონის ეს პირველი მნიშვნელოვანი საჩოგბურთო ტურნირი ჯერ კიდევ სტარტის აღებამდე გახდა საყოველთაო განსჯის საგანი. ბრიტანელი გრეგ რუზედსკი დოპინგ-კონტროლზე ჩავარდა, მაგრამ, იმის ნაცვლად, რომ დანაშაული ეღიარებინა, ინგლისელმა იქით შეუტია ATP-ს, - სულ ტყუილად მდებენ ბრალს, სტიმულატორების მიღებაში მხილებულ ბევრ ცნობილ ვარსკვლავს კი ხელს აფარებენო. რუზედსკის საქმეს თებერვალში განიხილავენ და ჯერ არავინ იცის, დაისჯება თუ არა ბრიტანელი ჩოგბურთელი ნანდოლონის ხმარების გამო. ATP-ს შეფი მარკ მაილზი მოვლენების შემდგომ განვითარებას აღარ დაელოდა – ჭორების გასაფანტავად და შელახული სახელის აღსადგენად ვცრელი ინტერვიუ მისცა "ველტის" ჟურნალისტს, სვენ-არნე გიორნს, რომლის ფრაგმენტებსაც ქვემოთ გთავაზობთ:

**- მისტერ მაილზ, გრეგ რუზედსკის დოპინგის მოხმარებაში ედება ბრალი. ის კი ყველაფერს უარყოფს. თქვენ, როგორც ATP-ს ბოსი, რა შეფასებას მისცემთ ამ ფაქტს?**

- ჩვენი წესები და ფილოსოფია მეტად მარტივია. ამ საკითხს ყოველთვის სპეციალური კომისია განიხილავს. არსებობს კანონი, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ გადავუხვევთ. ჩოგბურთელებს აქვთ შანსი, დაიცვან თავი და დაამტკიცონ თავიანთი უდანაშაულობა. განაჩენს კი კომისია გამოიტანს.

**- მოდით, გულახდილი ვიყოთ: მართლა დამნაშავეა რუზედსკი?**

- მოდით, ასე ვთქვათ: ყველა შვიდი შემთხვევა, რომელიც ამ ერთი წლის განმავლობაში განვიხილეთ, გაუთვითცნობიერებლად მიღებული პრეპარატებით იყო გამოწვეული. მოთამაშეები დარწმუნებულნი არიან, რომ უსაფრთხო საშუალებას იღებენ, ბოლოს კი ირკვევა, რომ თურმე აკრძალულ პრეპარატთან გვქონია საქმე.

**- რამდენად სუფთაა ჩოგბურთი?**

- ძალიან სუფთაა. ჩვენთან ხომ ასეთი მკაცრი კონტროლია. ცნობილ ჩოგბურთელებს წელიწადში თხუთმეტჯერ თუ ოცჯერ ამოწმებენ. სრულიად გაუფრთხილებლად უღებენ სისხლისა და შარდის ანალიზს. ასეთ სიტუაციაში როგორ უნდა შეძლოს ვინმემ ჩვენი მოტყუება? ეს, პრაქტიკულად, გამორიცხულია.

**- ძველმა ვარსკვლავებმა ჯონ მაკინროიმ და ბორის ბეკერმა აღიარეს, რომ თავის დროზე ისინიც იღებდნენ დოპინგს. მათი მოულოდნელი აღსარება უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს საერთაშორისო ჩოგბურთის იმიჯზე?**

- ბეკერის აღსარებაზე ვერაფერს გეტყვით, ჩემთვის ამ თემაზე არავის მოუწოდებია ინფორმაცია. რაც შეეხება მაკინროის: ოთხმოცდაათიან წლებამდე ჩოგბურთელებს არც ისე ხშირად ამოწმებდნენ. ამის გამო შესაძლებლად მიმაჩნია, რომ იმ პერიოდში ზოგიერთს, მართლაც, მიეღოს დოპინგი. ახლა ასეთი რამ აღარ მოხდება.

**- გასულ წელს ჩოგბურთის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი რიჩი ბიტი საუბრობდა იმის შესახებ, რომ ავსტრალიის ღია ჩემპიონატი მარტში გადაგვეტანა. ავსტრალიაში ეს იდეა მკაცრად გააკრიტიკეს, სამაგიეროდ, ჩოგბურთელეთა უმრავლესობა თანახმა იყო. რა ეტაპზეა ამჟამად ამ წინადადების განხილვა?**

- ჩვენ ჯერ კიდევ ველოდებით ავსტრალიელთა პასუხს. იმედი გვაქვს, 2006 წლისთვის ჩემპიონატს ერთი კვირით გვიან მაინც დავიწყებთ. საერთოდ კი, გვინდა, ATP-ს სეზონი ერთი კვირით ადრე დამთავრდეს.

**- როგორ გგონიათ, ვინ გავა წლეულს ავსტრალიის ჩემპიონატის ფინალში ვაჟთა შორის?**

- ძნელი სათქმელია. ვაჟთა რეიტინგში ბევრი კარგი ჩოგბურთელია. ფინალში გასვლის დიდი შანსი აქვთ დავიდ ნალბანდიანს, ანდრე აგასის, ენდი როდიკს... ჩემი უპირობო ფავორიტი კი როჟე ფედერერია. მასზე მთელ ჩემს ფულს ჩავიდოდი. ეს ის ჩოგბურთელია, რომელიც წელიწადის ყველა დროს, ნებისმიერი ტურნირის ფინალში შეძლებს გასვლას. ფედერერის დამარცხება ძალიან ძნელია. იმედი მაქვს, მალე დიდ ჩოგბურთში ის სპორტსმენიც დაბრუნდება, რომელიც მე ძალიან მომწონს: ტომი ჰაასი.

**- თქვენ გჯერათ მისი დაბრუნების?**

- რა თქმა უნდა. ცოტა ხნის წინ მას ტელეფონით ვესაუბრე და დავრწმუნდი, რომ მალე ჩადგება ფორმაში. გერმანელ ფანებს შეუძლიათ იმედიანად იყვნენ - ჰაასი ისევ გავა კორტზე. ის მხოლოდ მაშინ დაბრუნდება, როცა საბოლოოდ გამოჯანმრთელდება და ტრავმა აღარ შეაწუხებს. ეს დრო სულ მალე დადგება.

ფეხბურთი

# ოტმარ ჰიცფელდი და მისი რაზმი

მიმდინარე სეზონში მიუნხენის "ბაიერნი" თავისი წარსულის აჩრდილს დაემსგავსა. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი დიდი გაჭირვებით დაძლიეს. არც ბუნდესლიგაში აქვთ საქმე მთლად კარგად.

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ მატჩებში მიუნხენელებს მადრიდის "რეალთან" მოუწევთ ჭიდილი. ხოლო იმ ფეხბურთით, რომელსაც "ბაიერნი" შემოდგომაზე აჩვენებდა, სამეფო კლუბის დამარცხება წარმოუდგენელი იქნება. ყველაზე კარგად ეს თავად კლუბის ხელმძღვანელებმა იციან. "ბაიერნში" განგაშია გამოცხადებული. ფეხბურთელებთან ერთად, კრიტიკა მწვრთნელსაც შეეხო. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა ბეკენბაუერმა ერთხელ განაცხადა: "ჰიცფელდზე კარგი მწვრთნელი "ბაიერნში" ვერ წარმომიდგენიაო", კლუბის ხელმძღვანელობაში მწვრთნელის შეცვლის საკითხიც დასმულა. გერმანელი ჟურნალისტების ინფორმაციით, ჰიცფელდის გათავისუფლებას "ბაიერნი" ჯერ არ აპირებს, თუმცა, მის პოსტზე სხვა კანდიდატებს მაინც განიხილავენ. "შტუტგარტის" ახლანდელი მწვრთნელი, ფელიქს მაგატი "ბაირენის" შესაძლო დამრიგებლად განიხილება. თუმცა, იქამდე ჯერ ადრეა.

მიმდინარე სეზონში დარჩენილი ექვსი თვე ჰიცფელდისთვის ერთგვარი საცდელი ეტაპი იქნება. თუ ამ ხნის განმავლობაში ის იმედებს ვერ გაამართლებს, მაშინ თავის პოსტსაც დაემშვიდობება. სამსახურის დაკარგვა ჰიცფელდს ნამდვილად არ სურს. ამიტომაც წაიყვანა თავისი გუნდი დუბაიში და იქ ყველა დროის ყველაზე მძიმე შეკრება მოაწყო. დუბაიში ფეხბურთელებს არნახული დატვირთვით ავარჯიშებდნენ. ჰიცფელდს, თურმე, ახალი ტაქტიკაც შეუმუშავებია.

თუ როგორ ჩაიარა დუბაის შეკრებამ, ამას მალე ვიხილავთ. მანამდე კი გთავაზობთ თავად ჰიცფელდის შეფასებას. ჟურნალმა Kicker-მა "ბაიერნის" თავკაცს თითოეული ფეხბურთელის ახლანდელი მდგომარეობის მისეული შეფასება სთხოვა. სწორედ აქედან გავიგეთ, რომ ჰიცფელდს მაკაი უფრო კარგ თავდამსხმელად მიაჩნია, ვიდრე რონალდო...

**ოლივერ კანი**

"როგორც გუნდის კაპიტანს, ოლივერს თანაგუნდელებზე მეტი პასუხისმგებლობა აკისრია. კრიტიკულ მომენტებში სწორედ მან უნდა თქვას პირველი სიტყვა".

**ვილი სანიოლი**

"ჩემს მიერ შემუშავებულ ახალ სისტემაში ლიზარაზუს და სანიოლს მეტი აქტიურობა მოეთხოვებათ. უკან დგომისა და მეტოქის შეტევების ლოდინის ნაცვლად, ისინი აქტიურად უნდა ჩაერთონ შეტევებშიც. სანიოლს აქვს შანსი, გუნდის წამყვანი ფეხბურთელი გახდეს".

**სემი კუფური**

"კუფური წინ მიიწევს. ის ბევრს მუშაობს და ახლა უწინდელზე უკეთეს ფიზიკურ ფორმაშია. "ბაიერნის" გამო ის აფრიკის თასზე სათამაშოდაც კი არ გაემგზავრა".



*ოტმარ ჰიტცფელდი: "მაკაი რონალდოს მირჩევნია"*

**რობერტ კოვაჩი**

"უკანასკნელ მატჩებში კოვაჩმა კარგად ითამაშა, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ის ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. ჩვენი ფეხბურთელები მუდმივი კონკურენციის პირობებში უნდა ვამყოფოთ".

**ტომას ლინკე**

"ბოლო ხანს ის ბრწყინვალედ თამაშობს. ცენტრალურ დაცვაში გვყავს ოთხი ძლიერი ფეხბურთელი, რომლებიც ბუნდესლიგაში კარგი თამაშით გამოირჩევიან".

**მარტინ დემიხელისი**

"ის უმატებს თამაშს. დემიხელისმა ფრაიბურგშიც დაამტკიცა, რომ "ბაიერნში" თამაშის უნარი აქვს".

**ბიქსენტ ლიზარაზუ**

"ის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონია და უფლება არა აქვს, მხოლოდ საკუთარ თავზე იყოს კონცენტრირებული. ლიზარაზუმ მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს საკუთარ თავზე".

**ბასტიან შვაინშტაიგერი**

"მან დიდი პროგრესი განიცადა. დუბაიში არ გამაწბილა. ასე რომ, მისი იმედი უნდა გვქონდეს.".

**ჰასან სალიამიჯიჩი**

"ის შეუცვლელი ფეხბურთელია, თუმცა, დუბაის შეკრებაზე ალტერნატივა მოვუძებნეთ. ისევე როგორც პიზაროსა და ლიზარაზუს, დამატებითი ვარჯიშები სალიამიჯიჩსაც დავუნიშნეთ".

**იენს იერემიესი**

"იმედი მაქვს, იერემიესი უწინდელ ფორმას დაიბრუნებს. ტრავმის გამო მიმდინარე სეზონში ის ვერ იდგა მოწოდების სიმაღლეზე. ძველი ფორმა რომ დაიბრუნოს, ბევრი თამაში დასჭირდება. საკითხავი მხოლოდ ის არის, მისცემს თუ არა ნატკენი მუხლი მას ამის საშუალებას?"

**ოუენ ჰარგრეივსი**

"ჰარგრეივსი იერემიესისგან განსხვავებული ფეხბურთელია. ის სწრაფი და მოქნილია, თუმცა, ჯერ არ არის მზად იმისთვის, რომ გუნდს უხელმძღვანელოს. ის მეტისმეტად ახალგაზრდაა".

**მიხაელ ბალაკი**

"მან უფრო შემტევი ფეხბურთი უნდა ითამაშოს. ბალაკისთვის გოლების გატანა პრობლემა არ არის. მის ირგვლივ მუდამ იქნება მითქმა-მოთქმა, რადგან ამით პრესაა დაინტერესებული. მაგრამ, ბალაკის გარდა, ჩვენ სხვა ვარსკვლავებიც გვყავს და ისინი უკმაყოფილონი არიან, როდესაც პრესა მხოლოდ ბალაკით არის დაინტერესებული".

**ზე რობერტო**

"იმედი მაქვს, ჩვენს ახალ სისტემაში ზე რობერტო უკეთ შეძლებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას. მნიშვნელოვანია, რომ ის მხოლოდ შეტევით არ იყოს დაკავებული. ნახევარდაცვაში ჩვენ უფრო სრულყოფილი თამაში გვჭირდება".

**როი მაკაი**

"თუ მაკაი სეზონის პირველ ნახევარში მიღწეულ დონეს შეინარჩუნებს, კმაყოფილი ვიქნები. მაკაიმ დიდ ზეწოლას გაუძლო და ჩვენი იმედები გაამართლა. მე ის რონალდოს მირჩევნია, რადგან უფრო ზუსტად ურტყამს კარში, თანაც, მტკიცე ხასიათი აქვს. იმისთვის, რომ გუნდის ლიდერი გახდეს, მაკაის დრო დასჭირდება".

**კლაუდიო პიზარო**

"მას აქვს შანსი, მეორე ელბერი გახდეს. პიზარო ხუმარა, ლაღი ადამიანია. მიუხედავად ამისა, ლიდერობაც შეუძლია".

**როკი სანტა კრუზი**

"მე ავუხსენი მას, რომ თამაშს უნდა მოუმატოს. სანტა კრუზს ვავარჯიშებთ, რომ ხანდახან უფრო უბრალოდ ითამაშოს და უსასრულო დრიბლინგს თავი დაანებოს. ზოგჯერ უფრო სწორხაზოვნად ჯობს თამაში, რასაც ის აქამდე ვერ ახერხებდა".

# როსიცკი "ჩელსისკენ" იყურება... "ბორუსიაც"

დორტმუნდის „ბორუსია", „ბაიერნთან" ერთად, ბუნდესლიგის ყველაზე მდიდარი კლუბი იყო. მიუხედავად ამისა, ფინანსური პრობლემები დორტმუნდელებსაც გაუჩნდათ. „ბორუსია" იმდენად სერიოზულ კრიზისში ჩავარდა, რომ პრობლემების მოგვარებას რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გაყიდვით ცდილობს.

ჩეხი ნახევარმცველი ტომაშ როსიცკი „ბორუსიას" საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევა. რამდენიმე დღის წინათ როსიცკის გადაბირებით დაინტერესება გამოთქვა რომან აბრამოვიჩმა. „ჩელსიში" გადასვლის სურვილი თავად ფეხბურთელსაც აქვს, „ბორუსიას" კი ფული სჭირდება...

ტომაშ როსიცკით ლონდონელები ორი კვირის წინ დაინტერესდნენ. ახლა კი თავიანთი სურვილის შესახებ კიდევ ერთხელ აცნობეს „ბორუსიას", თანაც, ფეხბურთელის სანაცვლოდ ამჯერად უფრო დიდი თანხა შესთავაზეს, ვიდრე წინა ცდაზე. გერმანული პრესის ცნობით, იმ შემთხვევაში, თუ ფეხბურთელი ახლავე შეიცვლის კლუბს, "ჩელსი" 30 მილიონ ევროს სთავაზობს „ბორუსიას".

30 მილიონი სწორედ ის თანხაა, რომელიც დორტმუნდელებს ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს. „ბორუსიას" ფინანსური კრიზისი ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩენამ გამოიწვია. კლუბის პრეზიდენტის, გერდ ნიბაუმის განცხადებით, „ბორუსიაში" მყოფ ფეხბურთელთა ხელფასების ანაზღაურება შეუძლია მხოლოდ იმ კლუბს, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობს. დორტმუნდელები კი წლეულს ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდნენ, შემდეგ კი უეფა-ს თასსაც გამოეთიშნენ. გერმანიის ჩემპიონატის ცხრილში კლუბი მეექვსე საფეხურზეა და



*როსიცკისაც ნისლიანი ალბიონი მოუნდა*

ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ მეოთხე ადგილს 10 ქულით ჩამორჩება. ასე რომ, დიდი შანსია, „ბორუსიამ" ვერც წლეულს მოიპოვოს ჩემპიონთა ლიგის საგზური.

იმის გამო, რომ ევროპის საკლუბო ფეხბურთის მთავარ ტურნირზე ვერ მონაწილეობს, „ბორუსიას" ფინანსური დეფიციტი 40 მილიონ ევროს შეადგენს. თუ კლუბი „ჩელსის" წინადადებას მიიღებს და როსიცკის გაყიდის, დარჩენილ 10 მილიონს კიდევ ერთი ფეხბურთელის გაყიდვით მიიღებს. ბრაზილიელი მცველის, 25 წლის დედეს შეძენა მიუნხენის „ბაიერნს" სურს. როსიცკისა და დედეს გაყიდვით 40 მილიონიც დაგროვდებოდა, თუმცა, როსიცკისგან განსხვავებით, დედეს არ სურს „ბორუსიადან" წასვლა. ბრაზილიელი მცველის განცხადებით, მისი ნება რომ იყოს, დორტმუნდში კიდევ ათ წელიწადს ითამაშებდა.

თუმცა, არც დედეს და არც როსიცკის ბევრს არაფერს შეეკითხებიან და ეს თავად ფეხბურთელებმაც კარგად იციან. ორი დღის წინათ როსიცკიმ განაცხადა, რომ „ჩელსიში" მისი გადასვლა მხოლოდ კლუბების გადასაწყვეტია. თუ რას გადაწყვეტენ კლუბები, ამას სულ მალე გავიგებთ. გერმანული პრესის ცნობით, „ჩელსისა" და „ბორუსიას" ხელმძღვანელები მიმდინარე კვირაში შეხვდებიან ერთმანეთს.

TV-სპორტი

**სამშაბათი. 20 იანვარი**

**НТВ+ ФУТБОЛ**
07:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
07:30 NBA TV- NBA შიგნიდან
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1983. დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "SAN ANTONIO SPURS" - "LOS ANGELES LAKERS". მე-6 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
14:00 თანამეგობრობის ჩემპიონთა თასი. "კაუნასი" (ლიტვა) – "ყარაბახ აზერსუნ" (აზერბაიჯანი). პირდაპირი ტრანსლაცია
15:55 თანამეგობრობის ჩემპიონთა თასი. "ირტიში" (ყაზახეთი) – "დინამო" (საქართველო). პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (16:45) – თავისუფალი დარტყმა
17:55 თანამეგობრობის ჩემპიონთა თასი. "ფლორა" (ესტონეთი) – "დინამო" (უკრაინა). პირდაპირი ტრანსლაცია
19:55 თანამეგობრობის ჩემპიონთა თასი. "ცსკა" (რუსეთი) – "რეგარ-ტადაზი" (ტაჯიკეთი). პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (20:45) – თავისუფალი დარტყმა
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:55 "პოსტსკრიპტუმი"
22:25 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:45 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2003-2004. "გალათასარაი" - "რეალ სოსიედადი"
23:20 თავისუფალი დარტყმა
23:35 ინგლისის ჩემპიონატი. "ტოტენჰემი" – "ლივერპული"
01:20 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" – "ტიუმენი"

**НТВ+СПОРТ**
11:00, 14:00, 17:15 პრესცენტრი
11:15, 23:00 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "NEW YORK ISLANDERS" - "OTTAWA SENATORS"
14:40 "ორშაბათამდე მივატანთ"
15:10 "რკინის ფაქტორი". რუსეთის გრან-პრი ბოდიბილდინგში
16:15 ბოულინგი. PBA Tour ბლიუ სპრინგზში (აშშ)
17:30 კეგლის დროა
18:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. შესვენებისას (20:00) პრესცენტრი
22:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
23:05 სახვალიო ტელეპროგრამა
23:10 ჭადრაკი. სუპერ-ტურნირი ვეიკ-ან-ზეეში
23:40 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი კანადაში
00:10 "მუზარადის გარეშე"
00:55 ბრძოლა წესების გარეშე. "Ultimate Fighting Championship". შესვენებისას (01:25) – ახალი ამბები

**EUROSPORT**
16:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
17:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
21:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
22:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი პოლონეთში
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
02:30 ახალი ამბები
02:45 ჩოგბურთი. საჩოგბურთო ისტორიები

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** "მანჩესტერ სიტის" ფრანგმა თავდამსხმელმა, ნიკოლა ანელკამ დაადასტურა, რომ მისი გადაბირებით "მანჩესტერ იუნაიტედია" დაინტერესებული. საფრანგეთის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში ანელკამ განაცხადა, რომ "იუნაიტედში" თამაში ძალიან უნდა, თუმცა, აღელვებს ის ფაქტი, რომ "მანჩესტერ იუნაიტედი" იმავე ქალაქშია, რომელშიც მისი ახლანდელი კლუბი, "მანჩესტერ სიტი". თუ ანელკა "იუნაიტედში" გადავა, "სიტის" გულშემატკივრები მას გადაემტერებიან.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრაზილიელი ადრიანო, რომელიც ახლა "პარმას" ღირსებას იცავს, სანახევროდ მილანის "ინტერის" საკუთრებაც არის. უკვე კარგა ხანია, რაც "ინტერი" თავისი ყოფილი ფეხბურთელის დაბრუნებას ცდილობს. ადრიანოს მილანში გაშვებაზე არც "პარმა" ამბობს უარს, თუმცა, ბრაზილიელის სანაცვლოდ მათ "იონტერის" რომელიმე თავდამსხმელი სურთ. "ჩვენ მზად ვართ, ადრიანო გავუშვათ, მაგრამ, ფულის გარდა, ჩვენ ამ ფეხბურთელის კარგი შემცვლელიც გვჭირდება", - განაცხადა "პარმას" სპორტულმა დირექტორმა ლუკა ბარალდიმ. ადრიანოს სანაცვლოდ "პარმა" არგენტინელ ხულიო კრუზს ითხოვს, თუმცა, "ინტერი" ჯერჯერობით უარზეა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მიუნხენის "ბაიერნის" მწვრთნელმა, ოტმარ ჰიტცფელდმა დაადასტურა, რომ მისი კლუბი ბრაზილიელი დედეს შეძენით არის დაინტერესებული. მიუნხენელთა ფრანგი მცველი, ბიქსენტ ლიზარაზუ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ "ბაიერნის" მიტოვებას აპირებს. კლუბი ცდილობს, ლიზარაზუ დააკავოს, თუმცა, თუ ამას ვერ მოახერხებს, მაშინ ლიზარაზუს სანაცვლოდ დედეს მოყვანას გეგმავს. "ზაფხულში ორი-სამი ახალი ფეხბურთელის დამატებას ვაპირებთ, მათ შორის, შესაძლოა, დედეც იყოს. თუმცა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ლიზარაზუ გუნდს დატოვებს", - განაცხადა ჰიტცფელდმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** კვირას "სამპდორიას" წინააღმდეგ იტალიის ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩში "რომას" კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ ორი გოლი გაიტანა, რითაც "რომას" ჩემპიონატის ლიდერობა შეუნარჩუნა. მატჩის შემდეგ ტოტიმ განაცხადა, რომ მის მიერ გატანილი ორივე გოლი "რომას" ყოფილი პრეზიდენტის, დინო ვიოლას ხსოვნას მიუძღვნა. გუშინ, 19 იანვარს, ვიოლას გარდაცვალებიდან 13 წელი გავიდა. ტოტიმაც სწორედ ამ თარიღს მიუძღვნა თავისი გოლები.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ფერნანდო რედონდოს კონტრაქტი "მილანთან" მიმდინარე წლის ივნისში იწურება. ისეთი პირი უჩანს, რომ კლუბი რედონდოსთან ახალ ხელშეკრულებას აღარ გააფორმებს. ასე რომ, დიდია ალბათობა იმისა, რომ არგენტინელ ნახევარმცველს მომავალი სეზონიდან სხვა კლუბში ვიხილავთ. რედონდოს გადაბირების სურვილი უკვე გამოთქვეს "ლაციომ", "პარმამ" და პერუჯამ. შესაძლოა, რედონდომ ზამთარშივე შეიცვალოს კლუბი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიის ჩემპიონატის აუტსაიდერმა "ანკონამ" 30 წლის ბრაზილიელი თავდამსხმელი, მარიო ჟარდელი გადაიბირა. ლისაბონის "სპორტინგისა" და სტამბულის "გალათასარაის" ყოფილი ფორვარდი უკანასკნელ დღემდე ინგლისურ "ბლექბერნში" თამაშობდა, თუმცა, წარუმატებლად. 2001/2002 წლების "ოქროს ბუცის" მფლობელმა "ბლექბერნის" შემადგენლობაში ერთი გოლიც კი ვერ გაიტანა. ამიერიდან ის "ანკონაში" შეეცდება უწინდელი ფორმის აღდგენას.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იორდანიის პრინცესა ჰაია არაბეთის ქვეყნების ქალთა ნაკრების კაპიტნად აირჩიეს. ამ ნაკრებში იორდანელი, ლიბანელი, ლიბიელი, მაროკოელი, ალჟირელი და პალესტინელი გოგონები ითამაშებენ. ჰაია, რომელიც იორდანიის ყოფილი მეფის, ჰუსეინის ქალიშვილია, ყოველთვის აქტიურად იყო დაკავებული სპორტით. ის ბრწყინვალე ცხენოსანია და ერთ დროს იორდანიის ფეხბურთელ ქალთა ნაკრებშიც თამაშობდა. არაბეთის გაერთიანებული ნაკრების საერთაშორისო დებიუტი 5 თებერვალს, "ჩელსის" ქალთა გუნდის წინააღმდეგ შედგება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე რუსეთის ეროვნული ნაკრების პროგრამა-მინიმუმი ჯგუფური ეტაპის დაძლევაა. მიუხედავად ამისა, ამ ამოცანის შეუსრულებლობის შემთხვევაში, რუსეთის საფეხბურთო კავშირი ნაკრების ახლანდელი მწვრთნელის, გიორგი იარცევის დათხოვნას არ აპირებს. პრეზიდენტ კოლოსკოვის განცხადებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე წარუმატებლად იასპარეზებს, იარცევი თავის პოსტზე დარჩება.

Australian Open

# ვინ მოირგებს "დიდ სლემს"?






ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფავორიტები – ენდი როდიკი, ანდრე აგასი, ჟიუსტინ ენინ-არდენი და კიმ კლიისტერსი

სანდრო ნავერიანი

## australian open - კარზე წერია ოუფენ

გუშინ, როდესაც ჩვენს ქალაქში ბნელი და ცივი ღამე იდგა, ავსტრალიის ქალაქ მელბურნში ნათელი და თბილი დღე "ავსტრალიის ღია ჩემპიონატის" გახსნამ კიდევ უფრო სასიამოვნო გახადა. საჩემპიონო რბოლა უკვე ორი კვირის დაწყებულია, მაგრამ "დიდი სლემის" ტურნირები სწორედ ავსტრალიის ტურნირით იწყება და მთელი წლის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვან და უმთავრეს მიზნად რჩება ჩოგბურთელთათვის.

კითხვა, თუ ვინ იქნება "დიდი სლემის" ტურნირების ყველაზე მეტჯერ გამარჯვებული, ბევრ ადამიანს აწუხებს და დამატებით სტიმულს უქმნის ამ ულამაზესი სანახაობის მოყვარულთ. შარშანდელი სეზონი საინტერესოდ წარიმართა. "დიდი სლემის" ოთხივე ტურნირს სხვადასხვა გამარჯვებული ჰყავდა, მაგრამ ოთხივემ ის გამარჯვებები დამსახურებულად მოიპოვა. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი ამერიკელმა ბებერმა მგელმა ანდრე აგასიმ მოიგო. საჩოგბურთო სამყაროსთვის აგასის გამარჯვება მოულოდნელი იყო და ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ანდრე ერთ-ერთი ფავორიტი იყო "დიდი სლემის" დანარჩენი სამი ტურნირისა. მოკლედ, ეს შარშან იყო. ახლა კი, როცა ავსტრალიის ღია პირველობა გაიხსნა, ყველა ამბობს, რომ ისეთი დაძაბული სეზონი, როგორიც წლეულს იქნება, არასოდეს ყოფილაო. ვნახოთ...

ერთი სიტყვით, დიდი სეზონი გახსნილად გამოცხადდა, კენგურუსა და კოალას ქვეყანაში ჩავიდნენ ჩოგნიანი გოგო-ბიჭები, რომლებიც არავის და არაფერს ერიდებიან, მათ ერთი მიზანი აქვთ -სამშობლოში გამარჯვებული უნდა დაბრუნდნენ.

## აქ გამარჯვება ყველას განსაკუთრებით უნდა

ყველა მონაწილეს თავისი მოსაზრება აქვს ავსტრალიის ღია პირველობის შესახებ. ეს მოსაზრებები ორ კატეგორიად იყოფა: ერთნი ფიქრობენ, რომ ამ ტურნირში გამარჯვება ყველაზე მნიშვნელოვანია, მეორენი კი ამ უდიდესი რბოლის პირველ ეტაპს მოსამზადებელ პერიოდად აღიქვამენ. "მე ამერიკელი ვარ და, ალბათ, სწორი იქნება, თუ ამერიკის ღია ჩემპიონატს ყველაზე მნიშვნელოვნად ჩავთვლიდი, მაგრამ მიმაჩნია, რომ ავსტრალიის ღია პირველობა ყველაზე მნიშვნელოვანია. ყოველთვის ვცდილობ, რომ ამ ტურნირზე ყველაზე მეტად დავიხარჯო და იმ მაქსიმუმს მივაღწიო, რაც მიზნად მაქვს დასახული. შარშანდელი სეზონიც სწორედ ასე დავიწყე და ეს იყო იმის მიზეზი, რომ მთელი სეზონის განმავლობაში არაჩვეულებრივ ფორმაში ვიყავი. მერე რა, რომ "დიდი სლემის" მხოლოდ ერთი ტურნირი მოვიგე და დანარჩენებში ბევრს ვერაფერს მივაღწიე? ასე რომ არ მომხდარიყო, მთელი წელი იმაზე ცუდ ფორმაში ვიქნებოდი და ვერც ვერაფერს მივაღწევდი. ვისთვის როგორ და, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ავსტრალიის ღია პირველობაა. წარმოიდგინეთ, რომ დილით ცუდ გუნებაზე ადექით და მთელი დღე იმ წუთმა გაგიფუჭათ, რამაც დილით ცუდ გუნებაზე დაგაყენათ. ჰოდა, ახლა წარმოიდგინეთ, რომ ის დილა მთელი ერთი სეზონია და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. მე წლეულსაც ვეცდები, ტიტული არავის დავუთმო. ისე, მართალი თუ გინდათ, ავსტრალიის ტურნირის მოგების ყველაზე დიდი შანსი აქვს ენდი როდიკს, რა თქმა უნდა, ჩემს მერე", - ასე აფასებს აგასი ავსტრალიის ღია პირველობაზე გამარჯვებას. "ძალიან, ძალიან მაგრად მინდა ჩემს ქვეყანაში გამარჯვება. მთელი ჩემი ცხოვრების ოცნებაა ავსტრალიის ღია პირველობაში გამარჯვება. მე ხომ მთელი მწვანე კონტინენტი მიყურებს. მახსოვს, პატარა რომ ვიყავი, მამაჩემი მეუბნებოდა, პირადი ამბიციები არასოდეს დააყენო ქვეყნის ინტერესებზე წინო. ამ ყველაფერს სხვანაირად მიხსნიდა, ახლა კი პირდაპირ მეუბნება. ერთხელ ეს სიტყვები ერთ-ერთ ჟურნალისტს ვუთხარი. მან კი მიპასუხა: კი, მაგრამ, თქვენ ხომ ბერძენი ხართ და ავსტრალია რამ შეგაყვარათო? არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ სადაური გვარი გაქვს, მთავარია, ვინ გაგზარდა და სად გაიზარდე. მე ავსტრალიაში დავიბადე, გავიზარდე, ამ ქვეყანამ მომცა ყველაფერი, რაც მაქვს. მე მიყვარს ეს ქვეყანა ყველაზე და ყველაფერზე მეტად, მელბურნი კი მსოფლიოს ყველა ქალაქს მირჩევნია. მე ამ ქალაქში დავიბადე, აქვე მოვკვდები და ვიღაც გაუნათლებელი, უტაქტო ჟურნალისტის სიტყვებზე ნერვებს არ ავიშლი. კორტზე სისხლს დავღვრი და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ავსტრალიური ჯილდო ავსტრალიაში დარჩეს", -როგორც ხედავთ, მარკ ფილიპუსისიც ოპტიმისტურად არის განწყობილი და უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ამ ტურნირზე გამარჯვებას.

## მელბურნ პარკი

მელბურნ პარკი მდინარე იარას მარჯვენა სანაპიროზე, ბეთმენ ავენიუსა და სვონ სთრითს შორის მდებარეობს და დაახლოებით მცხეთისოდენაა. მელბურნ პარკი პატარა ქალაქია, უბრალოდ, იქ არავინ ცხოვრობს და სახლები არ დგას. ცხოვრება იქ მაშინ იწყება, როდესაც "დიდი სლემის" გათამაშება იწყება და ეს მხოლოდ ორ კვირას გრძელდება. ამ დაუსახლებელ ქალაქში ყველაფერია იმისთვის, რომ არ მოიწყინო. თუ ჩოგბურთის ყურებით დაიღალეთ და გასეირნება მოგინდათ, ეს შესაძლებელია "გარდენ სკვერში", რომელიც ძალიან ლამაზი, მრგვალი მოედანია და სადაც ყველაფერი მწვანეა. აქ გაისეირნებთ და ბევრ ცნობილ სახესაც შეხვდებით. შეგიძლიათ, გაესაუბროთ, ან, შესაძლოა, თვითონაც გამოგელაპარაკონ. "ვოდაფონ არენასა" და "როდ ლეივერ არენას" შორის დამონტაჟებულია უზარმაზარი მონიტორი, რომელიც განკუთვნილია იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც მატჩზე დასასწრები ბილეთები ვერ შეიძინეს. "ვოდაფონ არენა" და "როდ ლეივერ არენა" მელბურნ პარკის ცენტრალური კორტებია. საერთოდ, მელბურნ პარკში 24 კორტია. ზემოთ ნახსენები ორი კორტის გარდა, კიდევ სამი მოედანი ატარებს სახელს, დანარჩენებს კი ნომრებით მოიხსენიებენ. "მარგარეტ კორტ არენა" "შოუ კორტ ერთსა" და "შოუ კორტ ორს" შორის მდებარეობს. ისინი მელბურნ პარკის უკიდურეს, სამხრეთ კორტებს წარმოადგენენ. "პლაზა" და "რითაილ პლაზა" მელბურნ პარკის ხუთვარსკვლავიანი სასტუმროებია. ეს უკანასკნელი ზონის დასავლეთით მდებარეობს, ხოლო "პლაზა" - აღმოსავლეთით. ჩრდილოეთ ნაწილში განლაგებულია პოლიციის განყოფილება, რომელსაც, უკვე რამდენიმე წელიწადია, სამუშაო არ ჰქონია. ეს, ალბათ, იმიტომ ხდება, რომ სანამ მელბურნ პარკის ზონაში შეაღწევთ, აუცილებლად უნდა გაიაროთ შემოწმება, რომელსაც სპეცსამსახურის მუშაკები ასრულებენ. არ გეგონოთ, რომ რამე გამოეპარებათ. მელბურნ პარკის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს "კაფე არენა", რომელშიც შეგიძლიათ ყავა მიირთვათ. იქვეა დიდი სუპერმარკეტი, სადაც მანქანის ყიდვაც კი შეგიძლიათ. "კია მოტორსს" საკუთარი ფილიალიც კი აქვს გახსნილი, ასე რომ, "კიას" მარკის ავტომობილის შეძენა გაცილებით ადვილი საქმეა. რაც შეეხება ტრანსპორტს, ის დილის ექვსი საათიდან შუაღამემდე მუშაობს. ტაქსი, მატარებელი, ავტობუსი, მინიბუსი და ტროლეიბუსი თქვენს სამსახურშია.

ასეთია მელბურნ პარკი და ასეთია საერთოდ ავსტრალიის ღია პირველობა. ყველა წარმატებასა და წარუმატებლობას დამატებითი სიხარული მოსდევს. ტურნირის პირველი წრე ყველაზე საინტერესოა მათთვის, ვისაც ჩოგბურთი არ აინტერესებს და ცნობილი პერსონების სანახავად არის ჩასული. ასეთი კი პირველი წრის შემდეგ ბევრი დადის "გარდენ სკვერში".

გთავაზობთ ტურნირის ბადეს, გუშინდელ შედეგებთან ერთად.






# ისტორიული ცნობები ქართული ხუთჯვრიანი დროშის შესახებ

B1 გვერდიდან

მიუხედავად (ალმის მეორე ნაწილზე ზოლები დიაგონალურის ნაცვლად ჰორიზონტალური მიმართულებითაა გამოსახული), ფაქტობრივად, თანხვდება ანჯელინო დულჩერის (1339 წ.) რუკისეული სოხუმის დროშის გამოსახულებას. ეს სიახლე დოკუმენტურად ადასტურებს 1339-1447 წლებში სამეგრელოს სამთავროს დროშის არსებობას, რომელიც პორტულანებში სამთავროს მთავარი ქალაქის - სოხუმის თავზე გამოისახებოდა, და რომლის მთავარი ნაწილის ხუთჯვრიანი გამოსახულება საქართველოს სამეფოს სუზერენობაზე მიანიშნებდა.

ჩვენს მიერ დადგენილია ხუთჯვრიანი დროშის ჭეშმარიტი წარმომავლობა, რომელსაც აქამდე რატომღაც იერუსალიმის ჯვაროსანთა სახელმწიფოს დროშას (XII ს.) უკავშირებდნენ. ხუთჯვრიანი გამოსახულება იერუსალიმში გაცილებით ადრე იყო ცნობილი, რომელთაგან ყველაზე არქაული, კერძოდ კი II საუკუნის ნიმუში ამოკვეთილია ე.წ. ქრისტეს მეხუთე გაჩერებასთან დაკავშირებული შენობის ფასადზე. აღმოჩნდა, რომ იერუსალიმურ ჯვარს უძველესი დროიდან საქართველოშიც იცნობდნენ, მხოლოდ გათავისებული ფორმით, რომელშიც ცენტრალური - მოტივტივე ჯვრის ნაცვლად მისი ტოტები გამოსახულების კიდეებამდე იყო მიყვანილი. საქართველოს ტერიტორიაზე ხუთჯვრიანი გამოსახულება, რომელიც ანტონ I კათალიკოსის განმარტებით უნდა იყოს "საიდუმლო ხუთ-წყლულებითურთ ჯუარისა გამოსახა", აღმოჩნდა ნეკრესის ახლად გათხრილი ეკლესიის ნანგრევებში (გათხრებს აწარმოებდა აკადემიკოსი ლევან ჭილაშვილი), რომლის თარიღის ზედა ზღვარი ყველაზე კრიტიკული მიდგომითაც, VI საუკუნეს არ უნდა გადაცდეს; ბოჭორმის წმ. გიორგის ეკლესიაზე (X-XI სს.); ჩხარის წმ. გიორგის ეკლესიაზე (XIII-XIV სს.); დმანისში (XIV-XV სს.) და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ პორტულანებშიც საქართველოსთან დაკავშირებულ დროშებზეც ხუთჯვრიანი სისტემა ამ გათავისებული ფორმით არის მოყვანილი. ეს კი იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ გამოსახულების დროშაზე გადატანისას პროტოტიპად არა იერუსალიმის ჯვაროსნული სამეფოს ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელი დროშა, არამედ საქართველოში ქვაზე ნაკვეთი გაცილებით ადრეული ნიმუშები უნდა გამოეყენებინათ (ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ქართველების და ჯვაროსნების მიერ იერუსალიმიდან გადმოღებული ხუთჯვრიანი სისტემა არამარტო ფორმით აღმოჩნდა განსხვავებული: თეთრ ფონზე ქართველები წითელ, ხოლო ჯვაროსნული სამეფოს მესვეურები ოქროსფერ ჯვრებს გამოსახავდნენ). ქვემოთ მოყვანილია სქემა, რომელიც გვიჩვენებს ხუთჯვრიანი დროშების წარმომავლობასთან და მათ შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებულ ისტორიულ ეტაპებს.



ქართული სახელმწიფო (ბაგრატიონთა) დროშა




კილიკიისა და კიპროსის სამეფოების დროშები XIV საუკუნეში ("მსოფლიო დროშების ატლასი 1345 წ.)



ილხანთა (მონღოლური) სახელმწიფო დროშა XIII-XIV სს.



კონსტანტინე მუხრან ბატონის 1745 წ. დროშის თავი

ქართული ხუთჯვრიანი დროშის უშუალოდ იერუსალიმისგან წარმომავლობა არც უნდა იყოს მოულოდნელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბაგრატიონებს ამ წმინდა ქალაქთან საუკუნეების განმავლობაში განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ და ისინი იერუსალიმის დედაქალაქად გამომცხადებლის - დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად თვლიან თავს. ამ თვალსაზრისით, არ არის გამორიცხული, რომ "ქართლის ცხოვრებისეულ" წინადადებაში "დროშისა სვიანად ხმარებულისა ბაგრატოანურისა და უფროსლა გორგასლიანურისა" "ბაგრატოანური" იერუსალიმთან დაკავშირებულ ხუთჯვრიან დროშას გულისხმობდეს.

მნიშვნელოვანი ცნობები შეიძლება მოვიპოვოთ ზოგიერთი წერილობითი წყაროს ახლებური წაკითხვითაც. ამ მხრივ საყურადღებოა პაპუნა ორბელიანის ცნობა 1745 წელს მეფე თეიმურაზ II-ის კურთხევასთან დაკავშირებით, რომელიც ძველად გამოყენებული დროშის ასლების დამზადებას ეხება: "ბრძანა მეფემ დროშათა გაკეთება, გააკეთეს ვითაც ძველად რიგი ყოფილიყო, დროშა ოთხი ჯვარითა მოცული. ერთი უბოძა ორბელიანს ქაიხოსროს, მეორე - მუხრან-ბატონს კონსტანტინეს, მესამე - ამილახორს დიმიტრის და მეოთხე ბატონს კერძო ვლიდა". დღეისათვის საყოველთაოდ არის მიჩნეული, რომ აქ იგულისხმება ისეთი დროშების გაკეთება, რომლის ბუნიკიც ჯვრით ბოლოვდება. მაგრამ სწორედ იმ დროს, ვახუშტი ბაგრატიონის თანახმად, საქართველოში საყოველთაოდ გავრცელებული ყოფილა დროშები ჯვრიანი ბუნიკით, ასე რომ, ჯვრიანი ბუნიკი ვერაფრით ვერ იქნებოდა პაპუნა ორბელიანის მიერ ნაგულისხმევი ობიექტი, რომელიც თურმე წარსულში არსებობდა და იმ დროისათვის ხმარებაში აღარ იყო. ამიტომ აქ უდავოდ ჯვრის გამოსახულების შემცველი ალამი უნდა ჰქონდეს მხედველობაში ისტორიკოსს, მით უმეტეს, რომ სწორედ ალამი და არა დროშის თავი წარმოადგენს დროშის მთავარ და მისი რაობის მაჩვენებელ ნაწილს. პაპუნა ორბელიანის ცნობას თეიმურაზის მეფედ კურთხევისათვის საგანგებოდ დროშების დამზადების შესახებ, ადასტურებს წარწერა, რომელიც ამოტვიფრული იყო 12,5 სმ. დიამეტრის მქონე ვერცხლის მრგვალი ფირფიტის ორივე მხარეს. ამ ფირფიტას ბუნიკზე წამოსაცმელად ქვემო მხარეს ვერცხლისავე ლულა ჰქონდა გაკეთებული, ხოლო ზემოთ ჯვარი აგვირგვინებდა (ეს უკანასკნელი უკვე მოტეხილი იყო, როდესაც ფირფიტა XX ს. დასაწყისში ექვთიმე თაყაიშვილმა დაათვალიერა). წარწერა, რომელსაც ჩვენ შემოკლებით ვიძლევით, შემდეგი შინაარსის იყო: "ქ. ჩვენ კეთილმსახურმან მეფემან თეიმურაზ მიუბოძეთ დროშა ესე... მუხრანის ბატონს კონსტანტინეს ორისავ საერისთოს წინა საძღვანად, ოდეს ცხებულ ვიქმენით საცხებელითა მეფეთა... ქ~ეს აქვთ ქ~კს ჩღმე".

ამ წარწერის გათვალისწინებით სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ფირფიტა გაიგივებული იქნა პაპუნა ორბელიანის მიერ მოხსენებულ ერთ-ერთ დროშასთან, რაც ჩვენი აზრით სიმართლეს არ უნდა შეეფერებოდეს. საქმე ის არის, რომ ის ვერავითარ შემთხვევაში ვერ გასწევს დროშის დანიშნულებას, რომლის გამოსახულების დანახვაც საკმაოდ შორი მანძილებიდან უნდა იყოს შესაძლებელი, მაშინ როდესაც 12,5 სმ (!) დიამეტრის დისკო ასეთ შესაძლებლობებს სრულიად მოკლებულია. სწორედ დისკოს გაბარიტებიდან გამომდინარე, ის უდავოდ დროშისთავს წარმოადგენს, ხოლო მის წარწერაში მოხსენებული "დროშა" დროშისთავთან ერთად, პირველ რიგში, იმ ალამს გულისხმობს, რომლის ტილოც პაპუნა ორბელიანის ცნობით "ჯვარითა მოცული" იყო.

რაც შეეხება გამოთქმას "ჯვარითა მოცული", ამ შემთხვევაში მხოლობით რიცხვში, ისევე როგორც სახელწოდებაში "იერუსალიმის ჯვარი", ხუთჯვრიანი სისტემიდან მხოლოდ გაბარიტებით და ცენტრალური მდებარეობით გამორჩეული დიდი ჯვარი უნდა იგულისხმებოდეს. აქედან გამომდინარე, ასევე ხუთჯვრიან გამოსახულებას უნდა აღნიშნავდეს 1299 წლის ცნობაში მოხსენებული ქართული "ჯვრიანი დროშები", რაც ამ წყაროს კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ხუთჯვრიან დროშასთან დაკავშირებული კვლევა-ძიებები, ფაქტობრივად, ჯერ კიდევ თავის საწყის სტადიაში იმყოფება და მომავალში ევროპული პორტულან-რუკების, სხვადასხვა ქვეყნების სამუზეუმო ინვენტარის და სხვა მასალების შესწავლა უდავოდ უფრო სრულ წარმოდგენას შეგვიქმნის ძველი ქართული სახელმწიფო დროშის შესახებ.

*რევოლუციის ფსიქოლოგიური სურათი*

# დაკარგული მამის ძიებაში

ლელა ფიროსმანიშვილი, მაია ცირამუა, მალხაზ ფიროსმანიშვილი
*სოციალური ინტეგრაციის ინსტიტუტი*

ეს ყველაფერი 2 ნოემბრიდან 25 იანვრამდე მოხდა! გაცხადდა პრეტენზია, რომ 12 წლის განმავლობაში გავიზარდეთ და მამის გადალახვის დრო დაგვიდგა. დრო აჩქარდა. მოვლენები ისე სწრაფად განვითარდა, რომ არათუ გადავლახეთ – შევაფასეთ კიდეც: ეს იყო სუროგატი მამა! მერე ვფიქრობდით – იქნებ სულაც არ გვჭირდება მამა! ისტორიული დროის უნისონის წყვეტამ ჩვენ საშინელი გამოცდილება მოგვცა – პატრონის ძიების ყოველ მცდელობას მივყავდით ყოველთა ქართველთა მამის, ბაბუს, ანუ ქართველთბაშის ფენომენამდე. ჩვენ დავირცხვინეთ ასეთი მამა და ისევე, როგორც 80-იანი წლების ბოლოს პირველებმა დავტოვეთ საბჭოთა კავშირი, ამჯერადაც გადავწყვიტეთ პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველებს გვეთქვა უარი მასზე. ისევე, როგორც მაშინ, 12 წლის შემდეგ, ჩვენ აღმოვჩნდით ქუჩაში.

მოვახერხეთ კი ამ დროში შეგვექმნა ახალი მატერიალური და სულიერი ღირებულებები?! იქნებ გვირჩევნია ვიყოთ მასაში, გავექცეთ, როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას, გავყვეთ ბელადებს ყვირილით: "ძირს მამა!" მათ დავაკისროთ პასუხისმგებლობა, რათა საჭიროების შემთხვევაში მოვთხოვოთ პასუხი, ისევ მათ დავუყვიროთ "ძირს!" ანუ ვიაროთ წრეზე. ერთი სიტყვით, მუდამ ვიყოთ "ცუდი მამების" "კარგი შვილები".

შესაძლებელია, რომ ქუჩაში არ აღმოჩნდეს ისტერიულ-დემონსტრაციული ფსიქოტიპი? რომელსაც არ ძალუძს ყოველდღე, ნაბიჯ-ნაბიჯ იაროს დასახული მიზნისკენ, გამუდმებით ზიდოს არჩევანის ტვირთი, თავად აშენოს და თავადვე აგოს პასუხი საკუთარ ცხოვრებაზე, რომელსაც არ სურს, იყოს რიგითი ადამიანი და ყოველდღე ილვაწოს დაფარულში, არამედ სურს იყოს, რამე დიადი გადაწყვეტილების, დიადი წამის მონაწილე, თუმცა, როგორც კი გადაწყვეტილება მიღებულია, მაშინვე მოიწყენს. ზეიმი დამთავრდა. ჩინური კარნავალის მსგავსად, დრაკონი-მამა დაიფერფლა. მორჩა ქუჩა. ახლა შეფასების დროა.

ცნობიერ დონეზე ერთი ნაწილისთვის ეს იყო დრამა – სიუზერენის მარადიულ ძიებაში დამაშვრალმა ამ მედიივალურმა ვასალებმა დაკარგეს რეალური მამა და სამყაროში მიგდებულად იგრძნეს თავი. მათ დაკარგეს დივიდენდები და, რაც მთავარია, მამისგან დასწავლილი თამაშის წესები, რომლებიც აღარ გამოდგება.

მეორე ნაწილისთვის ეს იქცა პროგრესად, იმპოტენტი მამისგან თავის დაღწევის შესაძლებლობად. მათ ახალი რეალობის დასამკვიდრებლად სჭირდებათ შავი დედოფლის მიერ ალისასთვის შეთავაზებული ფორმულა: იმისათვის, რომ სადმე მიხვიდე, საკმარისი არ არის, მთელი ძალით ირბინო, საჭიროა ორჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე მთელი ძალით.

არსებობს მესამე ნაწილი, რომელსაც ამ ბოლო წლებში "ბრალად ედება მითოსური აზროვნება". ისინი მამის ძიებას სამყაროს არქეტიპებში აწარმოებენ. პიროვნება, რომელიც არქეტიპად არ ჩამოყალიბდება, მათთვის მამა ვერ გახდება, რადგან მამის ხატი კოლექტიური მეხსიერებიდან ამოდის, ლიტერატურულ და მითოსურ სივრცეში მყოფობს – კავკასიონის მთებზე მიჯაჭვული ამირანი, დაფარული მამა (დათრგუნული, მაგრამ პოტენციური). მამა დაკარგულია. ამ მითოსურ პლასტში არის განფენილი გალაკტიონის მიერ მამის ძიება. იგი, რომელსაც არასოდეს უნახავს საკუთარი მამა, სწორედ მიჯაჭვულ ამირანთან ახდენს მის იდენტიფიკაციას.

შეხავსებია კლდეები კლდეებს,
იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია,
"ამირანია?" – მივმართავ ტყეებს, და ტყე გუგუნებს: ამირანია.
ეს მძაფრი კვნესა მიწამლავს დღეებს, ის გული ისევ ჩემი გულია.
"დაკარგულია?" – მივმართავ ტყეებს, და ტყე გუგუნებს: დაკარგულია.

*(მშობლიური ეფემერა)*

მამა დაკარგულია. ჯაჭვი ჩარღვეულია. ბორბალი უკუღმა ტრიალებს. დაკარგული მამის არქეტიპი მუშაობს. მამის როლსა და ფუნქციას დედა ითავსებს. ოთარაანთ ქვრივი ქალია. ქალკაცა მშობლის აღზრდილი უტყვი შვილი ითრგუნება სურათით, თუ როგორ სიყვარულით წმენდს და ეფერება დედა მამისეულ თოფს. საბოლოოდ იგი ვერ ხორციელდება, როგორც მამაკაცი და სიცოცხლეს ფალიკურ სიმბოლოზე, სარზე წამოგებული დაასრულებს.

ბაზალეთის ტბის ფსკერზე ოქროს აკვანს არტახებით მიჯაჭვული, ხთონური წყლებით დაფარული ალგეთის ლეკვი და მისი ტყუპისცალი მეოცე საუკუნეში ამაოდ ცდილობდნენ მახვილის ხელში აღებას მათ უკან მდგარი დედის დასაცავად. ეს უნიათო მცდელობა მთლიანად უარყოფილია ქართვლის დედის ხატით. ეს არის დაკარგული მამისა და დესექსუალიზებული დედის შერწყმის სიმბოლო. ეს არის მადონა ყრმის გარეშე, წიაღი კვლავქმნადობის საწყაული, ხმლით დაფარული, ხოლო მოყვრისათვის გაწვდილი თასიდან ვის აღარ მოუკლავს წყურვილი!

რაც შეეხება კოლექტიურ არაცნობიერს, დროის უნისონის წყვეტამ დათრგუნა მამის ხატი. ჩვენ დიდი ხანია ვცხოვრობთ უმამოდ.

ველარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს, ზამთარს ბილიკი დაუტანია...
"დიდი ხანია?" – მივმართავ ტყეებს, და ტყე გუგუნებს – დიდი ხანია...

*(მშობლიური ეფემერა)*

რა მოხდა მერე?! მერე მოვიდა მამა და ჩვენ ვერ ვიცანით?! ზამთრის ბილიკებს გავუყენეთ დამზრალ ტყეებში?! იქნებ ჩვენ სულაც არ გვჭირდება მამა? და აქ იწყება

## ვარდისა და ავტომატის საიდუმლოება

ბორბლის უკუღმა ტრიალმა საუკუნეების მანძილზე ჩამოაყალიბა თავსმოხვეული მამისა და კანონებისადმი დაუმორჩილებელი, მეამბოხე ქცევის ტიპი. პროტესტი გაიგივდა პროგრესთან. ბორბლის ინერციამ ქვეშ მოიყოლა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეა. მამა, რომელიც საუკუნეების მანძილზე პირველად არ იყო თავსმოხვეული, ჯერ განიდევნა და მერე შეფასდა.

რა იყო იმ ინერციის ძალა, რომელმაც გამოიწვია აპოკალიფსური განცდა და მოითხოვა ქმედება – დაუყოვნებლივ, ყოველგვარი განსჯისა და ანალიზის გარეშე? რა ძალა გვამოძრავებდა ჩვენ, როდესაც ხელში ავიღეთ ფალიკური სიმბოლო – ავტომატი და განვახორციელეთ მამის განდევნის აქტი?! ნუთუ იმიტომ, რომ იმ სპექტაკლში, რომელსაც ბოლო რვაასწლიანი ისტორია ეწოდება, არ მოიძებნება არცერთი როლი, დგამი, სამოსი და რეკვიზიტი მამისათვის?

იქნებ ჩვენ სულაც არ გვჭირდება მამა?! მამამ, რომელსაც ავტომატით დავუპირისპირდით, სანაცვლოდ ჩვენ ყვავილები შემოგვთავაზა. მამასთან ერთად ჩვენი ცნობიერებიდან განდევნილმა ამ ფრაზამ 12 წელი იმუშავა და მხოლოდ დღეს ამოტივტივდა. მან ყვავილები იმიტომ შემოგვთავაზა, რომ მამა იყო და ტყვიას ვერ გვესროდა. ისტორიას შერჩა მამისმკვლელი რკინის ფალოსით, ხოლო ეს აბსურდული ფრაზა რეალობად იქცა, როდესაც საჭირო გახდა მომდევნო, სუროგატი მამის მრავალწლიანი ძალაუფლების დამხობა. ჩვენ მას ვესროლეთ ვარდი. ამბივალენტური, ორთავე, ფალიკურ და ვაგინალურ სიმბოლოთა შემცველი ყვავილი – რა თქმა უნდა, ვარდი! ერზაცის დამარცხებას არ დასჭირდა ლითონის ძალა, ეს შესაძლებელი გახდა ოდენ სიმბოლოთი.

კოლექტიური მეხსიერების ფსიქოანალიზმა შემდეგი სურათი მოგვცა: დაკარგული მამისა და მასკულინირებული დედის მიერ გაზრდილმა შვილმა ბოლოს და ბოლოს გააცნობიერა, რომ მას საკუთარი მამის მიღება გაუჭირდა, მაგრამ თავსმოხვეულ მამასაც ვერასოდეს იგუებს. მის ცნობიერებაში საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულმა პერვერსიამ – კრებითი მშობლის მახინჯმა ხატმა ესთეტიზაცია განიცადა და ქვეცნობიერიდან ამბივალენტური სიმბოლოს, ვარდის სახით ამოიტყორცნა.

ასე გაცხადდა ვარდისა და ავტომატის საიდუმლოება. კითხვა: გვჭირდება კი ჩვენ მამა? – ჰაერში გამოეკიდა. შვილს აღარ შეუძლია და აღარც სურს, დარჩეს მარადიულ შვილად. შესაძლებელი ხდება ჯაჭვის გამთლიანება. რა საჭიროა მამასთან ბრძოლა, როდესაც ის თავად განიჭებს მნიშვნელოვანებას, თავად გაძლევს შანსს, გახდე მამა. გეტყვის: "ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველმან".

**P.S.** ან ავაშენოთ ლამაზი, თეთრი სახლი და მის ზღურბლზე ამოვტვიფროთ სიტყვები, რომლებიც ყოველ ჯერზე იქ შესვლისას, იქედან გამოსვლას მოგვაგონებენ:

"ჟამი რა წვლილთა და ხმელთა აღმოფშვინვათა წარმოდგეს,
ზარი მეფობისა წარხდეს და დიდება დაშრტეს,
შვებანი უქმ იქმნნენ,
ყვავილოვნება დაჭკნეს,
სხვამან მიიღოს სკიპტრა,
სხვასა შეუდგნენ სპანი,
მაშინ შემიწყალე,
მსაჯულო ჩემო!"

# ვის რა რამდენად უღირს

## ვარსკვლავები და მათი სხეულის ნაწილები

*უკვე დიდი ხანია, საზოგადოება ჯენიფერ ლოპესის ღრმად პატივსაცემი უკანალის გამო ერთობა: ვარსკვლავმა თავის სხეულის ყველაზე დიდი და ყველაზე ძვირფასი ნაწილი მილიონებად დააზღვია, და რამე რომ დაუშავდეს, ნატკენს უმალვე დაუამებენო...*

არადა, ჯენიფერი სულაც არაა ერთადერთი ქალი, რომელიც თავის სხეულს ასე დაჰკანკალებს. გარდა ამისა, სხეულის მიმართ ასეთი ნაზი დამოკიდებულება მხოლოდ მშვენიერი სქესისთვის როდია დამახასიათებელი. წესით, დიდად გასაკვირი აქ არაფერია: აინშტაინს რომ თავის ტვინი დაეზღვია, გაგიკვირდებოდათ? ჰოდა, ვარსკვლავებიც იმას უფრთხილდებიან, რაც პურს აჭმევთ...

მაგალითად, **ბრიუს სპრინგსტინი**. მისთვის ყველაზე ძვირფასი ხმა ყოფილა – ცხადია, მილიონები ხომ სწორედ მან მოუტანა. მან თავის ყელი დააზღვია და ხმა რომ დაკარგოს, 7 მილიონ ევროს მიიღებს. მიუხედავად შთამბეჭდავი ზომის მკერდისა, **მერაია კერი** სხეულის ცალკეულ ნაწილებს არ გამოჰყოფს – ის მას მთლიანად 55 მილიონი დოლარი უღირს. ზოგჯერ კი ჩივის ხოლმე, ამხელა ქონება მაინც არავის სჭირდებაო...

ისე კი, ყბადაღებულმა **ჯენიფერ ლოპესმა** თავისი უკანალის მიმართ მართლაც საოცარი თავდადება გამოიჩინა – ის 230 მილიონ ევროდაა დაზღვეული. თუმცა, ჯეი ლო ამას ყოველთვის უარყოფს, როგორც ჩანს, რცხვენია, რომ ტაკოზე ძვირფასი არაფერი გააჩნია.

სხეულის ნაწილების დაზღვევის ტრადიციას საკმაოდ გრძელი ისტორია აქვს. მისი ფუძემდებელი კინოვარსკვლავი **ბეტი გრეიბლი** იყო. 40-იან წლებში მან თავის გრძელი ფეხების დასაცავად 800 ათასი ევრო გაიმეტა, და მას შემდეგ მას "მის მილიონდოლარიანი ფეხები" შეარქვეს.

ასეთივე თანხად დააზღვია თავისი მშვენიერი კიდურები კინემატოგრაფის ლეგენდამ, **მარლენ დიტრიხმაც**. როკის ბებიამ, **თინა ტერნერმა** კოხტა ფეხები ალალ-ბედზე მიატოვა და **სოფი ლორენის** კვალდაკვალ, თავის ასაკშეპარული დეკოლტე 700 ათას ევროდ შეაფასა – თუმცა იტალიელი კინოვარსკვლავის ლეგენდარული მკერდის დაზღვევის თანხა შეუდარებლად უფრო მოკრძალებულია, მხოლოდ 125 ათას ევროს შეადგენს. რამდენად უშველის მას ეს თანხა – უცნობია. აი, 50-60-იანი წლების ლამაზმანს, **ელიზაბეტ ტეილორს** კი უწინდელივით უბრჭყვიალებს 800 ათას ევროდ დაზღვეული თვალები.

და ბოლოს: "როლინგ სთოუნზის" გიტარისტის, **კეიტ რიჩარდსის** ძირითადი ინსტრუმენტი, ხელები, 1,7 მილიონ ევროდაა დაზღვეული! ისე, მისი ცხოვრების წესს თუ გადავხედავთ, ნამდვილად გასაოცარი ამბავია.



ბეტი გრეიბლი


ბრიუს სპრინგსტინი


თინა ტერნერი


სოფი ლორენი


ელიზაბეტ ტეილორი


მარლენ დიტრიხი

## სკანვორდი



## TV პროგრამა

20 იანვარი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **09.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** სერიალი "ჯაშუში" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.10** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **23.00** ღამის კურიერი **00.30** მხ. ფილმი "ბანდიტები". მთ. რ-ში: ბრიუს უილისი, ბობ ტორნტონი

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ბასკერვილების ოჯახი" **10.10** მხ. ფილმი "რაჭა ჩემი სიყვარული" **11.30** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **11.45, 21.35** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00, 00.05** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** მხ. ფილმი "რემბო-პირველი სისხლი" **16.45** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" **17.05** სერიალი "ჩემი ყველაზე მშვენიერი არდადეგები" **17.30** დოკ. ფილმი "პარიზის ცხოველები" 1-ლი ნ. **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** და არს მუსიკა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.45** "სათავეებთან" **22.25** "მეხანძრის სიზმარი" **23.15** "ჩვენი ფეხბურთი" **00.15** მხ. ფილმი "მუშკეტერები ოცი წლის შემდეგ" 1-ლი ს

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი "კლუბი" მთ.რ-ში გი მარშანი, ფაბრის დევილე. **17.00, 19.15, 22.35** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "მდივანი ქალი" მთ.რ-ში ჯეიმს სპეიდერი, მეგი გილენხაალი. **01.40** "ღამურა" "24 საათი" მთ.რ-ში შარლიზ ტერონი, სტიარტ ტაუნსენდი. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) **10.00** სერიალი "ენი მწვანე სახურავების მამულიდან" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **19.00** სერიალი "ენი მწვანე სახურავების მამულიდან" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "სექსუალური ურჩხული" (რეუ ინსტონი) **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "ჯოჯოხეთიდან მოსული" (ჯონი დეპი)

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი **19.30** კინოსეანსი "ჯადოქრები" 1-ლი ს. **21.00** ისტორიანი **21.30** პალიტრა **22.10** მხ. ფილმი "ჯადოქრები" მე-2 ს.

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "შიშის ოთახი" **13.30** "საქმე და ეკონომიკა" **15.00** მხ. ფილმი "სიჩქარე 2" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "შიშველი პისტოლეტი 2" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "გაიცანით ჯო ბლექი" **00.30** მუსიკა

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** ბურთი და მოედანი **10.45, 14.50, 17.20, 19.30, 20.30, 23.30, 00.55** მუსიკა **11.00** სერიალი "გრაფინია დე მონსორო" **12.00** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10** მულტფილმი **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "ლუსი ობრაკი" **17.30, 18.00** დოკ. ფილმი **20.00** ჯაზის საღამოები (განმ.) **21.00** სერიალი "გრაფინია დე მონსორო" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "შიშისმომგვრელი ბაღები"

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა "დილა" **10.15, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30, 14.30, 17.30, 22.10, 00.00** დღის ამბები **11.50** მხ. ფილმი "ზემოდან გადმომხედე" **14.00** მულტფილმი "მარკოს და ჯინის თავგადასავალი" **14.50** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" **15.10** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **16.00** სერიალი "სირინოზები" **16.35** დოკ. სერიალი "ველური ვარსკვლავები" **17.00** მხ. სერიალი "ზებუნებრივი სამყარო" **18.00** მულტფილმი "მარკოს და ჯინის თავგადასავალი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "სირინოზები" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **21.15** სერიალი "მოჯადოება" **22.15** ყოჩაღები - საახალწლო **22.30** ღამის მატარებელი **00.20** ოლიმპი - საახალწლო **00.45** "ცხელი ცხრიანი" **01.45** მხ. ფილმი "მაკენას ოქრო"

### იმედი

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 10.00, 13.15, 17.20, 00.35** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **11.05** სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.15** მხ. ფილმი "რვა ქალი" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.20** ქრონიკა **17.25** სპორტ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** ლარის მახე **22.50** მხ. ფილმი "სიყვარულის მონა"

### არხი

**08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** საინფ.გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10, 19.15, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** სათავგადასავლო ფილმი "ფესალიელი გოლიათი" **10.55** მუსიკა **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.20** კომედია "სათამაშო" **13.50** მუსიკა **14.00, 18.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** თრილერი "ნიკიტა" **16.20** მულტფილმი "ვარდისფერი რაკეტა" **17.10** კომედია "გასაოცარი გარდასახვა" **19.30** "დღეს მსოფლიოში" **20.20** მხატვრული ფილმი "გააანალიზე ეს" **21.50** "გალერეა" **23.00** "Пресс-папье" **23.10** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.30** "რა არ ხდება" **23.40** მუსიკა **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.00** მელოდრამა "მელვინეთა წესები" **03.40** მხატვრული ფილმი "მკაცრი რომანსი"

### ОРТ

**ОРТ 07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20 Сериал "Next 3" 11.30, 20.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 13.20 Комедия "Факир на час" 14.40** Док.детектив "Теорема Ферма для следователей" **15.10** Шоу "Город женщин" **16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.30** "Кумиры". Л. Семеняка **21.00** "Кто хочет стать миллионером?" **22.00, 00.30** "Время" **22.30 Сериал "Next 3" 23.40** "Тайны века". "Америка под ударом" **00.50** "На футболе" **01.20** "Сканер" **01.50** "Подводный мир А.Макаревича" **02.20 Худ.фильм "Истинная ценность" 04.30 Боевик "Честь и ярость"**

### РТР

**06.00** Доброе утро, Россия! **09.45 Сериал "Русские амазонки 2" 10.50** Ток-шоу "Короткое замыкание" **11.45, 14.45, 17.25, 01.15** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.30, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести - Москва **12.50** "Что хочет женщина" **13.50 Сериал "Неотложка" 15.30** "Частная жизнь" **16.30 Сериал "Возвращение Мухтара" 18.10 Сериал "Маросейка, 12" 19.00 Сериал "Навеки Джулия" 19.55 Сриал "Тайны следствия. Гроб на две персоны" 21.50** Спокойной ночи, малыши! **21.55 Сериал "Русские амазонки 2" 23.00 Сериал "Неотложка" 00.00** Вести+ **00.20** "Юрий Григорович. После "Большого" **01.30 Детектив "Тот, которого заказали" 03.20** Дорожный патруль **03.35** Агентство одиноких сердец **04.00 Сериал "Ангелы Чарли"**

### НТВ

**07.00** "Утро на НТВ" **09.55 Сериал "Таксистка" 11.00** "Сегодня утром" **11.25** Экспедиция Т. Баженова "Дикий мир": волчья политика" **12.15** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00** "Сегодня" **13.30 Худ.фильм "Старые стены" 15.30** "Протокол" **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "Она написала убийство" 19.30** "Протокол" **20.35 Сериал "Мангуст", 2 с. 21.50 Сериал "Таксистка", 6 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** "Красная стрела" **23.45** Док.фильм "Блокада Ленинграда", 2 с. **00.35 Сериал "Мангуст"**



# "ლამაზმანს" ასაკი შეეპარა

გერმანული ჟურნალი "შპიგელი" წერს, რომ თავის ახალ ფილმში, "მონა ლიზას ღიმილი", ჯულია რობერტსი "უიმედოდ გაზრდილის" შთაბეჭდილებას ახდენს. ჟურნალი სევდიანად იუწყება, რომ მისი მსგავსი მსახიობების კარიერის დაისი გარდაუვალი მოვლენაა. მართლაც სევდიანი ამბავია, მაგრამ რამდენად შეესაბამება სინამდვილეს – ეს ალბათ მაყურებელმა უნდა განსაჯოს.

ფილმის ერთ-ერთ დასკვნით სცენაში ჯულია რობერტსი ჯულია სტაილთან ერთად სადღაც, ფილადელფიაში, პატარა სახლში დგას, და გოგონას კარიერის შესახებ ლაპარაკობს – მიაჩნია, რომ ის იელის უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიას უნდა ჩაუღრმავდეს. ჯულია სტაილის გმირი მას პასუხობს, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, დიასახლისი და დედა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ წარმატებული კარიერისთვის საჭირო ნიჭიც აქვს და შესაძლებლობებიც. როცა იღიმის და ქერა თმას უკან იწევს, მაყურებელი უცებ ხვდება, რომ ის ძალიან ახალგაზრდაა, გულის გასახეთქად ნორჩი და დოცენტი ჯულია რობერტსი მას გაოცებული შესცქერის. "ლამაზმანის" ნაცნობი სახე მასთან შედარებით აშკარად დაბერებულია, ჯულია გაიზარდა.

თითქოს საშიში არაფერია – ჯულია მხოლოდ 36 წლისაა. მაგრამ "ლამაზმანს" სულ მალე ოცი წელი შეუსრულდება, ეკრანს კი ახალგაზრდა, ოცს მიტანებული ქალები იპყრობენ. მართალია, იმ ფილმისთვის ჯულიას სულ სამასი ათასი დოლარი გადაუხადეს, ამ უკანასკნელისთვის, "მონა ლიზას ღიმილისთვის" – 25 მილიონი, მაგრამ ეს ძალიან სახიფათო რიცხვია – ასეთი სიმაღლიდან დაცემა ბევრად უფრო ადვილად ხდება. მსგავსი ბედი ხვდათ წილად ელიზაბეტ ტეილორს (რომელსაც ჯულიას ხშირად ადარებენ ხოლმე), და არნოლდ შვარცნეგერსაც: მათმა საუკეთესო "კინოდღეებმა" ჩაიარა. ვნახოთ, ჯულია რას იზამს.

# თავისუფლების ფასი



მელისა მათისონს, ამერიკელი მსახიობის, ჰარისონ ფორდის ყოფილ მეუღლეს, განქორწინების პროცესის დროს 90 მილიონი დოლარი აღუთქვეს. ამ შემთხვევაში ახალი სტანდარტები მოქმედებდა: ყოფილმა მეუღლემ არამარტო საერთო ქონების ნახევარი მიიღო, არამედ იმ ფილმებითაც იხეირა, რომლებშიც ფორდმა მათი ერთობლივი ცხოვრების დროს მიიღო მონაწილეობა. ხოლო ვის მიაკუთვნებენ წყვილის ორი შვილის მეურვის უფლებებს, ეს ჯერ-ჯერობით უცნობია.

მელისამ და ჰარისონმა ერთმანეთი 1976 წელს გაიცნეს და 18 წლის განმავლობაში იყვნენ დაქორწინებული. განქორწინების შემდეგ ფორდი თავის შეყვარებულის, კალისტა ფლოკჰარტის ცოლად შერთვას შეძლებს, რომელთან ერთადაც მან უკვე ორი წელი გაატარა.

# კარგი გენები



ამერიკელი მსახიობი, მაიკლ დუგლასი, თავის წარმატებას მთლიანად მამამისის წარმატებას უმადლის – ყოველ შემთხვევაში, თავად ამ აზრისა ბრძანდება. ის დარწმუნებულია, რომ კარიერისთვის აუცილებელი თვისებები სახელგანთქმული კერკ დუგლასისგან აქვს მიღებული: "ჩვენ კარგი გენები გვაქვს, თან დიდხანს ვცოცხლობთ," თქვა მაიკლ დუგლასმა.

ისევე, როგორც ოდესღაც მამამის კერკს, ახლა მაიკლსაც "ოქროს გლობუსს" მთელი ცხოვრების საქმისთვის გადასცემენ. ჯილდოს მას ჰოლივუდის საზღვაგარეთის პრესის წარმომადგენლობის 90 წევრი მიანიჭებს.

ეს პირველი შემთხვევაა, როცა "ოქროს გლობუსის" მფლობელები მამა-შვილი ხდებიან.

**ბავშვთა კლინიკო-დიაგნოსტიკური ცენტრი**

**"ჯანმრთელი ოჯახი"**

**გთავაზობთ**

პედიატრიულ სამსახურს (0-16 წლამდე), აცრებს (მათ შორის გრიპის საწინააღმდეგო), სრულ ექოსკოპიურ გამოკვლევას.

თქვენს სამსახურში არიან კვალიფიცირებული სპეციალისტები თბილისის წამყვანი კლინიკებიდან.

**მისამართი: ლ. ქიაჩელის ქ. 18.**
**ტელ: 98 23 37.**













**წამალი "სალხინო"**
**ქართული ფლორის საოცრება**

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.